

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
სასარტველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



სამსახურო შრომები

MILITARY PAPERS



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMAŞENEBELİ  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



სამხელოო შრომები

MILITARY PAPERS

2021

პოლიციალის ხარისხისად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო არაერთიანებული კონფერენციას სარედაციო კოლეგია მემდომების მემდები შემადგენლობით:

## სარედაციო კოლეგია

### **რედაციონი**

**პრიმარის მინისტრი მარია აბალახაძი** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაციონი

### **სარედაციო კოლეგიის ხელმძღვანელი**

**კოლეგიის დავით რაზმაძე** ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაციონის მოადგილი

### **სარედაციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილი**

**კოლეგიის მიორიგი ლადიავალი** ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი  
ცენტრის ხელმძღვანელი

### **სტილისტი / კომისიონის უზრუნველყოფა**

**დავით სოფიანიშვილი** ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების  
ცენტრის კურსების უფროსი სამსახურის მიმღები

### **სარედაციო კოლეგიის წევრები**

**კოლეგიის ზურაბ ზერეპიძე** ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

### **კლეისი გურგულაძი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის  
მიმართულების უფროსი

### **ნანი არაბული**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის  
მიმართულების აროგვესორი

### **რომელ მალდავა**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის  
მიმართულების ასოციირებული აროგვესორი

### **ევთევან ჭიათურიშვილი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მანეჯმენტის  
მიმართულების უფროსი

### **რუსულ დალაპირიშვილი-გივიაძი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მანეჯმენტის  
მიმართულების აროგვესორი

### **შალვა ჰალაპიძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მანეჯმენტის  
მიმართულების ასოციირებული აროგვესორები

### **ვიზუალური კონფერენციების მიმღები**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა  
და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

### **მიხეილ შავთვალაძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა  
და უსაფრთხოების მიმართულების აროგვესორი

### **ვიზუალური კონფერენციების მიმღები ჩავთვალიძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხელმძღვანელი

### **ნიკოლოზ ესიმაშვილი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი  
ცენტრის მთავარი მიზნიერი



## სარჩევი

"აოლითიკა და საერთაშორისო ურთიერთობები"	9
ბრიტანეთის გენერალი მარია ბალაზაძე	
პლაუზევიცის მოძღვრების ფილოსოფიური პრინციპები და ასპექტები	16
ირაკლი ბათიაშვილი	
პრითიკული ინფრასტრუქტურის გრადაცია	23
პოლკოვიკი მურთაზ გუჯარაძე	
თავდაცვის დაგენერის მეთოდოლოგიების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები	28
გიორგი დოლიძე	
ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები	34
პოლკოვიკი ჩამარჯვე ზალომვილი	
ომის პრინციპები - რათომ შერა?	40
თადარიმის გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე	
რამდენად მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ძალები	
თანამედროვე საომარ მოქმედებები?	
ამ მაღალ ფეხოლოდობის სანაში არის თუ არა ის საჭირო?	
პოლკოვიკი გიორგი ლალიაშვილი	48
საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის	
თერიტორიული მთლიანობის გამოვლენები 1918-1921 წლებში	
ირაკლი ლეონიძე და ნათია ლეონიძე	54
მაღალი გალისტიკური ეფექტიანობის ლითონერგამიცალი	
ფილების მიღების მეთოდის ფეხოლოდობის კვლევა-დამუშავება	
ზაქარია გელაშვილი, თეიმურაზ ნამიჩევიშვილი, ზურაბ ასლამაზაშვილი, გიორგი პარუნაშვილი, გარემინ ზახაროვი, მიხეილ ჩიხარევი, მიხეილ ჩიხარევი და	
კონსტანტინე პაპავა	61

„რუსი ზონები”, რომორც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დასტაბილიზაციის ფაქტორი და ჩამონვევა XXI საუკუნეში ეთევან გესხიძე	69
<b>სამხედრო საინიციატივო ძალების მამოყინების მნიშვნელობა სამხედრო ოპერაციების დროს 2010-კოლკოვის ზურაბ სამხარაძე</b>	<b>77</b>
საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობით დაკომისალებელების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ბრიგადის გენერალ-მაიორი თანამდებობის შესაბამის	83
ნათოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია 2030 წლის შემდგომ ეთევან ჩახავა	89
სამხედრო ლიდერობის ზოგიერთი ასპექტი და ათრიბუტი 2010-კოლკოვის კონკა წილინაძე და ნუნი ოვსიანიძე	95
<b>2016 წლის სამხედრო გადატრიალების მფლობელობა თურქეთში და მისი შედეგები კაპიტანი ხვისტა ხოზრევანიძე</b>	<b>101</b>

## **CONTENT**

<b>"POLITICS AND INTERNATIONAL RELATIONS"</b>	
BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE	<b>9</b>
<b>PHILOSOPHICAL PRINCIPLES AND ASPECTS OF CLAUSEWITZ' DOCTRINE</b>	
IRAKLI BATIASHVILI	<b>16</b>
<b>CRITICAL INFRASTRUCTURE GRADATION</b>	
COLONEL MURTAZ GUJEJANI	<b>23</b>
<b>ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF DEFENSE</b>	
<b>PLANNING METHODOLOGIES</b>	
GIORGİ DOLIDZE	<b>28</b>
<b>CONNECTED GROUND OPERATIONS</b>	
COLONEL JAMBUL ZALOSHVILI	<b>34</b>
<b>THE PRINCIPLES OF A WAR - WHY NINE?</b>	
RESERVE LIEUTENANT GENERAL DAVIT TEVZADZE	<b>40</b>
<b>HOW IMPORTANT IS SOF (SPECIAL OPERATION FORCES) TO MODERN</b>	
<b>WARFARE? IN THIS TECHNOLOGICAL AGE, IS IT INDISPENSABLE?</b>	
COLONEL GIORGI LAGHIASHVILI	<b>48</b>
<b>CHALLENGES OF TERRITORIAL INTEGRITY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF</b>	
<b>GEORGIA IN 1918-1921</b>	
IRAKLI LEONIDZE AND KHATIA LEONIDZE	<b>54</b>
<b>RESEARCH AND DEVELOPMENT OF TECHNOLOGY FOR</b>	
<b>PRODUCTION HIGH BALLISTIC EFFICIENCY METAL CERAMIC PLATES</b>	
ZAQARIA MELASHVILI, TEIMURAZ NAMICHEISHVILI, ZURAB ASLAMAZASHVILI, GEORGE PARUNASHVILI, GAREGIN ZAKHAROV, MIKHEIL CHIKHRADZE AND KONSTANTINE PAPAVA	<b>61</b>

**„GRAY ZONES“ AS A FACTOR OF DESTABILIZATION THE MODERN  
WORLD ORDER AND CHALLENGING OF XXI CENTURY**

KETEVAN MESKHIDZE

**69**

**THE IMPORTANCE OF USING MILITARY ENGINEERING FORCES DURING MILITARY  
OPERATIONS**

LIEUTENANT COLONEL ZURAB SAMKHARADZE

**77**

**THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVING THE PERSONNEL RECRUITMENT SYSTEM  
OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES**

BRIGADIER GENERAL TENGIZ SHUBLADZE

**83**

**NATO'S NEW STRATEGIC CONCEPT AFTER THE COLD WAR**

KETEVAN CHAKHAVA

**89**

**SOME ASPECTS AND ATTRIBUTES OF MILITARY LEADERSHIP**

LIEUTENANT COLONEL KOBA TCHITCHINADZE AND NUNU OVSYANNIKOVA

**95**

**THE 2016 MILITARY COUP ATTEMPT IN TURKEY AND ITS RESULTS**

CAPTAIN KHVICHA KHOZREVANIDZE

**101**

# **“პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები”**

**ბრიგადის მენერალი მამია ბალახაძე  
დოკუმენტი**

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რეპრონი**

## **აბსტრაქტი**

“პოლიტიკა” ბერძნული სიტყვების “polis” (ქალაქი-სახელმწიფო) და “techné” (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომელებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში.<sup>1</sup>

მაკიაველი სიტყვებით “ყველაფერი პოლიტიკა არ არის, თუმცა პოლიტიკა ყველაფრით ინტერესდება.” შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების მოწყობისა და ურთიერთდამოვიდებულების საკითხებს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებს, ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, თავდაცვის სტრატეგიებს და მრავალ სხვა საკითხს.

პოლიტიკას ჰყავს თავისი მონაწილეობიც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა მათში პოლიტიკოსები იგულისხმებიან, რომლებიც მონაწილეობენ ან სურთ, რომ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესრულებაში. როგორც წესი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც საკუთარ პროგრამებში განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მათეულ ხედვას.

### **საკვანძო სითყვები:**

პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, დემოკრატია, პოლიტიკური რეფიმები, იდეოლოგიები.

# **"POLITICS AND INTERNATIONAL RELATIONS"**

**BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE**

**PH.D**

**RECTOR OF LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

## **ABSTRACT**

"Politics" is a combination of the Greek words "polis" (city-state) and "techné" (science) and means the science of governing the state. In the modern sense, politics includes all the ideologies, strategies or activities that are related to the governance of the state and its relations with other states.<sup>2</sup>

According to Machiavelli, "everything is not political, but politics is interested in everything." We can say that the politics covers issues of arrangement and interdependence of state bodies, economic, social, cultural spheres, foreign relations of the country, defense strategies and many other issues.

Politics has its participants as well. First of all, of course, it implies politicians who participate or want to participate in governing the country, defining and fulfilling its priorities. As a rule, politicians unite in political parties or public movements, which define their vision of the development of the state in their programs.

**KEYWORDS:**

Politics, International Relations, Democracy, Political Regimes, Ideologies.

---

<sup>2</sup> <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>

## რა არის პოლიტიკა ?

“პოლიტიკა” ბერძნული სიტყვების “polis” (ქალაქი-სახელმწიფო) და “techné” (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომლებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში.<sup>3</sup>

მაკიაველი სიტყვებით “ყველაფერი პოლიტიკა არ არის, თუმცა პოლიტიკა ყველაფრით ინტერესდება.” შევიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების მოწყობისა და ურთიერთდამოვიდებულების საკითხებს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებს, ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, თავდაცვის სტრატეგიებს და მრავალ სხვა საკითხს.

პოლიტიკას ჰყავს თავისი მონაწილეებიც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა მათში პოლიტიკოსები იგულისხმებიან, რომლებიც მონაწილეობენ ან სურთ, რომ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესრულებაში. როგორც წესი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც საკუთარ პროგრამებში განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მათეულ ხედვას.

პოლიტიკა კონფლიქტისა და თანამშრომლობის მონაცვლეობაზეა აგებული. ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების, ინტერესებისა და საჭიროების არსებობა ნიშნავს, რომ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის უთანხმოება გარდაუვალია. მაგრამ პოლიტიკის მონაწილეებს ისიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ინტერესების მიღწევა და საკუთარი მოსაზრებების გატანა მხოლოდ კონფლიქტის საშუალებით შეუძლებელია და სხვა ადამიანებთან თანამშრომლობას საჭიროებს. ამიტომაც, პოლიტიკა უთანხმოების გადაწყვეტის ძიების პროცესს წარმოადგენს.<sup>4</sup>

ხდება ისეც, რომ უთანხმოების გადაწყვეტა მშვიდობიანად ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში საქმე მიდის რევოლუციამდე და ომამდე. ომი და ძალადობა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.<sup>5</sup>

პოლიტიკური იდეები საუკუნეებს უძლებს და ახალი ფორმით ბრუნდება საზოგადოებაში. ამ იდეებს ხშირად უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ყველაზე ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებს და მსოფლიო რელიგიებს. პოლიტიკა არ არსებობს იდეების გარეშე, რადგან ადამიანები სწორედ იდეების გარშემო ირაბმებიან თავიანთი მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კატეგორია ძალაუფლებაა. ძალაუფლება არის უნარი აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვაგვარად არ გააკეთებდა.

პოლიტიკა ადამიანთა ურთიერთექმედების ისეთი სისტემაა, რომელიც ამ ძალაუფლების მოპოვებას, შენარჩუნებას, გაზრდასა და გავრცელებას ისახავს მიზნად. პოლიტიკაში ჩაბმულები არიან არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფები და მთელი სახელმწიფოებიც კი.

ძალაუფლება ადამიანთა ურთიერთობებში ვლინდება. ავტორიტეტი და იძულების მუქარა ძალაუფლების მთავარი ატრიბუტებია.

პოლიტიკის ბუნება ყველაზე კარგად სახელმწიფოს მოწყობასა და მის ქმედებებში ვლინდება.

სახელმწიფოს მართვა მთავრობას აკისრია, რომელიც საზოგადოებაზე კონტროლს ახორციელებს, რათა კოლექტური გადაწყვეტილებები სისრულეში მოიყვანოს. ამიტომაც ხშირად პოლიტიკას მთავრობასთან, სახელმწიფოებთან აიგივებენ, პოლიტიკის შესწავლას კი – მთავრობის შესწავლასთან.

პოლიტიკის გაგება შეიძლება როგორც ინსტიტუციური, ასევე ინდივიდუალური თვალსაზრისით.

- ინსტიტუციური მიდგომა პოლიტიკაში გულისხმობს საჭარო საკითხების კვლევას, მთავრობის ქმედებების შესწავლას და სახელმწიფოს ფუნქციების განსაზღვრას.

- პიროვნული მიდგომის შესწავლის ობიექტია კერძო პირების მოღვაწეობა, მთავრობის გავლენის მიღმა მყოფი საკითხები და საზოგადოებრივი პროცესები.

თანამედროვე სამყაროში პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტი სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაა. თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით კი დემოკრატიულ ქვეყნებში, სახელმწიფო რელიგიისგან გამიცნული უნდა იყოს, მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება. რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთში შერევამ შეიძლება სერიოზულად დააზარალოს ადამიანის უფლებები: რელიგია, თავისი ხასიათით, უზენაესი ჭეშმარიტების მქადაგებელია, პოლიტიკა კი, არსებითად, დაპირისპირებული აზრების, კამათისა და უთანხმოების ასპარეზია.

რამდენიმე ათეული წლის წინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს უფრო ზუსტი სამეცნიერო მეთოდები გამდევნებინათ და პოლიტიკური ფაქტების და მათი გამომწვევი მიზეზების რიცხვების საშუალებით შესწავლას

3 <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>

4 ხელაშვილი. გ. რა არის პოლიტიკა? // ჩემი სამყარო, 2013, №1, გვ. 22

5 ხელაშვილი. გ. რა არის პოლიტიკა? // ჩემი სამყარო, 2013, №1, გვ. 22

მოჰკიდეს ხელი.

პოლიტიკის შესწავლის რაოდენობრივი მეთოდის მიზანი პოლიტიკური პროცესების და მათი შედეგების მათემატიკური და სტატისტიკური საშუალებებით ახსნა, გავება და პროგნოზირება.

რაოდენობრივი მეთოდის გამოყენების კარგი მაგალითი დემოკრატიულ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შედეგების ანალიზია – „რამდენმა ვინ ვის და სად მისცა ხმა არჩევნებში? და რომელმა ფაქტორებმა განაპირობა საარჩევნო ხმების ამგვარი განაწილება?“

ნორმატიული პოლიტიკური მეცნიერება ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ როგორი იქნებოდა იდეალურად მოწყობილი საზოგადოება ან ამ საზოგადოების რომელიმე ასპექტი.

ემპირიული პოლიტიკური მეცნიერების მიზანი ვი ვითარების უემციო, მიუმხრობელი, ფაქტებით გამყარებული ანალიზია.

არსებობს პოლიტიკური იდეოლოგიის ორი ტრადიციული მიმდინარეობა - მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობები. იმის მიხედვით, რომელი ფასეულობები - ტრადიციული თუ ნოვაციური-მიზნევა ქვეყნის წინსვლის და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიღწევის საკუთეოს საშუალებად.

რაც შეეხება კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ისინი მრავალრიცხოვანია, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული იდეოლოგიებია:

1. **ლიბერალიზმი** თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეოლოგია;

2. **კონსერვატიზმი**, რომელიც მემარჯვენეობასთან ასოცირდება და ძველ, ტრადიციულ ფასეულობების სცემს ჰატივს.

3. **სოციალიზმი** ტიპიური მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მთავარ საყრდენს სოციალური თანასწორობის, უფრო ზუსტად ვი უთანასწორობის მაქსიმალურად შემცირების იდეა წარმოადგენს;

4. **ფაშიზმი** რადიკალურად მემარჯვენე, ტოტალიტარულ-ნაციონალისტური იდეოლოგია. იგი პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოცენდა იტალიაში და მეორე მსოფლიო ომის ეპოქის გერმანიაში თავის აპოგეას მიაღწია. ფაშიზმის იდეოლოგია რასობრივ და/ან ეროვნულ უპირატესობას ემყარება;

5. **კომუნიზმი** რადიკალურად მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც სოციალიზმის ერთგვარ ექსტრემალურ გაგრძელებას წარმოადგენს და რომლის მიზანიც სოციალური უთანასწორობის საბოლოო აღმოფხვრაა;

6. **ანარქიზმი** უტოპიური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ხელისუფლება გულისხმობს ინდივიდზე ძალადობას, რის გამოც ანარქისტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება, როგორც ასეთი, საერთოდ უნდა გაუქმდეს.

პოლიტიკური რეჟიმი არის ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მართვის ფორმა. პოლიტიკური რეჟიმები იყოფა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებად.<sup>6</sup>

**დემოკრატიული რეჟიმი**, სადაც:

- მმართველობა ხორციელდება ხალხის ან მის მიერ კანონიერი გზით არჩეული წარმომადგენლების მიერ;

- გადაწყვეტილება, ამა თუ იმ სფეროში ან საკითხშე, მიიღება საზოგადოების და დაინტერესებული პირების თუ ჰგუთების აზრის გათვალისწინებით;

- ხელისუფლების სხვადასხვა შტოები ერთმანეთისგან განცალკევებულია გადანაწილებულია სხვადასხვა ინსტიტუტებში და ორგანოებში, რომლებიც ერთმანეთს აკონტროლებს და აბალანსებს;

- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები აღიარებული და რეალიზებულია.

საპირისპიროდ, **არადემოკრატიული რეჟიმი**, სადაც ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის (დიქტატორის) ან პირთა ჰგუთის (როგორც წესი, პოლიტიკური პარტიის) ხელში, რომელსაც ასევე სათავეში უდგას დიქტატორი;

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განსაკუთრებით, გამოხატვის თავისუფლება, იგნორირებული ან მოჩვენებითა.

არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებში, ძირითადად, გამოყოფენ **ტოტალიტარიზმს** და **ავტორიტარიზმს**.

გარდა არადემოკრატიული რეჟიმების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, ტოტალიტარიზმი ხასიათდება:

- სახელმწიფო იდეოლოგიით, რომელიც მოიცავს, განსაზღვრავს და აკონტროლებს საზოგადოების, ინდივიდების ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის, პირად ცხოვრებას;

- რეპრესიებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ემსახურება გაბატონებული იდეოლოგიის მოწინააღმდეგების განადგურებას და ამ გზით საზოგადოებაში შიშის დათესვას, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი, ორგანიზებული წინააღმდეგობა.

ტოტალიტარული რეჟიმები ძირითადად დაფუძნებულია კომუნისტურ (საბჭოთა კავშირი) ან ფაშისტურ (გერმანია 1933-45 წლებში) იდეოლოგიაზე.

დღესდღობით, ტოტალიტარული სახელმწიფოს თვალსაჩინო მაგალითი ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც ბატონობს კიმ იონგ-უნი, სასტიკი დიქტატორი, რომელიც დიქტატორების მესამე თაობას წარმოადგენს (მამამისი - კიმ ჩენ-ირი ასევე ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს და იყო “დიდი ბელადის”, კიმ ირ-სენის შვილი), რომლის ხელშიც თავმოყრილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებები სრულიად უგულვებელყოფილია. მაგალითისთვის, ადამიანები მხოლოდ იმიტომ შეიძლება დაპატიმრონ ან სიკვდილით დასაჯონ, რომ დიქტატორის გამოჩენაზე სათანადო სიხარული არ გამოხატეს.<sup>7</sup>

ავტორიტარულ სახელმწიფოში ძალაუფლება ასევე ერთ ადგილასაა თავმოყრილი, თუმცა, ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, ავტორიტარული რეჟიმის მთავარი მიზანი მმართველი ჰგუფის და დიქტატორის ძალაუფლების შენარჩუნებაა და არა სახელმწიფო იდეოლოგიის გაბატონება, შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს სფეროები, სადაც ადამიანებს მეტ-ნაკლებად თავისუფლად საქმიანობის საშუალება ეძლევათ მანამ, სანამ დიქტატორის ძალაუფლებას არ დაუპირისპირდებიან ან მის ინტერესებს არ გადაკვეთენ.

ავტორიტარული სახელმწიფოს მაგალითად შეგვიძლია რუსეთის ფედერაცია დავასახელოთ, რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფოა და ევროპის საბჭოს წევრიც კია, თუმცა მასში ბატონობს ერთი პირის - პუტინის რეჟიმი, რომელიც 1999 წლიდან პრაეტიკულად ერთპიროვნულად მართავს სახელმწიფოს. რუსეთში ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, მაქსიმალურად იზღუდება.

## საერთაშორისო ურთიერთობები

სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზი მთელი მსოფლიოა. სახელმწიფოები იძრძვიან თავიანთი ძლიერების და უსაფრთხოების გაზრდისთვის, ხშირად სხვა სახელმწიფოების ხარჯები. მსოფლიო პოლიტიკაში ერთი სახელმწიფოს წარმატება სხვა ქვეყნების მხრიდან უარყოფით რეაქციას იწვევს, რადგან სახელმწიფოები ერთმანეთს ძნელად ენდობიან.

ყველა სახელმწიფოს ქვევა, ანუ მათი საგარეო პოლიტიკა, ეროვნულ ინტერესებს ემყარება. თუ სახელმწიფო სწორად ვერ შეაფასებს ძალაუფლების განაწილების და წონასწორობის ვითარებას, იგი შეიძლება დასუსტდეს და მსოფლიო რუკიდან გაქრეს კიდევ.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობებით აღსავს იყო. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა თეორიული დებატები გრძელდება და დღესაც არ არსებობს ამ დისციპლინის ყველას მიერ აღიარებული დეფინიცია, მისი კვლევის ობიექტისა და ძირითადი პოსტულატების ერთნაირად გაგება და ფორმულირება. ამის მიზები პირველ ყოვლისა არის ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, გეოგრაფიის, დიპლომატიის, დემოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, ეთნიკის, აგრეთვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას. ამის მიზები იყო, რომ თითქმის XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა დავა, ელიარებინათ საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, თუ მისი „ენციკლოპედიურობისა“ და დისციპლინათაშორისი ხასიათის გამო იგი რამდენიმე დისციპლინად „დაენაწილებინათ“.

ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“ პირველად გამოიყენა თითქმის ორი საუკუნის წინათ ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა. იგი ერთდროულად მიგვითიერებს სამეცნიერო დისციპლინაზეც და მისი კვლევის ობიექტზეც. მოხდა ისე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დიდხანს შეისწავლებოდა რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის (დიპლომატიის ისტორია, საერთაშორისო სამართლი, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, მსოფლიო ეკონომიკა და სხვ.) თვალსაწიერიდან. ამის გამო, ისეთი სპეციფიკური სფერო, როგორიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა კომპლექსია, სპეციალური თეორიული კვლევის გარეშე აღმოჩნდა.<sup>8</sup>

საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ისტორიისა და სამართლის წიაღიდან გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიის ისტორიკოსები იყვნენ დაკავებულნი

7 <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>

8 ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006, გ3. 7

სხვადასხვა ისტორიული ფაქტების ანალიზით, თუმცა, ამ ფაქტების განჩოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია, პუბლიცისტივის და უურნალისტების როლი;

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩადებამ.

ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდა კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულებით და მისი ხედვა აიგო ერთი თეორიის - იდეალიზმის საფუძველზე.<sup>9</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი 14 პუნქტი მიიჩნევა იდეალიზმის მანიფესტად. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატის აღვეთის შესახებ და შეთანხმებების ღიად დადების აუცილებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანავის დამლით დასრულდა „ცივი ომი“, რომელიც მიმდინარეობდა აშშ-სა და სსრ კავშირს შორის. ამით დამთავრდა მსოფლიოში ბიპოლარული სისტემა და წარმოიშვა ახალი რეალობა, რამაც გამოიწვია ძალთა თანაფარდობებისა და გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლა - მსოფლიო იქცა ერთპოლარულ სამყაროდ, სადაც მთავარ მოთამაშედ მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატები.

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების პროცესზე, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დაღი დასვა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.<sup>10</sup>

სამხედრო ტექნოლოგიის სწრაფმა პროგრესმა და კაცობრიობის ახალმა „ეკოლოგიურმა“ შეგნებამ ძირებულად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა არსი და ამ მოვლენების შედეგად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებში უსაფრთხოების ადგილი კეთილდღეობამ დაიკავა.

დღეს მსოფლიში არ არსებობს დიდი და პატარა ქვეყანა, რომელიც უსაფრთხოდ იქნება. „დილემა სწორედ ისაა, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი“<sup>11</sup>

ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსათვის უსაფრთხოების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ბევრ რამეს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს არის სუვერენიტეტის, ქვეყნის მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურული თვითმყოფობის დაცვა-შენარჩუნება.

ერთიქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდა აიძულებს მის მეტოქეს თავიანთი სამხედრო შესაძლებლობის გაძლიერებაზე იზრუნონ. ნათელია, რომ ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი არ არის უსაფრთხოდ, რადგანაც მისი მეტოქები, საპასუხოდ, საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებას ცდილობენ და ამგვარ კონკურენციას ბოლო არ უჩანს დილემა სწორედ ისაა, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი.

სამყაროში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ძალას, ძლიერებას აღიარებდნენ, უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სავსებით გასაგებია.

ყოველ ქვეყანას უსაფრთხოების საკუთარი პირობები და პრობლემები აქვს. ძლიერი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები განსხვავდება სუსტი ქვეყნის ანალოგიური პრობლემებისაგან, თუმცა მათ ბევრი საერთოც ახასიათებთ, უსაფრთხოების ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემები ექმნებათ.

გეოპოლიტიკურ სფეროში ცვლილებები გამოიხატა ევრაზის კონტინენტზე ძალათა ბალანსის ძირებული შეცვლით, დასავლეთის ინსტიტუტების განვრცობითა და გაფართოებადი ევროპის დაბადებით. მას ემატება ტრადიციული კონფლიქტების დარეგულირება და ახალი კონფლიქტების წარმოშობა. ამასთან ირკვევა, რომ ევროპას აშშ-ს გარეშე არ გააჩნია რესურსები ამ კონფლიქტების დარეგულირებისათვის და ევრაზის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ეკონომიკური ძვრები - გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გლობალურად გავრცელებას. ამ ტიპის ეკონომიკამ უკვე მოიცვა გიგანტური სივრცეები ყოფილი სსრ კავშირის და მისი სატელიტების, აგრეთვე კონტინენტური ჩინეთისა.

ტექნოლოგიური ძვრები - გამოიხატება ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარე ყოველდღიური რევოლუციებით, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათზე. არნახული წარმატებებია კომუნიკაციური ტექნოლოგიების და კოსმოსის ათვისების სფეროშიც.

სამხედრო ხასიათის ძვრები განისაზღვრება როგორც პოლიტიკური და გეოპოლიტიკური, ასევე ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორებით. აქედან გამომდინარეობს დასავლეთის წამყვანი როლი სამხედრო სფეროში (რომელიც გარკვეულწილად რუსეთის სტრატეგიული ბირთვული პოტენციალით

9 Jervis, R. Cooperation Under Security Dilemma. "WorldPolitica" Vol 30 N 1 1978

10 <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>

11 R. Jervis. Cooperation Under Security Dilemma. "WorldPolitica" Vol 30 N 1 1978, p. 30

ბალანსდება). სამხედრო ძალის განმსაზღვრელი განადგურების საშუალებებთან ერთად მართვისა და დაზვერვის საშუალებებიც ხდება, უპირველეს ყოვლისა, კოსმოსური. ახალი რევოლუცია სამხედრო სფეროში მოსალოდნელია XXI საუკუნის 20-იანი წლებისთვის. ეს ფაქტი ძირეულად შეცვლის ჩვენს წარმოდგენებს სამხედრო მოქმედებების ხასიათზე.

კულტურული ძვრები - ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის ეროვნული თუ სხვა სახის ბარიერების თანდათანობითი გაერობით გამოიხატება.

თანამედროვე მსოფლიოში სახელწიფო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია, ეროვნულ გადარჩენასთან, გლობალური და რეგიონალური უშიშროების სფეროში ჩატარებული კვლევები კონცენტრირებას ახდენენ, სახელმწიფოს უსაფრთხოების საფრთხეთა ცვლილებების შესწავლაზე.

კოლექტური უსაფრთხოება წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ან განსაზღვრული რეგიონის ერთობლივი მოქმედებების სისტემას, რომლებიც ხორციელდება იმ საფრთხეების თვიდან ასაცილებლად, რაც ემუქრება მშვიდობას, აგრეთვე აგრესის აქტების დათრგუნვის მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტებულ ევროპას არ შეეძლო დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაეწია ომში გამარჯვებული საბჭოთა სახელმწიფოსაგან მოსალოდნელი აგრესისათვის, რომელმაც საგრძნობკად განიმტკიცა პოზიციები.<sup>12</sup>

საჭირო იყო ერთიანი, ძლიერი კოლექტური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. 1948 წელს საფუძველი ჩაეყარა ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციას - ნატოს, რომლის ძირითადი დანიშნულება და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ წევრ-სახელმწიფოებს დაეხმარეოს აგრესის მოგერიებაში, რაც გათვალისწინებულია გაეროს წესდებით.

გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, თუკი მოხდება შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრზე, არავითარ შემთხვევაში არ ხება ინდივიდუალური ან კოლექტური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას მიმდინარე, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელ ნორმებს.

მრავალრიცხოვან უნივერსალურ თუ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO), ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ახალი არქიტექტურის მშენებლობაში ცენტრალური როლი და მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება. უხლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური აღიანსი XXI საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში.

უსაფრთხოების ახალი გარემო აღიანსისაგან მოითხოვს: ტრანსფორმაციასა და ბალანსის ძიებას მის ტრადიციულ მისიებსა და ახალ გლობალურ საფრთხეებს შორის;

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარი მოქმედი პირებისახელმწიფოებია, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები, რეჟიმები, რეგიონები და, ხმირად, ინდივიდებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საერთაშორისო პოლიტიკის მიზანი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევაა, მაგრამ, ჰერცეგობით, კაცობრიობამ ამ მიზნის მიღწევა ვერ მოახერხა.

## მათოყვებული ლითერატურა

- Akobia, E. International Relations Theory, Tb., 2006
- Gvenetadze, E. International Security and Conflicts
- Durmishidze, I. Toronjadze, The role of the world's civilization aspects in the International Relations
- Kakachia, K. The concept of the National Interests. 2008
- Rondeli, Al., International Relations, Tb. 2006
- Rondeli, Aleksandre. Little country in the International System : [monograph], Tb., 2009
- Chitadze, N. Nato - North Atlantic Treaty alliance as a peace and security guarantor in the world.
- Khelashvili. G. What is my politics? My world, 2013, N1

12 ჩიტაძე, ნ. ნატო - ჩრდილოატლანტიკური აღიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ., 2008, გვ. 10

# პლაზმიციტის მოძღვრების ფილოსოფიური პრინციპები და ასპექტები

## ირაკლი ბათიაშვილი ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

### პრეზენტაცია

ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუსტევიცის სახელგანთქმული შრომის - „ომის შესახებ“ - გარკვეული ფილოსოფიური პრინციპების, ასპექტების ანალიზი და იმ ვითარების ცხადყოფა, რომ ისინი ჩვენს თანადროულ რეალობაში კვლავაც აქტუალურ ხასიათს ატარებენ. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ომის ბუნების ანალიზს. ჰერ ისმის ფუნდამენტური კითხვა: რა არის ომი? ლოგიკურად თანმიმდევრული მსჯელობების გამლა-განვითარების მიზანია განმარტოს თავად ომის ფენომენი. ეს ჰერ იწყება მისი განცენებული ცნების წმინდა ლოგიკური ანალიზით და განსაზღვრით. ასეთი კუთხით ომი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ გაფართოებული ორთაბრძოლა. მის უახლოეს მიზანს შეადგენს მონინააღმდეგის შემუსვრა, რის შედეგადაც მან უნდა დაკარგოს შემდგომი წინააღმდეგობის გაწვის უნარი. ამგვარად, ომი - ესაა ძალადობის აქტი, რაც დამიზნებულია შემდეგზე: ვაიძელოთ მონინააღმდეგ, რათა შეასრულოს ჩვენი ნება. ამასთან ერთად საომარ დაპირისპირებაში ერთი მეორეს უწესებს ვანონს: სახელდობრ, ორივე დაპირისპირებულმა მხარემ უკიდურესად უნდა დაძაბოს თავისი ძალები, და არ არსებობს რაიმე ზღვარი ამ პროცესისათვის გარდა იმისა, რაც თითოეულმა სუბიექტმა შეიძლება დაუდგინოს თავის თავს გარკვეული შიდა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამგვარად, კლაუსტევიცის მიხედვით, თავად ომის ბუნებიდან გამომდინარეობს სწრაფვა ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისავენ.

მაგრამ ეს მსჯელობანი ჰერ-ჰერობით დაფართატებენ განცენებული ცნებების სფეროში და ე.ი. ჩვენ ჰერ-ჰერობით დაკავებული ვართ მხოლოდ ომის განცენებული ცნების ლოგიკური ანალიზით. ხოლო როდესაც აბსტრაქტული მსჯელობებიდან გადავდივართ რეალობაზე და მაშასადამე, ომის ფენომენის ანალიზისა უკვე ვითვალისწინებთ რეალურ ფაქტორებს, მაშინ ჩვენს წინაშე ისახება სულ სხვა სურათი: სახელდობრ, სინამდვილეს შემოაქვს ე.ნ. ზომიერმყოფი მოქმედების ეფექტი ანუ იგი შემავავებლად ზემოქმედებს საომარ პროცესზე, რის შედეგადაც ეს უკანას ვნელი აღარ მიისწრაფვის უკიდურესობებისავენ. შემდგომ ავტორი აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება რეალობის ე.ნ. ზომიერმყოფელი(დამაბალანსებელი) ზემოქმედება და დეტალურად ანალიზებს თითოეულ ფაქტორს. ბოლოს, რეალურ და აბსტრაქტულ-ლოგიკურ განზომილებები წარმართული მსჯელობების სინთეზის საფუძველზე კეთდება შემდეგი დასკვნა: ომი გვევლინება სამი არსებითი ელემენტის დიალექტიკურ მთლიანობად - პირველი, ესაა, ძალადობა, რაც თავის თავში გულისხმობს სიძულვილის, მტრობის, აგრესის იმპულსებს და რაც განეკუთვნება ბრძა ბუნებრივი ინსტიქტის სფეროს; მეორე, ესაა, ალბათობების და შემთხვევითობების თამაში, რაც განეკუთვნება თავისუფალი სულიერი მოღვაწეობის სფეროს; და მესამე, ესაა, პილიტიკის იარაღი, რაც განეკუთვნება წმინდა განსჯის სფეროს. თეორია, რომელიც უგულებელყოფს რომელიმეს ამ სამთაგან, ან კიდევ შეეცდება წარმოგვიდგინოს მათი თვითნებური(არაობიექტური) ურთიერთთანაფარდობა, უთუოდ, მოვა წინააღმდეგობაში ობიექტურ სინამდვილესთან. ამგვარად, მისი ამოცანაა განსაზღვროს და შეინარჩუნოს ობიექტური წონასწორობა(ბალანსი) ამ სამ მომენტს შორის.

რაც უფრო მეტად გრანდიოზულია, ფართო-მასტებიანია პოლიტიკური მიზანი და რაც უფრო მეტად ჭარბობს აგრესიული იმპულსები, დაძაბულობა დაპირისპირებული ქვეყნების ხალხებში, მით უფრო ომი უახლოვდება თავის აბსტრაქტულ-ლოგიკურ ბუნებას ანუ თავის იღებას და იღებს გამანადგურებელი შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათს; და პირიქით, რაც უფრო ნაკლებ-მასტებურია პოლიტიკური მოტივი და რაც უფრო ნაკლებადაა სახეზე აგრესიული ტენდენციები, მით უფრო შორიდება ამით თავის ლოგიკურ არსს და იღებს უფრო დაბალი ინტენსივობის ანუ ნაკლებ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ხასიათს. აქედან კი გამომდინარეობს ომის სახეების მრავალფეროვანი სპექტრის არსებობა, დაწყებული უკიდურესად მაღალ-ინტენსიური და დამთავრებული უკიდურესად დაბალ-ინტენსიური სამხედრო მოქმედებების ფორმებით - ას, ამ დასკვნამდე მივყავართ ორ განსხვავებულ განზომილებაში წარმოებული ექსპლიკაციების ურთიერთშექრებას. ვფიქრობ, რომ კლაუსტევიცის მიერ ჩატარებული ეს ბრწყინვალე ანალიზი ომის ფილოსოფიური ასპექტებისა დიდწილად წარუვალი ღირებულების მქონეა და კერძოდ, ზემოთ მითითებული შემაჯამებელი დასკვნები უთუოდ შეინარჩუნებენ თავის აქტუალობას, მნიშვნელობას, ძალას წებისმიერ არეალსა და ეპოქაში.

#### საპანძო სითყვები:

ძალა, ომის ბუნება, კლაუსტევიცის სამება, თანამედროვე ომი

# PHILOSOPHICAL PRINCIPLES AND ASPECTS OF CLAUSEWITZ' DOCTRINE

IRAKLI BATIASHVILI  
AFFILIATED PROFESSOR  
EUROPEAN UNIVERSITY

## ABSTRACT

My task is to analyze certain philosophical principles, aspects of Clausewitz's famous work - "On War" and to show the fact that they are still relevant in our contemporary reality. The first part of the book is devoted to the analysis of the nature of war. First we hear the fundamental question: what is war? The goal of logically consistent reasoning is to explain the phenomenon of war itself. It begins with a purely logical analysis and definition of his detached notion. In this respect, war is nothing more than a somewhat expanded warfare. His immediate goal is to defeat the opponent, as a result of which he must lose the ability to further resist. Thus, war is an act of violence aimed at: forcing the adversary to do what we will. At the same time, in a military confrontation, one sets the law for the other: namely, both opposing parties must extremely strain their forces, and there is no limit to this process other than certain internal factors. Thus, according to Clausewitz, the very nature of war entails an extreme degree of use of violence.

But these reasonings have so far delved into the realm of dissociated concepts, and e.g. We are so far engaged only in a logical analysis of the notion of war. And when we move from abstract reasoning to reality, and therefore, when analyzing the phenomenon of war, we already take into account the real factors, then we are presented with a completely different picture: namely, it actually brings the effect of so-called moderate action. The author further specifies what is manifested in the so-called reality: moderate (balancing) impact, and analyzes each factor in detail. Finally, based on the synthesis of pagan reasoning in the real and abstract-logical dimensions, the following conclusion is made: War appears as a dialectical whole of three essential elements - first, that is, violence, which implies hatred, enmity, aggression and belonging to the natural; the second is the play of probabilities and coincidences, which belongs to the realm of free spiritual activity; and third, that is, the weapon of politics, which belongs to the realm of pure reasoning. A theory that ignores any of these three, or even attempts to present their arbitrary (non-objective) relationship, will inevitably come into conflict with objective reality. Thus, its task is to determine and maintain an objective balance between these three elements.

The more grandiose, the wider the political goal, and the more aggressive impulses, tensions prevail in the peoples of opposing countries, the closer war comes to its abstract-logical nature or idea and takes on the character of a devastating armed conflict; conversely, the smaller the political motive and the less aggressive the tendencies in the face, the more the war deviates from its logical essence and takes on the character of a lower intensity or less mortal-vital confrontation. Hence, the existence of a diverse spectrum of types of warfare, ranging from extremely high-intensity to extremely low-intensity forms of hostilities - leads to the concurrence of two different dimensions of explication. I think that this brilliant analysis by Clausewitz of the philosophical aspects of war is largely of undeniable value, and in particular, the above conclusions will undoubtedly retain their relevance, significance, power in any area and epoch.

**KEYWORDS:**

Power, the nature of war, Clausewitzian Trinity, modern warfare

ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუზევიცის სახელგანთქმული შრომის - „ომის შესახებ“ - გარკვეული ფილოსოფიური პრინციპების, ასპექტების ანალიზი და იმ ვითარების ცხადყოფა, რომ ისინი ჩვენს თანადროულ რეალობაში კვლავაც აქტუალურ ხასიათს ატარებენ. სანამ შევედგებით საკუთრივ თემის განხილვას, მსურს შევეხო ამ დიდი მოაზროვნის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან შტრიხებს. ვარლ ფილიპ გოტფრიდ ფონ კლაუზევიცი დაიბადა 1780 წლის 1 ივნისს ქალაქ ბურგში(მაგდებურგის მახლობლად). თორმეტი წლის ასაკში იგი მამამ ჩაიყვანა პოტსდამში, სადაც ჩაირიცხა პრუსის არმიის ერთ-ერთ პოლკში შტანდარტ-იუნკერად. ცამეტი წლის კლაუზევიცი უკვე მონაზილეობს ოში რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. 1801 წელს იგი შედის პრუსის სამხედრო აკადემიაში, სადაც სამხედრო თეორიასთან ერთად სწავლობს ისეთ დიდ ფილოსოფოსთა მოძღვრებებს, როგორებიცაა ვანტი, ფიხტე, შლაიერმახერი და ა.შ. მცირე ხნის შემდგომ კი იგი მიიქცევს გენერალ გერჰარდ ფონ შარნკორსტის ყურადღებას, რომელიც ახლო მომავალში პრუსის არმიის გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნება და გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმირების საქმეში.

ნაპოლეონის წინააღმდეგ პრუსის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიის მსვლელობისას კლაუზევიცი პრინც ავგუსტის ადიუტანტია. იენა-აუერშტედტის ცნობილი ბრძოლის დროს, როდესაც საფრანგეთის „გრანდ არმია“ გამანადგურებლად დაამარცხებს პრუსიულ-საქსონურ არმიას, იგი ტყვედ ჩავარდება თავის პრინცთან ერთად და ტყვეობაში იმყოფება საფრანგეთში 1808 წლამდე. პრუსიაში დაბრუნების შემდგომ იგი აქტიურად ერთვება პრუსის არმიის რეფორმირების საქმეში, როგორც გერჰარდ ფონ შარნკორსტის რეფორმატორთა ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი წევრი.

1810 წელს მომავალი დიდი სამხედრო თეორეტიკოსი დაქორნინდა მარი სოფია ფონ ბრიულზე, რომელიც წარმოსდგებოდა არისტოკრატიული ოჯახიდან და იყო უაღრესად განათლებული. თუმცა მალევე საფრანგეთთან ოში დამარცხების შედეგად თავისი სამშობლოს დამცირება-დაკნინებით შეურაცხყოფილმა და შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა კლაუზევიცმა სამსახური დაინიშნ რუსეთის იმპერიის არმიაში, რათა ებრძოლა ნაპოლეონის წინააღმდეგ. მან მონაზილეობა მიიღო ბოროდინოს ბრძოლაშიც. ომის დამთავრების შემდგომ კი 1815 წელს იგი დაინიშნა პრუსის მესამე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად.

ასი დღის კამპანიის მსვლელობისას კლაუზევიცი თავის კორპუსთან ერთად იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ლინისთან და ვავრთან. სწორედ ვავრთან ბრძოლაში მისმა შენაერთმა შეაკავა მარშალ გრუშის არმია და არ მისცა მას საშუალება ფრანგების ძირითად ძალებთან შეერთებისა. აი, ამ ფაქტორმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრიტანულ-პრუსიული კოალიციის გამარცხებაში ვატერლოონთან.

1818 წელს კლაუზევიცს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა პრუსის სამხედრო აკადემიის დირექტორად, სადაც ასწავლიდა თორმეტი წლის განმავლობაში. როდესაც 1831 წელს პოლონელთა აკანყების ჩასახმობად პრუსიამ დაძრა თავისი კარი, იგი დაინიშნეს ამ ძალების შტაბის უფროსად ფელდმარშალ ფონ გნეიზნაუს სარდლობის ქვეშ. სწორედ ამ მოვლენების დროს კლაუზევიცი დაავადდა ქოლერის ეპიდემიით და გარდაიცავალა 1831 წლის თექვსმეტ წოებერს.

მისი მთავარი ნაშრომი - „ომის შესახებ“ - გამოაქვეყნა მარი სოფია ფონ ბრიულმა მეუღლის სიკვდილის შემდგომ 1832 წელს და დროთა განმავლობაში მან უბარმაზარი რეზონანსი გამოიწვია. სწორედ ამ წიგნში ჩამოყალიბებული დასკვნებით ომის ფენომენისა და სამხედრო სტრატეგიის მთელი რიგი პრინციპების შესახებ კლაუზევიცმა დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო თეორიის განვითარების საქმეში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუზევიცის კონცეფციის ზოგად-ფილოსოფიური პრინციპების განხილვა. ამ ნაშრომში - „ომის შესახებ“ - ცხადად ჩანს ავტორის განსწავლულობა ფილოსოფიის სფეროში, კერძოდ, შესანიშნავი ცოდნა გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და აზროვნების დიალექტიკური მეთოდისა. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ომის ბუნების ანალიზს. ჟერ ისმის ფუნდამენტური კითხვა: რა არის ომი? ლოგიკურად თანმიმდევრული მსჯელობების გაშლა-განვითარების მიზანია განმარტოს თავად ომის ფენომენი. კლაუზევიცი წიგნის დასაწყისშივე მიუთითებს თუ როგორი ხასიათი ექნება მის მიერ წარმართულ მსჯელობათა დინამიკას: ჩვენ განვიხილავთ საკვლევი საგნის ცალკეულ ელემენტებს, შემდეგ მის ნაწილებს და ბოლოს, საგანს მთლიანობაში, ე.ი. მის შინაგან ურთიერთვავშირში - ამგვარად, ვმოძრაობთ მარტივიდან რთულისაკენ. მაგრამ მეორე მხრივ, საჭიროა წინასარ გვექნდეს გარკვეული წარმოდგენა მთლიანი საგნის(ე.ი. ომის) არსების შესახებ, რათა გადავიდეთ ნაწილთა და ცალკეულ ასპექტთა განხილვაზე. მაშასადამე, საკვლევი საგნის ადექვატური, სიღრმისეული შემცნება მოითხოვს თავისებურ წრიულ მოძრაობას აზროვნებაში, სახელდობრ, ნაწილიდან მთელისაკენ და მთელიდან ნაწილისაკენ - აი, ამ მიდგომით კლაუზევიცი გვევლინება თანამედროვე პერმენევტიკული მეთოდის(რაც დღესდღეობით უაღრესად პოპულარულია) წინამორბედად.

ომის ფენომენის განმარტება ჟერ იწყება მისი განყენებული ცნების წმინდა ლოგიკური ანალიზით და

განსაზღვრით. ასეთი კუთხით ომი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ გაფართოებული ორთაბრძოლა. მის უახლოეს მიზანს შეადგენს მოწინააღმდეგის შემუსვრა, რის შედეგადაც მან უნდა დავარგოს შემდგომი წინააღმდეგობის განევის უნარი. ამგვარად, **ომი - ესაა ძალადობის აქტი**, რაც დამიზნებულია შემდეგზე: ვაიძელოთ მოწინააღმდეგ, რათა შეასრულოს ჩვენი ნება. აქვე კლაუზევიცი მიუთითებს: ის შეზღუდვები, რომელიც დადებული აქვს ხოლმე ძალადობის ამ აქტს საერთაშორისო სამართლის ნორმების სახით, სინამდვილეში ვერ ასუსტებენ მისი მოქმედების ეფექტს. ომში ფიზიკური ძალადობა ნარმოადგენს საშუალებას, ხოლო მიზანი კი - მოწინააღმდეგისთვის საკუთარი ნების მოხვევას.

ზოგიერთ ფილანტროპს წარმოუდგენია, წერს კლაუზევიცი, თითქოსდა შესაძლებელია ხელოვნურად განსაკუთრებული სისხლისღვრის გარეშე მოწინააღმდეგის განიარღება-დამარცხება და თითქოსდა სამხედრო ხელოვნება სწორედ აქტოვენ უნდა იყოს მიმართული. რამდენადაც შეიძლება მომზიბლავია ასეთი შეხედულება, მიუხედავად ამისა, იგი იღუზია, რომელიც უნდა განვთანცოთ. დიახ, ომი უაღრესად სახითათო საქმეა და ყოველგვარი იღუზიები, რომელთა წყაროც ადამიანური გულკეთილობაა, დამღუცველია ამ საქმისთვის. ამიტომაც ის, ვინც ახორციელებს ძალადობის ამ აქტს მორალური შეზღუდვებისა და სისხლისღვრის თავიდან არიდების გარეშე, უბარმაბარ უპირატესობას იღებს მოწინააღმდეგებრე, თუ კი ეს უკანასკნელი იგივეს არ აკეთებს. ამრიგად, საომარ დაპირისპირებაში ერთი მეორეს უწესებს ვანონს: სახელდობრ, **ორივე დაპირისპირებულმა მხარემ უკიდურესად უნდა დაძაბოს თავისი ძალები**, და არ არსებობს რაიმე ბრვარი ამ პროცესისათვის გარდა იმისა, რაც თითოეულმა სუბიექტმა შეიძლება დაუდგინოს თავის თავს გარვეული შიდა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამგვარად, კლაუზევიცის მიხედვით, თავად ომის ბუნებიდან გამომდინარეობს სწრაფვა ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისავენ. სწორედ ამიტომაც ომი ვერასდოროს იქნება თავისუფალი გრძნობათა სფეროსგან: სიძულვილი, აგრესიულობა, მტრული განწყობა, მოწინააღმდეგის განაღურების სურვილი და ა.შ. - ეს იმპულსები სხვადასხვა ფორმით ყოველთვის მუშაობენ საომარი დაპირისპირების პროცესში, იმისდა მიუხედავად თუ ცივილიზაციური განვითარების რა სტადიაზე იმყოფებიან მისი მონაწილე სუბიექტები.

რაოდენ მცდარია და გულუბრყვილო, რომ შეიარაღებული კონფლიქტი თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებს შორის დავიყუანოთ მათი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის რაღაც მშრალ განსაკისეულ აქტებამდე და ოპერაციებამდე და წარმოვიდგინოთ, თითქოსდა ეს კონფლიქტი უკვე სრულიად თავისუფალია აღნიშნული „ბნელი“ იმპულსებისაგან. თუ კი ცივილიზებული ხალხები ომის დროს აღარ კლავენ ტყვეებს, არ აჩანაგებენ სოფლებს და ქალაქებს, ეს ხდება იმიტომ რომ სამხედრო მოქმედებები იღებენ სულ უფრო მეტად რაციონალურ ხასიათს: აე სულ უფრო მეტად დომინირებს გონება, რომელიც შესაბამისად ირჩევს ძალადობის გამოყენების უფრო ეფექტურ საშუალებებს, ვიდრე ესაა სისასტიკის ველური ფორმები - აღნიშნავს ავტორი. ამგვარად, ომის არსება ყველგან და ყოველთვის უცვლელი რჩება: იგი წარმოადგენს ძალადობის აქტს და მიისწრაფვის ამ ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისავენ.

მაგრამ ეს მსჯელობანი ჰერ-ჰერობით დაფართატებენ განყენებული ცნებების სფეროში და ე.ი. ჩვენ ჰერ-ჰერობით დაკავებულნი ვართ მხოლოდ ომის განყენებული ცნების ლოგიკური ანალიზით, რაც იძლევა ომის აბსოლუტურ, თუმცა აბსტრაქტულ გაგებას - გვეუბნება კლაუზევიცი. დიახ, ყოველივე ამას არავთარი კავშირი არა აქვს რეალურ სინამდვილესთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ზედმეტია. ხოლო როდესაც აბსტრაქტული მსჯელობებიდან გადავდივართ რეალობაზე და მაშასადამე, ომის ფენომენის ანალიზისას უკვე ვითვალისწინებთ რეალურ ფაქტორებს, მაშინ ჩვენს წინაშე ისახება სულ სხვა სურათი: სახელდობრ, სინამდვილეს შემოაქვს ე.წ. ზომიერმყოფი მოქმედების ეფექტი ანუ იგი შემაკავებლად ზემოქმედებს საომარ პროცესშე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი აღარ მიისწრაფვის უკიდურესობებისავენ.

შემდგომავტორიაკონვრეტებს, თურაშიგამოიხატებარეალობისე. ნ. ზომიერმყოფელი(დამაბალანსებელი) ზემოქმედება: უპირველეს ყოვლისა, სინამდვილეში იმი არასდროს გვევლინება რაღაც იზოლირებულ აქტად და შესაბამისად, მისი მონაწილე სუბიექტებიც არ წარმოადგენ რაღაც განყენებულ სუბიექტებს. ომი არ აღმოცენდება მყისიერად, უცრად და მისი მომზადებაც არაა რაღაც მყისიერი საქმე. თითოეული სუბიექტის საომარი მზადყოფნა დამოკიდებულია მთელ რიგ რეალურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველთვის დროში გახანგრძლივებულ პროცესს შეადგენ. ამიტომაც თითოეული სუბიექტი მეორეზე მსჯელობს არა რაღაც აბსოლუტური განყენებული კრიტერიუმების მიხედვით, არამედ ამ რეალურ ფაქტორებზე საკუთარი ინფორმაციის შესაბამისად. ასეთი ინფორმირებულობა კი ყოველთვის მეტ-ნაკლებად ნაკლოვანია ანუ აღბეჭდილია უზუსტობებით, რაც თავისთავად შემაკავებლად მუშაობს ორივე მხარეზე და სახელდობრ, მათ ბუნებრივ ტენდენციაზე უკიდურესობებისაკვენ.

თავად ომიც რეალობაში ყოველთვის წარმოადგენს დროში განელილ პროცესს, რომელიც შედგება მთელი რიგი თანმიმდევრული საომარი შეჯახებებისაგან, რის გამოც ყოველი წინამორბედი შეჯახების

აქტი შემდგომისათვის თავისებური საზომია ანუ წინამორბედის შედეგები გარკვეულწილად განსაზღვრავს შემდგომს - აი, ეს მომენტიც გვევლინება, კლაუზევიცის მიხედვით, შემავავებელ ფაქტორად. ამასთან ერთად, მოწინააღმდეგე მხარეები ერთბაშად ვერასდროს აამოქმედებენ თავიანთ ძალებს სრული შემადგენლობით. ეს ძალებია: საკუთრივ შეიარაღებული ძალები, ქვეყანა(თავისი ლანდშაფტით, ბუნებრივი რესურსებით, მოსახლეობით) და მოვავშირები. რეალობაში ამ ძალების ამოქმედება-გამოყენება შესაძლებელია, რომ მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში განხორციელდეს, და ეს ვთარებაც, ცხადია, ანელებს დაპირისპირებული მხარეების ბუნებრივ მისწრაფებას საკუთარი ძალების უკიდურესი დაძაბვისაკენ.

რეალობაში ომის შედეგი არასდროს არ წარმოადგენს რაღაც აბსოლუტურ „სიდიდეს“, ვინაიდან დამარცხებული ქვეყანა უმეტესწილად ამაში ხედავს ხოლმე მხოლოდა წარმავალ ტრაგედიას, რისი გამოსწორებაც პრინციპში სამომავლოდ შესაძლებელია შედგომი პოლიტიკური ნაბიჯებით და ურთიერთობებით. ცხადია, რომ ეს მომენტიც(ე.ი. ომის შედეგების არა-აბსოლუტური ხასითი) მნიშვნელოვნად ანელებს მოპირისპირე მხარეების ძალისხმევათა დაძაბულობას და ინტენსიურობას - აღნიშნავს კლაუზევიცი.

ყოველივე ზემოთ მითითებული ფაქტორებიდან გამომდინარე, რეალური სინამდვილის ჭრილში წარმართულ განხილვებს მივყავართ ომის პოლიტიკური მიზნის დომინირებისაკენ. როგორც უკვე ვნახეთ, წმინდა აბსტრაქტულ-ლოგიკური ანალიზის დონეზე გამოიკვეთა ე.წ. უკიდურესობის კანონი, რის მიხედვითაც ომის მიზანი მდგომარეობს მოწინააღმდეგის შემუსვრაში და მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის მოსპობაში. მაგრამ რამდენადაც რეალობის მთელი რიგი პირობების გავლენით ეს უკიდურესობის კანონი ძალას ვარგავს, ამდენად წინა პლანზე გამოდის ომის პოლიტიკური მიზანი. ამგვარად, ეს უკანასკნელი გვევლინება თავისებურ საზომად, როგორც საკუთრივ სამხედრო მოქმედებათა მიზნებისათვის, ასევე აუცილებელი საომარი ძალისხმევის განსაზღვრისათვის. სახელდობრ, რაც უფრო ნაკლებ-მნიშვნელოვანია და მცირე „მასშტაბისაა“ პოლიტიკური მიზანი, და შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებ დათმობას და მსხვერპლს მოვითხოვთ ჩვენ მოწინააღმდეგე მხარისგან, მით უფრო ნაკლებ ძალისხმევას და მომზადებას მოითხოვს ასეთი მიზანი ჩვენგან და მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობასაც განაპირობებს იგი მოწინააღმდეგის მხრიდან. ამასთან ერთად, ეს პოლიტიკური მიზანი უნდა განვიხილოთ არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურ კონტექსტში და ამ თვალსაზრისით, იგი დამოკიდებულია ორი (ან მეტი) სახელმწიფოს ურთიერთობებზე. ასევე პოლიტიკური მიზნის რეალური ქმედუნარიანობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მეომარი ქვეყნების ხალხის მასებზე: მაგალითად, თუ ხალხში ჭარბობს ისეთი ფსიქოლოგიური იმპულსები და განწყობები, რომლებიც დაძაბულობის ბრდას უწყობენ ხელს; თუ კი ხალხი დამუხტულია, ფეთქებადსაშირი, მაშინ ეს ფაქტორი გაცილებით აძლიერებს პოლიტიკური მიზნის მოქმედებას - წერს ავტორი. და აქვე იგი აყალიბებს ძალზე მნიშვნელოვან დებულებას: ვინაიდან სამხედრო მოქმედებათა მიზანი ექვივალენტური უნდა იყოს პოლიტიკური მიზნისა, ამდენად ამ უკანასკნელის „მასშტაბის“ შემცირება განაპირობებს სამხედრო მოქმედებათა მიზნის „მასშტაბის“ შემცირებას და თანაც, მით უფრო, რაც უფრო სრულია პოლიტიკური მიზნის დომინაცია. აი, სწორედ ამით აისწება ის ვთარება, რომ მიუხედავად თავისი წმინდა ლოგიკური არსისა ანუ ბუნებისა, ომმა შეიძლება ხორცი შეისხას ინტენსივობის და მნიშვნელობის მეტად მრავალგვაროვან ფორმებში, სახელდობრ, დაწყებული გამანადგურებელი ომით და დამთავრებული მხოლოდა აბსერვაციული ნაწილების გადაადგილებით.

საომარი დაპირისპირების წმინდა ლოგიკური ანალიზის მიხედვით სამხედრო მოქმედებებს უნდა ჰქონდეთ უწყვეტი ხასიათი, რაც თავის მხრივ უბიძგებს ორივე დაპირისპირებულ მხარეს უკიდურესობებისაკენ. მაგრამ რეალობაში საქმის ვითარება სხვაგვარადაა: ოპერაციები ძალზე დაშვიათად(თითქმის არასდროს) მიმდინარეობენ უწყვეტი პროცესის სახით და ყოველთვის ადგილი აქვს ე.წ. პაუზებს სამხედრო მოქმედებათა განვითარებაში. სწორედ ეს პაუზები წარმოადგენ იმ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ზომიერმყოფელ ფაქტორს, რომელიც ანელებს ძალების უკიდურესი დაძაბვის ტენდენციას და ე.ი. რომლის შედეგადაც ომი ვარგავს უკიდურესი დაპირისპირების ხასიათს - აღნიშნავს კლაუზევიცი.

წმინდა ლოგიკური ანალიზის განზომილებაში ჩვენ ვიაზრებთ ერთი მხარის მხედართმთავრის ინტერესს, როგორც სიდიდეს, რომელიც აბსოლუტურად საპირისპირო მეორის ინტერესისა, და მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ვდგავართ პოლარიზაციის(უკიდურესი დაპირისპირების) პრინციპის ნიადაგზე; სახელდობრ, ამ პრინციპის შესაბამისად თითოეული მხარის მიზანია მოწინააღმდეგის შემუსვრა და მისი ნების საბოლოო გატეხვა: ესაა ორი აბსოლუტურად ურთიერთსაპირისპირო ვექტორი. მაგრამ რეალობაში ამ მხრივაც საქმის ვითარება სხვაგვარადაა: კერძოდ, სამხედრო მოქმედებები თავს ავლენენ ორი ფორმით: შეტევა და თავდაცვა, რომლებიც თავისი ბუნებით უაღრესად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სწორედ ამ ორი ფორმის ჭრილში ზემოთ აღნიშნული ინტერესთა პოლარიზაცია კარგავს რეალურ დატვირთვას და მნიშვნელობას: ჩვენ ვეღარ ვიტყვით, რომ ორივე მხედართმთავრის ინტერესი მდგომარეობს მოწინააღმდეგის საბოლოო შემუსვრაში,

ვინაიდან თავდაცვის მიზანი სხვაა. ამასთან ერთად, შეტევის და თავდაცვის ფორმების თანაარსებობა თავის მხრივ განაპირობებს აუცილებელ პაუზებს სამხედრო მოქმედებებში: მაგალითად, ერთი მხარისთვის უფრო ხელსაყრელია ამჟარად თავდაცვა და სათანადო მომენტის დალოდება; ან კიდევ მეორე მხარისთვის უფრო ხელსაყრელია შეტევითი ოპერაციის გადადება უკეთესი მომენტისათვის მოწინააღმდეგვის კარგი თავდაცვითი პოზიციების გამო - აი, ეს და კიდევ მრავალი სხვა ვითარება განაპირობებს აუცილებელ პაუზებს ომის მსვლელობისას.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებათა შეფერხებას - ესაა შექმნილი გარემოების არასავმარისი ცოდნა, რასაც მეტ-ნაკლებად ყოველთვის აქვს ადგილი რეალობაში. მხედართმთავარი არასდროს არ ფლობს აბსოლუტურად სრულფასოვან ინფორმაციას მოწინააღმდეგვის კარგი თავდაცვითი პოზიციების გამო - აი, ეს და კიდევ მრავალი სხვა ვითარება განაპირობებს აუცილებელ პაუზებს ომის მსვლელობისას.

ამგვარად, ასეთი განელილი რეალური საომარი პროცესი ყოველთვის დამოკიდებულია შექმნილი გარემოების ალბათურ შეფასებაზე, ვინაიდან მოწინააღმდეგვ მხარეთა ინფორმირებულობა არასდროსაა აბსოლუტურად სრულყოფილი. აქედან გამომდინარე, რეალური ომი, კლაუზევიცის მტკიცებით, გარკველნილად დადის **შანსების გათვლამდე**, კერძოდ, მოწინააღმდეგვ მხარეთა მიერ საკუთარი და ერთმანეთის შანსების გათვლამდე. ამას ემატება კიდევ ერთი ელემენტი - **შემთხვევითობა**. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სხვა სხვა სახეობას არა აქვს ისეთი ყოვლისმომცველი და ხმირი შეხება შემთხვევასთან, როგორც ომს. შანსების და შემთხვევითობის ელემენტები განეკუთვნებიან ომის რეალურ მიმდინარებულ ბუნებას. მაგრამ მეორე მხრივ, მის სუბიექტურ ბუნებას განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა **ვაჟვაცობა (ანუ რისკის გაწევის უნარი)**, ვინაიდან სტიქია, რომელშიც მიმდინარეობენ ადამიანური საომარი ქმედებანი - ესაა **საფრთხე**. დიახ, სიმამაცე, საკუთარი იღბალის რჩენა, გაბედულება - ვაჟვაცობის გამოვლინებებია, რომელიც მუდამ ექვებს შეუცნობელ რისკს, ვინაიდან აქაა მისი სტიქია - წერს ავტორი. და ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იგი აკეთებს უნიკალურ დასკვნას: ეს ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლები - შანსები, შემთხვევა და რისკის გაწევის უნარი - წარმოაჩენენ ომს, როგორც **თამაშის**, განსაკუთრებულ სახეობას; ასე ისნება ჩვენს წინაშე ომის ფერმენტის ირაციონალური მომენტი. სამხედრო თეორიას და ხელოვნებას ყოველთვის საქმე აქვს ცოცხალ ადამიანებთან და მათ შინაგან რესურსებთან, ამიტომაც მშრალი განსჭის, ანალიზის და ლოგიკური დასკვნების გვერდით ომის სამფლობელოში ყოველთვის რჩება ეს ირაციონალური სფერო, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სიმამაცე, გაბედულება, საკუთარი ძალების რჩენა, რაც ამ თეორიამ და ხელოვნებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. დიახ, ესაა არა ცივი განსჭის, არამედ ადამიანური **სულის** (Geist, Spirit, ძუ) მშობლიური სტიქია, ვინაიდან **სული** არასდროს არ მოძრაობს მხოლოდ განსჭასთან ერთად მშრალი ანალიზის და მკაცრი არგუმენტაციის ვიზრო ბილივით; მას იზიდავს შეუცნობელი, სადაც მეფობს შემთხვევა, შანსი, იღბალი, საფრთხე. არა მწირი ლოგიკური აუცილებლობის, არამედ მრავალფეროვანი შესაძლებლობების, შანსების და რისკის სამეფოში ქროლვას ამჯობინებს იგი. და აյ მას სჭირდება ისეთი თვისებები, როგორიცაა რისკი გაწევის უნარი, გაბედულება, საკუთარი იღბალის რჩენა, ფანტაზია, იმპროვიზაციის უნარი - აი, ამას გვეუბნება კლაუზევიცი თავისი შთამბეჭდავი მხატვრულ-ლიტერატურული სტილის მქონე ტექსტით.

მაგრამ ახლახან განხილული მახასიათებელი მხოლოდ ერთი მომენტია, ერთი ასპექტია ომის ფენომენის. როგორც აღნიშნავს ავტორი, ომი არაა გართობა; იგი არაა უბრალოდ თამაში საკუთარი რისკით და საკუთარი იღბალის იმედზე; იგი არაა უბრალოდ სულიერი შთაგონების და შემოქმედების სტიქია. **იგი პოლიტიკური აქტია**. საომარი კონფლიქტი ხალხთა შორის და მით უმეტეს, ცივილიზებულ ხალხთა შორის ყოველთვის გამომდინარეობს გარკვეული პოლიტიკური (შიდა და საერთაშორისო) მდგომარეობიდან და განპირობებულია პოლიტიკური მოტივებით. სწორედ პოლიტიკური მიზანი წარმოადგენს მთავარ ამოსავალ მოცემულობას ომის წარმოებისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას გათვალისწინებული სამხედრო მოქმედებათა ხელმძღვანელობისას. მაგრამ ომი არა უბრალოდ პოლიტიკური აქტია, არამედ პოლიტიკის ნამდვილი იარაღი: **იგი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით** - აი, ესაა კლაუზევიცის კონცეფციის საყოველთაოდ ცნობილი ერთ-ერთი ცენტრალური დებულება. ამიტომაც ეს ფერმენტი, როგორც პოლიტიკური აქტი და პოლიტიკის გაგრძელება, განეკუთვნება „ცივი“ განსჭის სფეროს: იგი გვევლინება მკაცრი რაციონალური გათვლებისა და ქმედებების რთულ პროცესად და სწორედ ესაა მაინც მისი განმსაზღვრელი მომენტი თუ ასპექტი.

ავტორის ეს მსჯელობები კარგად გვიჩვენებენ, თუ რაოდენ გამსჭვალულია მისი აზროვნების წესი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი შელინგის და ჰეგელის მეთოდოლოგიური პრინციპებითა და ცნებითი აპარატით. ომის რელური ბუნების განხილვაც ხომ დიალექტიკურ ხასიათს

ატარებს: იგი ნათელყოფს ჟერ ერთ მომენტს, შემდეგ გადადის სრულიად საპირისპიროზე, რათა ეს მოვლენა განსხვავებულ მომენტთა მთლიანობად წარმოგვიჩინოს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კეთდება შემდეგი დასკვნა: ომი გვევლინება სამი არსებითი ელემენტის დიალექტივურ მთლიანობად - პირველი, ესაა, **ძალადობა**, რაც თავის თავში გულისხმობს სიძულვილის, მტრობის, აგრესის იმპულსებს და რაც განეკუთვნება ბრმა ბუნებრივი ინსტიქტის სფეროს; მეორე, ესაა, ალბათობების და შემთხვევითობების **თამაში**, რაც განეკუთვნება თავისუფალი სულიერი მოღვაწეობის სფეროს; და მესამე, ესაა, **პოლიტიკის იარაღი**, რაც განეკუთვნება წმინდა განსჯის სფეროს. თეორია, რომელიც უგულებელყოფს რომელიმეს ამ სამთავან, ან კიდევ შეეცდება წარმოგვიდგინოს მათი თვითონებური (არაობიერტური) ურთიერთთანაფარდობა, უთუოდ, მოვა წინააღმდეგობაში ობიექტურ სინამდვილესთან. ამგვარად, მისი ამოცანაა განსაზღვროს და შეინარჩუნოს ობიექტური წონასწორობა (ბალანსი) ამ სამ მომენტს შორის.

მოდით, ახლა გარკვეულწილად შევაჰამოთ კლაუსტვიცის ამ ბრწყინვალე ნაშრომში წარმოდგენილი ზოგად-ფილოსოფიური განხილვების ეს ნაწილი. როგორც ვხედავთ, აქ წარმოებს ომის ფერმენტის ანალიზი ორ განსხვავებულ განზომილებაში: წმინდა **ლოგიკური** და **რეალური** სინამდვილის განზომილებებში. კერძოდ, ავტორი ჟერ აანალიზებს ომის განყენებულ ცნებას და ე.ი. გვიჩვენებს, თუ რა არის მისი არსი თავისთავად; შემდგომ კი, იგი გადადის ომის, როგორც რეალობის შემადგენელი ნაწილის, განხილვაზე: ამგვარად, ომის ბუნების სრულფასოვანი გააზრება მოითხოვს ორივე განზომილებაში წარმოებულ ანალიზს. სახელდობრ, წმინდა **ლოგიკური** ანალიზი ააშვარავებს ომის ისეთ არსებით მაკონსტიტუირებელ ელემენტს, როგორიცაა **ძალადობა**, რაც თავის თავში გულისხმობს აგრესიულ იმპულსთა მთელ სპექტრს; რეალური ანალიზი კი ცხადყოფს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა **თამაში** და **პოლიტიკის იარაღი**. ამასთან ერთად, ლოგიკური ანალიზის მიხედვით, ომის არსი მდგომარეობს მორჩინააღმდეგის ნების გატეხვაში და განადგურებაში, ხოლო აქედან გამომდინარე, დაპირისპირებული მხარეები მიისწრავთან ძალების უკიდურესი დაძაბვისაკენ და პოლარიზაციისაკენ; რეალური ანალიზის მიხედვით კი, რეალური სინამდვილის მთელ რიგ ფაქტორებს აქვთ ზომიერმყოფელი (დამაბალანსებელი) ეფექტი, რაც განაპირობებს დაძაბულობის და პოლარიზაციის შენელებას. რაც უფრო მეტად გრანდიოზულია, ფართო-მასშტაბიანია პოლიტიკური მიზანი და რაც უფრო მეტად ჭარბობს აგრესიული იმპულსები, დაძაბულობა დაპირისპირებული ქვეყნების ხალხებში, მით უფრო ომი უახლოვდება თავის აბსტრაქტულ-ლოგიკურ ბუნებას ანუ თავის იდეას და იღებს **გამანადგურებელი** შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათს; და პირიქით, რაც უფრო ნაკლებ-მასშტაბურია პოლიტიკური მოტივი და რაც უფრო ნაკლებადაა სახეობა აგრესიული ტენდენციები, მით უფრო შორდება ომი თავის ლოგიკურ არსს და იღებს უფრო დაბალი ინტენსივობის ანუ **ნაკლებ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების** ხასიათს. აქედან კი გამომდინარეობს ომის სახეების მრავალფეროვანი სპექტრის არსებობა, დაწყებული უკიდურესად მაღალ-ინტენსიური და დამთავრებული უკიდურესად დაბალ-ინტენსიური სამხედრო მოქმედებების ფორმებით - აი, ამ დასკვნამდე მივყავართ ორ განსხვავებულ განზომილებაში წარმოებული ექსპლიკაციების ურთიერთშესავალს. ვთქმულობ, რომ კლაუსტვიცის მიერ ჩატარებული ეს ბრწყინვალე ანალიზი ომის ფილოსოფიური ასპექტებისა დიდწილად წარუვალი ღირებულების მქონეა და კერძოდ, ზემოთ მითითებული შემაჟამებელი დასკვნები უთუოდ შეინარჩუნებენ თავის აქტუალობას, მნიშვნელობას, ძალას ნებისმიერ არეალსა და ეპოქაში.

## მათემატიკური ლითერატურა

- Carl von Clausewitz „Vom Kriege“  
[clausewitz.com/readings/Vom Kriege 1832/Book1.htm](http://clausewitz.com/readings/Vom%20Kriege%201832/Book1.htm)
- Клаузевиц, Карл, фон „О Войне“  
<http://militera.lib.ru/science/clausewitz/index.html>

# პრიტიპული ინფრასტრუქტურის მრადაცია

პოლიტიკის მურთაზ გუბაზიანი  
სამხედრო მიცნიერების დოკუმენტი

## აბსტრაქტი

ტოტალური თავდაცვის პირობებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის (შემდეგ „კი“) მოთხოვნების შესაბამისი ხელოვნური გარემოს შექმნას, თავისი განხორციელების ორივე - საგანგებო ვითარებისას და საომარი მდგომარეობისას უდიდესი როლი ენიჭება. ყოველივე მნიშვნელოვნად უკავშირდება საგანგებო და თავდაცვითი ოპერაციებისთვის ინფრასტრუქტურის წინსწრებით მომზადებას.

ტექნოგენური, ბუნებრივი და მათი კომბინაციებით წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისას და მომავალი კონფლიქტებისთვის მომზადებისას აუცილებელია საპასუხო ქმედებების ფართო და მრავალფეროვანი სპექტრის გაგება. ერთი მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მშვიდობიან ფაზაში „კი-ის“ მომზადებას, მეორე მხრივ საგანგებო სიტუაციების დადგომისას უარყოფითი შედეგების შემცირებას.

კვლევისას კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისტემები და ობიექტები მათი სტატუსის შესაბამისად გაერთიანებულია 11 სექტორში და 43 ქვესექტორში. ქვესექტორები და ელემენტები მათი ფუნქციონალური სახეების თანახმად, შესაძლებელია ფუნქციონალური ურთიერთმხარდაჭერით გადაადგილდნენ ერთი სექტორიდან მეორეში ან მათი გრადაცია მოხდეს ახალი სექტორში.

### საპასუხო სიტყვები:

ტოტალური თავდაცვა; კრიტიკული ინფრასტრუქტურა; სექტორი

# **CRITICAL INFRASTRUCTURE GRADATION**

**COLONEL MURTAZ GUJEJANI**  
**DOCTOR OF MILITARY SCIENCES**

## **ABSTRACT**

Creating an artificial environment that meets the requirements of Critical Infrastructure in terms of total defense plays a major role in both its implementation - in case of emergency and in case of war. All significantly related to the advance preparation of infrastructure for emergency and defense operations.

In man-made, natural, and their combinations of emergencies and preparedness for future conflicts, it is essential to understand the wide and varied range of response actions. On the one hand, the preparedness of Critical Infrastructure in the peaceful phase is vital, On the other hand to reduce the negative consequences in the case of emergencies.

During research Critical Infrastructure systems and facilities are grouped according to their status into 11 sectors and 43 subsectors. Subsectors and elements according to their functional types, it is possible to move from one sector to another through functional support or to be ranked in a new sector.

**KEYWORDS:**

Total defense; Critical infrastructure; Sector

## შესავალი

მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას ამ მოვახერხებ, თუმცა აღნიშნული კვლევის მიზნია არა პრობლემის პირდაპირი გამოსწორება, არამედ პრობლემის გადაჭრის მსურველთათვის მისი, რაც შეიძლება, უკეთ გაეგებაში დახმარება თუ რა არის კრიტიკული ინფრასტრუქტურა.

დიდი განსხვავებაა ყალბი ინფორმაციის გავრცელებასა და სასმელი წყლის დაბინძურებას შორის. ყალბი ინფორმაციის გავრცელება ან/და სერვისების შეფერხება ხელს უწყობს ადამიანების განწყობებითა და არჩევანით მანიშვლირებას, ქმნის ყალბ შიშებსა და მოლოდინებს, თუმცა სასმელი წყლის დაბინძურება არის კატასტროფა, იწვევს მასშტაბურ დაავადებებსა და სიკვდილიანობას.

გარდატეხის და დაჩქარებული ცვლილებების პროცესში მყოფ მსოფლიოში, სადაც ტექნოლოგიური და ფიზიკური სისტემები ერთმანეთს ერწყმიან, ოდესღაც კრიტიკული ინფრასტრუქტურის ელემენტები უსაფრთხოების ოპერაციების მართვისას განმარტოებით იდგნენ. დღეს კი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან დახურილი და ღია ქსელებით, რომელთა საშუალებითაც მგრძნობიარე მონაცემების გაცვლა ხდება.

ახალი სტრუქტურა ქმნის ახალ პრობლემებს, რომლებსაც არ ითვალისწინებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოძველებული პროგრამები და ტრადიციული დაცვის რეაქტივობი. სახელმწიფო ელემენტებმა, რომლებიც მართავენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, უნდა შექმნან საიმედო გარემო, რომელიც შეძლებს “კი”-ის სისტემაში განჭვრიტოს და შეამციროს/შეამსუბუროს კატასტროფის შედეგები.

## მომავლის ხედვა

საქართველოში კრიტიკული ინფრასტრუქტურის სტატუსი უნდა მიენიჭოს ობიექტებს, სისტემებსა და სერვისებს ან მათ ნაწილებს, რომელთა მოშლა, დაზიანება ან შეფერხება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხოებას, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

საქართველოში, მიუხედავად ტოტალური თავდაცვის უნივერსალური სისტემის მოწყობისა, „კი-ის“ უსაფრთხოების მოდელი მაქსიმალურად ეფექტური უნდა იყოს. მან უნდა მოიცვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, უწყებრივი და რეგიონალური/ადგილობრივი (ავტონომიური და მუნიციპალიტეტი) სამდონიანი ტერიტორიული თავდაცვისათვის სახასიათო კრიტიკული ინფრასტრუქტურა.

ასეთი მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობებთან, სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებთან და, რაც მთავარია, სახელმწიფო პოლიტიკის წინაშე მდგარ საშინაო და საგარეო პრიორიტეტებთან ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასტან. კრიტიკული ინფრასტრუქტურა არის ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გამოყენებული ტერმინი.

ერთი მხრივ დღეისათვის საქართველოში „კი“-ის ონისძიებებში ფრაგმენტულად ყველა უწყებაა ჩართული, მეორე მხრივ კრიტიკული სექტორები ჰერაც არ არის იდენტიფიცირებული. პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა მოახდინონ „კი“-ის იდენტიფიცირება და განსაზღვრონ მისი შესაძლო მოწყვლადობა.

უწყებებმა უნდა შექმნან „კი-ის“ მართვის გეგმები და გაერთიანოს ეროვნულ გეგმაში. სხვა ქვეყნებში გეგმა ცნობილია, როგორც ეროვნული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეიძლება მთავრობამ და კერძო სექტორმა ხანგრძლივად ერთად იმუშაონ „კი“-ის რისკების შემცირების, მდგრადობისა და უხილავი შედეგების მართვის მიზნით.

მოცემულ სტატიაში, წარმოდგენილია საქართველოს ტოტალური თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - სტრატეგიული ობიექტების გრადაცია. აუცილებელია, კრიტიკული ობიექტების დასახასიათებლად, უარყოფილი იქნას ყოვლისმომცველი ტრადიციული ტერმინი „სტრატეგიული ობიექტები“ და კვლევა გაგრძელდეს მხოლოდ შესაბამის ფუნქციერ სექტორებზე. მოძველებული ტრადიციული ტერმინი „სტრატეგიული ობიექტები“ უნდა შეიცვალოს „კრიტიკული ინფრასტრუქტურის - კი“ ტერმინით.

საქართველოში „კი“-ს მიმწოდებლები და მომხმარებლები არიან სახელმწიფო უწყებები და კომერციული ობიექტები. ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს ან სახელმწიფოს სსიპ-ია. დიდი ნაწილი კერძო კომპანიებია, სხვა საზოგადოებრივი კორპორაციები ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების ნაწილია. „კი-ას“ წარმოადგენს ყველაფერი, რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს მოსახლეობის სოციალურ ან ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ან გავლენას მოახდენს საქართველოს თავდაცვის განხორციელების უნარზე და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

„ვი-ის“ წარმოადგენს კომერციული ორგანიზაციები და კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო უწყებრივ და რეგიონალურ-ადგილობრივ დონეზე რესურსებსა და უსაფრთხოებაზე სხვადასხვა წვდომით საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობაშია. „ვი-ის“ მიეკუთვნება სუბიექტები (უწყება, სამსახური, სააგენტო, სისტემები, სერვისები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო ქსელები) ან/და მათი ნაწილები, რომლებიც ხელოვნურმა, ბუნებრივმა და მათი კომბინირებით წარმოქნილმა ზემოქმედებამ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს, გაანადგუროს, დააზიანოს ან გახადოს მიუწვდომელი ხანგრძლივი პერიოდით.

კვლევის პროცესში სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიით, დაზუსტდა და დაკონკრეტდა საქართველოს ყველაზე უფრო კრიტიკული პასუხისმგებლობისა და მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა და დაიყო სამ დონედ:

- 1. სექტორი:** ენერგეტიკული, საფინანსო, თავდაცვის და ა.შ.;
- 2. ქვესექტორი:** ელექტრომომარაგება, საცხებ-საპონი მასალები, გაზი და ა.შ.;
- 3. ელემენტი:** სატელევიზიო კომპიუტერი, წყალსაცავები, სერვის ცენტრები და ა.შ.

ის: **ცხრილი №1 კრიტიკული ინფრასტრუქტურის სპექტრი** (გვ. 9-12)

მოცემული „ვი-ის“ სპექტრის სქემის შექმნის, სექტორებისა და ქვესექტორების გრადაცია და მათში ელემენტების დაჯგუფება პირველადი კვლევაა. „ვი-ის“ სისტემები და ელემენტები მათი სტატუსის შესაბამისად სქემაზე გაერთიანებულია 11 სექტორში და 43 ქვესექტორში. ქვესექტორები და ელემენტები მათი ფუნქციონალური ურთიერთმხარდაჭერით, შესაძლებელია გადაადგილდნენ ერთი სექტორიდან მეორეში ან მათი გრადაცია მოხდეს ახალი სექტორში.

საქართველოს „ვი-ის“ რომელიმე სექტორის მოშლისას, დაზიანებისას<sup>1</sup> ან შეფერხებისას წარმოქმნილ ზიანზე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებმა „ვი-ის უსაფრთხოების დონეების მიხედვით უნდა მოახდინონ ეტაპობრივი რეაგირება: **1-ლი ფაზა:** საფრთხის ან ზემოქმედების მონიტორინგი; **მე-2 ფაზა:** პირველადი შეფასება და საფრთხის შემცირება; **მე-3 ფაზა:** რეაგირების ოპერაცია და **მე-4 ფაზა:** აღდგენითი ოპერაცია.

## თავდაცვის სექტორი

სტატიის ბოლოს მოვლენ წარმოგიდგენთ „ვი-ის“ გრადაციის ერთ-ერთ თავდაცვის სექტორს. ტოტალური თავდაცვის პირობებში, თავდაცვის სფეროს კრიტიკულ ინფრასტრუქტურად განისაზღვრება ის სამსახურები, რომლებიც არა მხოლოდ თავდაცვის სფეროში, ასევე სახელმწიფოს სხვა სექტორებს ფუნქციურად კრიტიკულ მომსახურებას უზრუნველყოფენ.

თავდაცვის სექტორი სახელმწიფოს „ვი-ის“ ნაწილია. თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფოს „ვი-ის“ უსაფრთხოების სისტემის არა მხოლოდ მომხმარებელია, ასევე კონტრიბუტორიცაა. თავდაცვის „ვი-ის“ უსაფრთხოების სისტემა იცავს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ქონებას, უზრუნველყოფს თავდაცვის ინფრასტრუქტურის სიკოცხლისუნარიანობასა და მდგრადობას, ოპერაციის წარმატებისა და გადამზყვატი მნიშვნელობისთვის, იცავს მოსახლეობას, ობიექტებსა და აღჭურვილობას. იხ. ცხრილი 2 თავდაცვის სექტორი

თავდაცვის ინდუსტრიის ქვესექტორი არის თანამედროვე კომპლექსი, რომელიც საქართველოს სამხედრო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ატარებს ინოვაციურ კვლევებს, მუშაობს ახალი იარაღისა და აღჭურვილობის შექმნაზე და ახდენს ძველის მოდერნიზირებას.

## რეაგირების დირექტული მოქმედებები

ამ სტატიისთვის შეგროვებულმა და შესწავლილმა მონაცემებმა აჩვენა ამ სფეროს ყურადღების ზოგადი ნაკლებობა და არამორიზული გაგება. ქვევით მოყვანილი ზოგიერთი რეკომენდირებული მოქმედები უკვე ხორციელდება, თუმცა საჭიროა დაჩქარება და გაძლიერება. ზოგი მოქმედება სხვაზე უფრო კრიტიკულია, პრიორიტეტულია და შემდგომ საშუალოვადიან პერიოდისათვის მათთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გაერთიანებული მიდგომა:

1. უნდა დაადგინდეს სექტორის და სექტორის რისკმედეგობა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, კონვენციური საბრძოლო მოქმედებების პარალელურად განხორციელდა კიბერშეტევები ქართულ სამთავრობო საიტებზე. საქართველო შეტევას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. კიბერშეტევები ინფორმაციული ომის ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა ინფორმაციის გავრცელების ჩამონიბას საქართველოდან. სამიზნეთა შორის იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდები. ქართულმა სამთავრობო და მედია საშუალებებმა კიბერსივრცემი პარტნერების გაგრძელება მხოლოდ გარე დახმარებით შეძლეს. აღსანიშნავია ის, რომ ქართულ საიტებზე წარმატებული შეტევა შესაძლებელი გახდა უსაფრთხოების დაბალმა დონეზე, მოუგვარებელმა ტექნიკური სისუსტეების სიმრავლემ, ელემენტარული კიბერუსაფრთხოების ექსპერტიზის არქონამ.

<sup>2</sup> ინფორმაციული (IT) და ოპერაციული ტექნოლოგიების (OT) კიბერრისკების ტოლერანტობა

2. რესურსების პრიორიტეტირება მნიშვნელოვანია, რათა სექტორის ხელმძღვანელებმა შეზღუდულ დროში და სახელმწიფოს მნირი გაერთიანებული რესურსების პირობებში შეძლონ ეფექტური გადაწყვეტილების მიღება;<sup>3</sup>

3. სახელმწიფოებრივ, უწყებრივ და რეგიონალურ/ადგილობრივ უწყებებმა მოამზადონ გრძელვადიანი კრიტიკული ინფრასტრუქტურის მართვის გეგმები, რომლებიც გაერთიანდება ეროვნულ გეგმაში;

4. გეგმა უნდა შედგებოდეს საგანგებო ოპერაციებისგან ფაზების მიხედვით, როგორც ცენტრალურ, ასევე, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე: 1-ლი ფაზა: საფრთხის ან ზემოქმედების მონიტორინგი; მე-2 ფაზა: პირველადი შეფასება; მე-3 ფაზა: რეაგირების ოპერაცია და მე-4 ფაზა: აღდგენითი ოპერაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთ სექტორს უნდა შეეძლოს სხვა სექტორის ფუნქციური მხარდაჭერა.

## დასკვნა

ჩატარებული სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიური კვლევები და სამუშაოებები ასევე შეეხებოდა “კი”-ის დაცვას და სტატუსის მინიჭების პროცედურებს. ზოგჯერ კონკრეტულმა სისტემამ/ობიექტმა/ელემენტმა/ სერვისმა/ და სხვამ სტატუსის მიხედვით, კრიტიკულობის დონე შეიძლება შეიძინოს არა მუდმივად, არამედ ვითარების და კრიტერიუმების (ინდიკატორების) შესაბამისად. ტოტალური თავდაცვის კონტექსტში მსგავს კვლევები საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს კვლევა.

შეკითხვაზე, „წინამდებარე კვლევაში რამდენად გასაგებად და სრულყოფილად არის წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების „კი-ის“ სექტორების, ქვესექორებისა და ელემენტების დაჭვულება, შეიძლება თუ არა ამ კვლევამ ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ტოტალური თავდაცვის გაგებაზე?“ მოვლე პასუხია, რომ აღნიშნული შეკითხვა პერსპექტიულია. ნაშრომში „კი“-ის სექტორების დასახელება, მათში ქვესექორების გაერთიანება, მეთოდოლოგიური სინთეზი მიდგომა, პირველადია საქართველოში და არ გულისხმობს პრობლემების პირდაპირ გადაჭრას, არამედ - მათ რაც შეიძლება უკეთ გაგებას.

## გამოყენებული ლითერატურა

- “Prevention, Preparedness and Response to Natural and Man-Made Disasters in the EaP Countries – PPRD East 2”. <http://pprdeast2.eu/wp-content/uploads/2015/08/GE-Country-Profile-GE.pdf>; December, 2015;
- პროფესორი ელგუჯა მემარიაშვილი. „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლების“ სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2006 წელი.
- ”შვეიცარიის შეარაღებული ძალები 2006/Schweizer Armee 2006“-ის სახელმძღვანელო, Komunikationsbasis Verteidigung. Informationsstand 1. Oktober 2005.
- ”კატასტროფების რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების ანგარიში“ გამოცემულია გაერთობაში კატასტროფების პროგრამის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. [http://police.ge/files/pdf/sagangebos\\_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf](http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf); სექტემბერი, 2014 წელი.
- ალექსანდრე რონდელი, „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“ სახელმძღვანელო, გამომცემლობა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კალევის ფონდი, თბილისი 2009;
- Col. Timothy O'Rourke, Joint Engineering for the Future. <http://themilitaryengineer.com>; 2018
- თავდაცვის სამინისტროს გაზირი, გამოცემა ”ქართული ჯარი №5“, ”რეზერვის და მობილიზაციის აზალი კონცეფცია“ გვ. 3; 4 და 5. 2018 წელი,
- ”კატასტროფების რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების ანგარიში“ გამოცემულია გაერთობაში კატასტროფების პროგრამის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. [http://police.ge/files/pdf/sagangebos\\_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf](http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf) სექტემბერი, 2014 წელი.

<sup>3</sup> რაც უფრო დიდი დრო დასჭირდება კონვერგენციას, მით უფრო გაჭიანურდება საფრთხეზე რეაგირება და გაიზრდება საფრთხის მასშტაბები.

# თავდაცვის დამეგმვის მეთოდოლოგიების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

## მიორიგი დოკუმენტი

ასისტენტ პროფესორი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია  
საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

## აბსტრაქტი

შეიარაღებული ძალების შენარჩუნება, რომელიც შეძლებს სამომავლო არაპროგნოზირებად გარემოში უპასუხოს უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებს, საჭიროებს თავდაცვის შესაძლებლობების მუდმივ გაძლიერებას თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენის გზით, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პროცესის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი თავდაცვის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შერჩევა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სტრატეგიული თავდაცვის შესყიდვები. ნაშრომი განიხილავს ანალიტიკური დაგეგმვის ოთხი მეთოდოლოგიის - შესაძლებლობებზე, საფრთხეებზე, რესურსებზე და სცენარებზე დაფუძნებული დაგეგმვის მიდგომების დადებით და უარყოფით მხარეებს. აღნიშნული მიდგომები გასული ათწლეულების მანძილზე აქტიურად გამოიყენებოდა სტრატეგიული თავდაცვის შესყიდვების დაგეგმვის პროცესში. მოცემული მიდგომების მიმოხილვის საფუძველზე აშკარაა, რომ ცალკე აღებული არც ერთი მათგანი არის ეფექტური და სტრატეგიული თავდაცვის შესყიდვების პროცესში წარმატების მიღწევა მხოლოდ მათი ინტეგრირებით არის შესაძლებელი.

### საპატიო სითყვება:

თავდაცვის დაგეგმვა, სტრატეგიული თავდაცვის შესყიდვები, თავდაცვის დაგეგმვის მეთოდოლოგია

# **ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF DEFENSE PLANNING METHODOLOGIES**

**GIORGİ DOLIDZE**

**ASSISTANT PROFESSOR**

**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI**

**NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

**INVITED LECTURER AT THE UNIVERSITY OF GEORGIA**

## **ABSTRACT**

Maintaining military forces ready to address security challenges deriving from future uncertainty requires permanent improvement of defense capabilities through the acquisition of technologically advanced equipment, which is a challenging business. To facilitate and support the implementation of this process it is critical to employ a relevant planning methodology, based on which strategic defense acquisition is held. The article discusses the advantages and disadvantages of the four analytical planning methodologies which have been actively used for strategic defense acquisition planning over the recent decades: capability-, threat-, resource- and scenario-based planning. Based on the review of these planning approaches, the author argues that none of them is effective separately and only a combination of these perspectives may lead to a successful strategic defense acquisition process.

**KEYWORDS:**

defense planning, strategic defense acquisition, defense planning methodology

# INTRODUCTION

Strategic defense acquisition can be defined as an affordable military procurement process aimed at acquiring special systems to improve current capabilities and support future needs. The acquisition is a broader term in difference from procurement of an item or service and involves many activities – infrastructure, personnel, training, maintenance and disposal of the weapons systems procured from a vendor.<sup>1</sup> Maintaining military forces ready to respond security challenges facing the countries requires a permanent acquisition of technologically advanced equipment, which is related to significant financial expenses. Effective acquisition of military systems is a challenging business, as procuring needed equipment for a reasonable price is elusive, related to frequent delays and cost overruns. The major problem during strategic defense acquisition is that it always involves the prediction of the future, which requires continuous analysis of potential adversaries' capabilities and their access to new military technologies.<sup>2</sup> Furthermore, defense acquisitions should address concrete military needs by improving current capability shortfalls. From the starting point to deployment, the systems should be procured based on the following analytical and planning process – identifying the required system, defining a budget, and acquiring the system.<sup>3</sup> To facilitate successful implementation of this process it is critical to employ a relevant planning methodology, based on which strategic defense acquisition will be held.

A number of analytical methods have been used for defense planning in the past. Each of these methods originates from a specific perspective on the problem. The article will discuss the advantages and disadvantages of the four planning approaches: capability-, threat-, resource- and scenario-based planning methodologies, based on which the author will argue that none of them is effective separately and only through combination of these perspectives is possible to achieve the desired outcome.

## THREAT-BASED PLANNING (TBP)

About two decades ago short-term vision on security and defense dominated the planning debate, an immediate perception of the threats and lack of financial resources for military purposes justified the argument - "there is no threat, so why spend?".<sup>4</sup>

Threat-based planning which is focused on concrete potential future adversaries and conflicts often provides a basis for the development of force structure and operational plans. This approach defines goals in terms of armed forces' ability to address specific security threats identified by national and agency level defense planning documents such as, National Security Concept, Threat Assessment Document and National Defense Strategy.<sup>5</sup> The threat-based methodology was mainly used during the Cold War when nuclear threats were defined as the largest potential security threat facing the nations.<sup>6</sup> TBP is driven by security realities, opponents' capabilities, and military capacity that is needed to address these capabilities.<sup>7</sup>

The positive side of the threat-based military acquisition is that it assesses overall military strength with regards to potential enemies and evaluates gaps in specific capability areas. Furthermore, it allows to spend available funds on military acquisitions which are vital for potential future wars and decreases the amount of resources associated with armed forces' total requirements. It supports decision-making process related to the design of the future force and resources to sustain it, based on the demands of countering real adversaries. Despite these advantages, threat-based planning encompasses several factors hampering the strategic defense acquisition process. TBP has certain boundaries deriving from future uncertainty during the development

1 Moshe Schwartz, Defense Acquisitions: How DoD Acquires Weapon Systems and Recent Efforts to Reform the Process, Congressional Research Service, p.1,  
<https://sgp.fas.org/crs/natsec/RL34026.pdf>

2 Managing Defense in a Democracy, Edited by Laura R. Cleary and Teri McConville, chapter 9, Strategic management, Avoiding analysis paralysis, published in 2006, p.p.202-203

3 Moshe Schwartz, Defense Acquisitions: How DoD Acquires Weapon Systems and Recent Efforts to Reform the Process, Congressional Research Service, p.3,  
<https://sgp.fas.org/crs/natsec/RL34026.pdf>

4 Dejan Stojkovic and Bjørn Robert Dahl, Methodology for long term defense planning, p.11

5 Strategic Defense Review 2021 -2025, MoD of Georgia, p.p. 55

6 Dejan Stojkovic and Bjørn Robert Dahl, Methodology for long term defense planning, p.11

7 Michael J. Mazarr, Katharina Ley Best, Burgess Laird, Eric V. Larson, Michael E. Linick, Dan Madden, The U.S. Department of Defense's Planning Process Components and Challenges,  
[https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2173z2.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2173z2.html)

of armed forces' requirements – the specifics of which are hardly fully predictable. The identification of the future needs requires an understanding and detailed knowledge of long-term threats and adversaries' current/future capabilities and intentions that is nearly impossible. Furthermore, this planning approach focuses on particular future conflicts and opponents' capabilities which might cause overestimation of a single threat concept or capability without its proper analysis within an existing operational concept and consequently, lead to irrelevant strategic defense acquisitions.<sup>8</sup>

## CAPABILITY-BASED PLANNING (CBP)

Capability-based planning represents an alternative approach to threat-based planning. This method is considered as a modern perspective that ensures rational decision-making on future capabilities to be acquired and facilitates effective defense planning and management process to deal with future long-term security challenges. CPB concentrates on what should be done rather than what we have. It is more focused on development of total capability requirements rather than routine equipment needs.<sup>9</sup> CBP is 'concept-led' and it recognizes the interdependence of different resource management systems including policy and planning, logistics, human resource management, procurement and financial areas. The CBP consists of the four major consistent building blocks. First, it is output-oriented, developed based on the strategic priorities reflected in the national and defense planning documents. Second, CPB is based on a military operational concept - analyzes future possible types of conflicts in which the force will have to fight. Third, CBP employs capability breakdown structure for effective management of strategic defense acquisition process and finally, it realizes the capabilities within affordable financial resources. Some planners argue that within TBP, all military services define a threat and to address it, concentrate on the development of their specific independent capabilities. The transition to capabilities-based planning has promoted the institutionalization of a more collaborative form of gap analysis in military forces instead of separate, specific activities developed by units.<sup>10</sup>

CBP does not focus on specific future adversaries and their capabilities, nor define particular states as potential enemies which enables the concentration more on a broader set of strategic defense acquisition activities. Furthermore, CPB is considered as a concept oriented rather than reactive approach. It supports identification of capability gaps which are difficult to define when considering only existing threat-based scenarios.

The weakness of CBP during the strategic defense acquisition process is a challenge related to determining the type of required capabilities without implicitly counting potential threats. It partly incorporates detailed operational plans – military concepts, sustainment and timeline as, this approach to planning does not concentrate on particular future war scenarios. Moreover, threats generalization may result in miscalculation of potential adversaries' capability developments. Often CPB leads to military requirements growth and consequently, requires additional resources as they are not directly connected to potential conflict scenarios and provide an opportunity for different stakeholders to justify their needs for a broader set of desired capabilities. Despite the modern approach to planning, it can miss critical aspects, including political, economic and security effects. Finally, it can influence the decision-making process as organizations' leadership and other key players may see intangible challenges and hypothetical opponents as less credible to support proposed acquisition options.<sup>11</sup>

## RESOURCE-BASED PLANNING (RBP)

Instead of developing total requirements and outlining desired outcomes, a resource-based planning method focuses on identifying the best possible capability acquisition options within available financial ceilings. RBP analysis existing reality and identifies the following available set of actions which eventually leads to the desirable future forces.

Financial constraints are the key factors to be taken into account during budget-driven planning process. This approach considers available resources as planning limitations, identifies affordable capability priorities

<sup>8</sup> Ibid

<sup>9</sup> Guide to Capability-Based Planning, The Technical Cooperation Program Joint Systems and Analysis Group Technical Panel 3

<sup>10</sup> Ibid

<sup>11</sup> Michael J. Mazarr, Katharina Ley Best, Burgess Laird, Eric V. Larson, Michael E. Linick, Dan Madden, The U.S. Department of Defense's Planning Process Components and Challenges, [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2173z2.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2173z2.html)

that should be procured through trade-off analysis and substitution opportunities to implement the most critical demands of armed forces.

RBP represents an incremental method of defense planning. Based on the lessons learned, it focuses more on short – and mid-term development plans and less considers long-term capability acquisition programs. While resources are an important factor to be considered for any planning methodology, budget-driven planning mainly emphasizes the importance of fiscal constraints rather than the total requirements of armed forces.

The major advantage of RBP is its realistic view on current needs that supports creative solutions in terms of affordable resources. Furthermore, effectiveness of resource-based capability acquisition programs in terms of their execution is much higher than of those developed within the framework of other planning methodologies as, it involves deliberate, realistic, better-calculated activities.

Critics of budget-driven planning process argue that defense institutions can only be successful when the capability acquisition process is strategy-driven, primarily focus on strategic goals and align force structure and capabilities to those goals.

Given that strategic acquisitions are more oriented on future long-term development, it is difficult to incorporate it into this planning approach. Resource-focused methodology may fail to identify and adapt to future security challenges which may cause capability gaps in longer term perspective as, it focuses on immediate capability acquisition needs filling current minor gaps, while risking losing sight of more global future needs. Finally, mostly it addresses a portion of defense priorities, missing out the total capability requirements of the armed forces.<sup>12</sup>

## SCENARIO-BASED PLANNING (SBP)

For decades, organizations have faced the difficulties of forecasting as, an inability to predict automatically led to an inability to plan. Overcoming these challenges paved away to plethora of tools out of which ‘scenario building’ has become especially popular.<sup>13</sup> Strategists view scenarios as descriptions of possible archetypal futures, elaboration of which helps to explore and decrease the level of uncertainty, extend the thinking framework, reduce complexity and enable identification of future capabilities to be acquired.<sup>14</sup>

A scenario can be described as a tool within the planners’ arsenal which relies on the assumption that by developing different options, they might have a better idea or even, guesses of the right one.<sup>15</sup>

The strength of the SBP is its focus on concrete acquisition plans which facilitate an effective decision-making process. They design the problem more ‘real’ and provide a clear picture of exact situations and security challenges against which specific strategic defense acquisition plans are developed.<sup>16</sup> This approach helps to make a prioritization process more effective, as better understanding of specific requirements ensures a determination of the most critical future needs.

SBP is an efficient method in terms of exploring future potential threats, even though it becomes ambiguous when it needs to be decided which scenarios organizations should follow. Overemphasizing the importance of concrete scenarios increases the risk related to miscalculation of future potential conflict types, adversaries and their capabilities that can be considered as another weakness of this approach. Therefore, disregarding other alternatives outside the defined set may lead to the development of ineffective capability acquisition plans.<sup>17</sup>

## CONCLUSION

Maintaining strong armed forces ready to address security threats requires the permanent development

12 Michael J. Mazarr, Katharina Ley Best, Burgess Laird, Eric V. Larson, Michael E. Linick, Dan Madden, The U.S. Department of Defense’s Planning Process Components and Challenges, [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2173z2.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2173z2.html)

13 Strategy Safari, Edited by Henry Mintzberg, Bruce Ahlstrand, Joseph Lampel, Published in 2009, p.53

14 Dave Francis, Step-By-Step Competitive Strategy, published in 1994, p.38

15 Strategy Safari, Edited by Henry Mintzberg, Bruce Ahlstrand, Joseph Lampel, Published in 2009, p.p.61-63

16 Michael J. Mazarr, Katharina Ley Best, Burgess Laird, Eric V. Larson, Michael E. Linick, Dan Madden, The U.S. Department of Defense’s Planning Process Components and Challenges, [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2173z2.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2173z2.html)

17 Ibid

of its capabilities through the acquisition of modern military weapon systems. Strategic defense acquisition should be conducted according to the capability priorities reflected in defense planning documents which are elaborated based on different planning methodologies. The selection of a relevant methodology is critical for effective defense acquisitions.

The planning approaches discussed above clearly showed that there is no unique methodology and each of them has a number of its own advantages and disadvantages. The main distinguishing feature of these methodologies is different planning target. Namely, the threat-based approach focuses on existing security challenges and urgent needs while capability-based methodology more considers the development of long-term strategic defense acquisition programs. To compare with approaches, resource-based planning technique is more budget driven than strategy guided and financial constraints are decisive in terms of strategic defense acquisition process. As for scenario-based technique, it examines 'real' scenarios that ensures the determination of the most-critical capability needs while ignoring other alternatives and additional requirements outside an assumed set.

The review of the four defense planning methodologies makes it clear that none of them is effective separately and for a successful strategic defense acquisition process, it is critical to identify and employ a combination of their advantages.<sup>18</sup>

## USED MATERIALS

- Cleary R. Laura and Teri McConville, Managing Defense in a Democracy, The Principles of management applied to the defense sector, 2006
- Francis Dave, Step-By-Step Competitive Strategy, 1994
- Guide to Capability-Based Planning, The Technical Cooperation Program Joint Systems and Analysis Group Technical Panel 3
- Mazarr J, Michael. BestLey, Katharina. Laird, Burgess. Larson, V, Eric. Linick E,Michael. Madden, Dan. The U.S. Department of Defense's Planning Process Components and Challenges, [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2173z2.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2173z2.html)
- Mintzberg Henry, Bruce Ahlstrand, Joseph Lampel, Strategy Safari, 2009
- Stojkovic, Dejan and Dahl Robert, Bjørn. Methodology for long term defense planning
- Schwartz, Moshe. Defense Acquisitions: How DoD Acquires Weapon Systems and Recent Efforts to Reform the Process, Congressional Research Service, <https://sgp.fas.org/crs/natsec/RL34026.pdf>
- Strategic Defense Review 2021 -2025, MoD of Georgia

# ერთობლივი სახმალეთო ოპერაციები

## პოლიტიკური ჰამაულ ზალოგვილი

### დოკუმენტი

სამხედრო ინიციატივის სადოკუმენტო პროცესი  
სსიპ - საქართველოს ფენიკური უნივერსიტეტი

## პრინციპები

ომი, როგორც ფუნდამენტალურად ადამიანთა ძალისხმევის შედეგი, მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ სახმელეთო რაიონში დასახლებულ ადამიანებთან. მთელი სამხედრო პოტენციალი ხმელეთთანაა დაკავშირებული და უმეტეს შემთხვევებში სახმელეთო ბრძოლებში უპირატეობის მოპოვება გადამწყვეტი ფაქტორია მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ადამიანური ფაქტორების ცოდნა, მათ შორის, კულტურის, ეკონომიკისა და ისტორიის, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის ცოდნა. მხოლოდ მაღალი დონის სამხედრო პოტენციალი ვერ იქნება მოწინააღმდეგის დამარცხებისა და სასრულელის საბოლოო შედეგების მიღწევის წინაპირობა. მუდმივად ხდება ოპერაციების გავლენის შეფასება მოწინააღმდეგესა და მოსახლეობაზე, რათა დამარცხდეს მოწინააღმდეგე და მიღწეული იყოს სასურველი საბოლოო შედეგი.

### საქმიანობის სიტყვები:

ერთობლივი ოპერაციები; გადამწყვეტი მოქმედება; ინიციატივის ხელში ჩაგდება, შენარჩუნება და გამოყენება; წარმატების განმტკიცება

# **CONNECTED GROUND OPERATIONS**

**COLONEL JAMBUL ZALOSHVILI**

**PHD STUDENT**

**DOCTORAL PROGRAM IN MILITARY ENGINEERING**

**LEPL - GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

## **ABSTRACT**

War, as a fundamental result of human endeavor, is closely linked to the settlement of a particular land area.

With people. The entire military potential is connected to the ground, and in most cases gaining an advantage in ground battles is a crucial factor in defeating an opponent. Knowledge of human factors, including culture, economics, and history, is as important as knowledge of the adversary's military potential. Only high

Level military potential can not be a prerequisite for defeating the opponent and achieving the desired end results. Constantly assess the impact of operations and the opponent and the population to defeat the advanced and achieved

Be the desired end result.

**KEYWORDS:**

Joint operations; Decisive action; Capture the initiative, maintenance and use; Strengthen success

## შესავალი

საქართველოს თავდაცვის ძალები მოქმედებენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. ეს მიზნები და ამოცანები მოიცავს ქვეყნის ინტერესებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას უსაფრთხოების კუთხით, რასაც საქართველოს თავდაცვის ძალები ასრულებენ ერთობლივი მოქმედების ერთ-ერთი ფუნქციის სახით.

ერთობლივი ოპერაციები ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობაზე, ისევე როგორც მოსახლეობა - ერთობლივ ოპერაციებზე. ურთიერთქმედების შედეგები ხშირად არაპროგნოზირებადი და უმართავია. მეთაურები ცდილობენ ნაკლები ზიანი მიაყენონ მოსახლეობას მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გავლენა იქონიონ მათ მოქმედებებზე. მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭიროა როგორც იძულება, ისე სტიმულის მიცემა, რაც განსხვავებული უნდა იყოს თითოეული შემთხვევისათვის. ოპერატიული გარემოს მაფორმირებელი და კონფლიქტის თავიდან აცილების ოპერაციების დროს ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სასურველი ქცევის სტიმულირებაზე, თუმცა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დროს იძულებამ შესაძლებელია უფრო დიდი როლი ითამაშოს. წარმატების განმტკიცებისათვის საჭიროა უფრო დაბალანსებული მიღვომა. კონტექსტის მიუხედავად, სახმელეთო ძალები ყოველთვის მოქმედებენ საერთაშორისო სამართლისა და ბრძოლაში ჩართვის წესების შესაბამისად.

ომი არის ქაოსური, ლეტალური და ფუნდამენტალურად ადამიანთა ძალისხმევის შედეგი. ომი ადამიანებს შორის არსებული ნება-სურვილების კონფლიქტია. თავისი არსით, ყველა ომი დაკავშირებულია ადამიანთა ცვალებად მოქმედებასთან, როდესაც თითოეული მხარე ცდილობს შეცვალოს მეორე მხარის მოქმედება იარაღის ძალით. ის მხარე, რომელიც უკეთ აღიძევას აპერატიულ გარემოს, უფრო სწრაფად შეისწავლის და აქვს ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი, ხოლო გაურკვეველ მგდომარეობაში ასევე სწრაფადვე იღებს მოქმედების გადაწყვეტილებას, იქნება გამარჯვებული.

## ერთობლივი სახმელეთო რაორაციების მიზანი

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები არის სახმელეთო ძალების ოპერატიული კონცეფცია და წვლილი ერთობლივ მოქმედებებში. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები არის ერთდროული თავდასხმითი, თავდაცვითი და სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებები ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, შესანარჩუნებლად და გამოსაყენებლად, ოპერატიული გარემოს ფორმირებისათვის, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, წარმატების განსამტკიცებლად და ომის, როგორც ერთობლივი მოქმედებების ნანილის, მოსაგებად. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციების მიზანია სათანადო პირობების შექმნა გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიღწიოს საბოლოო შედეგს და დაამარცხოს მოწინააღმდეგე სახმელეთო ძალების გამოყენებით. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები – ეს არის ის, თუ როგორ იყენებს სახმელეთო ძალები საბრძოლო სიძლიერეს:

- გადამწყვეტი მოქმედებებით;
- ინიციატივის ხელში ჩასადგებად, შესანარჩუნებლად და გამოსაყენებლად;
- წარმატების განსამტკიცებლად.

სამხედრო ძალები ცდილობენ, თავიდან აირიდონ ან შეავავონ საფრთხეები ერთობლივი მოქმედებით და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ შესაბამისი შესაძლებლობები აგრესის დასამარცხებლად.

## მადამწყვეტი მოქმედება

გადამწყვეტი მოქმედება არის თავდასხმითი, თავდაცვითი და სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებების უწყვეტი, ერთობლივი კომბინაცია. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ოპერაციები აერთიანებს გადამწყვეტი მოქმედების სამ ელემენტს, როგორიცაა: თავდასხმა, თავდაცვა და სტაბილურობა. ქვეყნის შიგნით გადამწყვეტი მოქმედება კი აერთიანებს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერასა და საჭიროების შემთხვევაში, თავდასხმით და თავდაცვით დავალებებს სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით.

გადამწყვეტი მოქმედება იწყება მეთაურის ჩანაფიქრითა და ოპერაციების კონცეფციით და უზრუნველყოფს მთელი ოპერაციის მიმართულებას. დაგეგმვის დროს მეთაურები და შტაბები სრულყოფენ ოპერაციების

კონცეფციას და სწორად ანაწილებენ რესურსებსა და დავალებებს, ოპერაციის მიმდინარეობისას კი შეაქვთ შესწორებები რესურსებისა და დავალებების განაწილების პროცესში ვითარების ცვლილებასთან ერთად.

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები მოიცავს ბრძოლას შეიარაღებულ ოპონენტებს შორის და ასევე ოპერაციების ჩატარებას მოსახლეობას შორის. ამისათვის გაერთიანებულ ძალებს სჭირდებათ მოწინააღმდეგის დამარცხება და ამავე დროს სამოქალაქო გარემოს ფორმირება. მნიშვნელოვანია ბრძოლებსა და სამხედრო მოქმედებებში გამარჯვების მოპოვება, თუმცა ეს არა ყოველთვის მნიშვნელოვანი დავალება. სამოქალაქო გარემოს ფორმირება მნიშვნელოვანია კამპანიის წარმატებისათვის. მრავალი ერთობლივი ოპერაციის დროს კი უფრო მნიშვნელოვანია სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებები, ვიდრე თავდასხმითი და თავდაცვითი დავალებები. დავალებებზე ყურადღების გამახვილების დონე იცვლება ეშელონის, დროისა და ადგილმდებარეობის ცვლილებასთან ერთად. ოპერაციის დროს, როდესაც ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სტაბილურობაზე, ქვედანაყოფის ერთი ნაწილი ერთდროულად შეასრულებს თავდასხმით და თავდაცვით დაგალებებს სტაბილურობის დამყარების მხარდასაჭერად. ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა ერთადერთი მოქმედებაა, რომელიც რეალურად ტარდება. აღნიშნული დავალებების ერთდროულად ჩატარება მნიშვნელოვანია სახმელეთო ოპერაციის წარმატებისათვის და საბოლოო შედეგის მისაღწევად.

## ინიციატივის ხელში ჩამდება, შენარჩუნება და გამოყენება

სახმელეთო ძალები ხელში იგდებენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ინიციატივას და აიძულებენ მოწინააღმდეგეს, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს საპასუხო მოქმედებები. მეთაურები შეუქმნიან მოწინააღმდეგე ძალებს სხვადასხვა სირთულეს და აიძულებენ საპასუხო მოქმედებების შესრულებას მანამ, სანამ არ აღმოჩნდებიან არახელსაყრელ პოზიციებზე. ინიციატივის გამოყენებით მოწინააღმდეგე ძალების მეთაურები იძულებული ხდებიან, რომ ხელი აიღონ საკუთარ ჩანაფიქრზე და შესაბამისად, უშვებენ შეცდომებს. მოწინააღმდეგის შეცდომებითა და დასუსტებით კი სარგებლობენ მასთან დაპირისპირებული ძალები, ხელში იგდებენ ინიციატივას და ქმნიან წარმატების განვითარების ახალ შესაძლებლობებს. წარმატების განვითარება კი საბრძოლო სიძლიერესთან ერთად მოწინააღმდეგის ძალების განადგურებისა და დამარცხების, მოპოვებული წარმატების განმტკიცების, მოსახლეობის, საკუთარი ძალებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის წინაპირობაა.

მეთაურები ხელში იგდებენ ინიციატივას სხვადასხვა სფეროში მოქმედებების ერთდროულად შესრულებით. ინიციატივის ხელში ჩაგდება შეუძლებელია მოქმედების გარეშე. გაურკვეველ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების სურვილი გაურკვევლობის შესამცირებლად. ამ მოლოდინმა და ინფორმაციის შეგროვებამ შესაძლოა შეამციროს გაურკვევლობა, თუმცა საბოლოოდ მარც არ აღმოფხვრის მას. ხოლო ლოდინმა შესაძლებელია შექმნას ისეთი ჰირობები, როდესაც ადაპტაციის უნარის მქონე მოწინააღმდეგე მიეცემა ინიციატივის ხელში ჩაგდების ან ხელახლა მოპოვების დრო. წარმატებული მეთაურები უკეთ მართავენ გაურკვეველ ვითარებას კონკრეტული მოქმედებების შესრულებისა და ვითარებაში გარკვევის მეშვეობით.

ინიციატივის ხელში ჩაგდება ნიშნავს მთელი ოპერაციის განმავლობაში სათანადო ჰირობების შექმნასა და მოქმედებისათვის აუცილებელი მითითებების შესრულებას. მეთაურები გეგმავენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას შესაძლებლობას ოპერაციის ადრეულ ეტაპზე. ეფექტური დაგემვისას განისაზღვრება, თუ სად, როდის და როგორ უნდა შესრულდეს აღნიშნული პროცესი. მოწინააღმდეგები შეეცდებიან ინიციატივის შენარჩუნებასა და მასთან დაპირისპირებული ძალების გეგმების ჩატლას, აქედან გამომდინარე, ინიციატივის ხელში ჩაგდების საფუძველი კარგად ჩამოყალიბებული გეგმების სწრაფად შესრულებაა. შესრულების ფაზაში მეთაურები და შტაბები განსაზღვრავენ და იყენებენ შესაძლებლობებს, რათა შეუტიონ და შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგის მართვისა და კონტროლის ელემენტები და თავიდან აიცილონ საბრძოლო სიძლიერის სინკრონიზაცია და მოულოდნელობა. ინიციატივის ხელში ჩაგდება დაკავშირებულია რისკის განვითარებას. მეთაურები და შტაბები აფასებენ აქვთ თუ არა ინიციატივა და მისი არქონის შემთხვევაში განსაზღვრავენ ინიციატივის ხელში ჩაგდების გზებს. ქვემოთ მოცემული ჰირობები მიუთითებს, რომ საკუთარი ძალების ქვედანაყოფებს აქვთ ინიციატივა:

-საკუთარი ძალების ქვედანაყოფები აღარ მონაწილეობენ გადამწყვეტ საბრძოლო მოქმედებებში ან აღარ მოუწევთ გადამწყვეტი ბრძოლა;

-დაქვემდებარებულ მეთაურებს შეუძლიათ საბრძოლო სიძლიერის მასირება ან ქვედანაყოფების კონცენტრირება მათ მიერ არჩეულ დროსა და ადგილას;

-მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები ვეღარ ახერხებენ ეფექტური წინააღმდეგობის გაწევას ან აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის აღდგენა;

-საკუთარი ძალების ქვედანაყოფები მოსალოდნელებ ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებიან მოწინააღმდეგის მხრიდან ან ტყვების რაოდენობაც დიდია;

-საკუთარი ძალების წინ წაწევის ტემპი უეცრად იზრდება ან მოულოდნელად მცირდება დაშავებულთა რაოდენობა.

ინიციატივის შესანარჩუნებლად საჭიროა მოწინააღმდეგებზე ხანგრძლივი და მუდმივი ზემოქმედება. მეთაურები ამას აკეთებენ საბრძოლო ფუნქციების სინქრონიზებით და აიძულებენ მოწინააღმდეგის მეთაურებს, მუდმივად ცვალონ თავიანთი საბრძოლო სიძლიერე იმ ტემპით, რომელიც არაეფექტური იქნება. მეთაურები და შტაბები იყენებენ ინფორმაციის შეგროვების საშუალებებს მოწინააღმდეგის მხრიდან ინიციატივის ხელში ჩაგდების მცდელობების დადგენის მიზნით. ინფორმაციის ეფექტური მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მუდმივად ფლობდე ინფორმაციას მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. ეფექტურ დაგეგმვასთან ერთად ინფორმაციის მართვა ეხმარება მეთაურებს მოწინააღმდეგის მოქმედებების წინასწარ განსაზღვრასა და განშტოებებისა და შესწორებების შემუშავებაში.

## წარმატების მანეთაცემება

წარმატების განმტკიცება მოიცავს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერი დროებითი ოპერატიული წარმატების განმტკიცებას და ქმნიან შესაბამის გარემო პირობებს ლეგიტიმური ხელისუფლებისათვის მართვის უფლებამოსილების გადაბარების მიზნით. სახმელეთო ძალები იყენებენ ოპერატიულ წარმატებას გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის მოპოვებული წარმატების განმტკიცების მეშვეობით. წარმატების განმტკიცება წარმატების მოპოვებისა და მიღწევის ნაწილია კონფლიქტის კონტინუიმის პროცესსა და მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში. ესაა მეთაურის ჩანაფიქრის შესრულების გაგრძელება და მნიშვნელოვანია წარმატების შესანარჩუნებლად კონკრეტულ მოწინააღმდეგესა და მტრულად განწყობილ მხარეებთან დაკავშირებით. წარმატების განმტკიცებისათვის სახმელეთო ძალები აძლიერებენ და უზრუნველყოფენ ძალისხმევათა ინტეგრაციას ერთობლივ მოქმედებებში მონაწილე ყველა პარტნიორთან ერთად.

წარმატების განმტკიცება არაა ამოცანა. ესაა სახმელეთო ძალების სტრატეგიული როლი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დავალებების მიზნებით, რაც აუცილებელია სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით მყარი პოლიტიკური შედეგების მისაღწევად და როგორც წესი, ესაა სახმელეთო ძალების მიერ უზრუნველყოფილი შესაძლებლობა გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის. სახმელეთო ძალები განამტკიცებენ წარმატებას რაიონის უსაფრთხოებითა და სტაბილურობის დავალებების შესრულებით მაშინ, როდესაც ოპერაციების რაიონში ოპერატიული აქცენტები გადადის ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციებზე. წარმატების განმტკიცება იძლევა საშუალებას სახმელეთო ძალებმა დაკავებული ტერიტორიის და მოსახლეობის კონტროლი (რომელიც სამხედრო ოპერაციების შედეგია) გადასცეს კანონიერ/ლეგიტიმურ ხელისუფლებას. წარმატების განმტკიცების მოქმედებები მიმდინარეობს მთელი რიგი სამხედრო ოპერაციების მასშტაბით და ხშირად გრძელდება კონკრეტული ოპერაციის ყველა ფაზაში.

სახმელეთო ძალები უზრუნველყოფენ წარმატების განმტკიცებას ქვეყნისა და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიზნით. მასში შედის: მოწინააღმდეგის ძალების დარჩენილი ნაწილის დამარცხება, იძულებით გადაადგილებულ სამოქალაქო პირთა ადგილმდებარეობის შეცვლა, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა, ჰუმანიტარული დახმარება და ინფრასტრუქტურის დაცვა. სახმელეთო ძალებს უნდა შეეძლოთ ამგვარი მოქმედებების შესრულება ოპერაციების გაგრძელების მიზნით ძალების მხარდაჭერის, ადგილმდებარეობს შეცვლისა და რეორგანიზების მეშვეობით. ოპერაციების დროს მოწინააღმდეგისათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილის დაკარგვა/გაქრობა და მისი მხრიდან კონფლიქტის გაგრძელების თავიდან აცილება უმთავრესი პრიორიტეტებია წარმატების განსამტკიცებლად, რისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ძალების გამოყოფა.

წარმატების განმტკიცების დროს მეთაურები უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას ერთი ფაზიდან მეორებე გადასვლისას. სახმელეთო ძალები ატარებენ რეკოგნოსციონებას უნივეტად, რათა დაამყარონ და შეინარჩუნონ კონტაქტი მოწინააღმდეგე ძალების დარჩენილ ნაწილთან, შეძლონ მათი დამარცხება და შეინარჩუნონ მოპოვებული ინიციატივა. წარმატების განმტკიცება შესაძლებელია მოიცავდეს თავდასხმით დავალებებს - იზოლირებული ან მოწინააღმდეგის იმ ძალების გასანადგურებლად, რომლებსაც

გვერდი აუარეს და თავდაცვით დავალებებს - კომუნიკაციის ხაზების, მიმოსვლის მარშრუტების დასაცავად და სამხედრო ტყვებისა და სამოქალაქო დაკავებული პირების შესახებ მონაცემების დასამუშავებლად. მეთაურები უზრუნველყოფენ შესაბამის ძალთა სტრუქტურას საჭირო დავალებების შესასრულებლად. მეთაურები ინარჩუნებენ კავშირს მოსახლეობასთან, რათა ისინი არ ჩაერიონ სამხედრო ოპერაციებში და ეხმარებიან მათ იმის გააზრებაში, თუ რა სარგებლის მომტანია სამომავლოდ მიმდინარე სამხედრო ოპერაციები. ამ ძალისხმევას მხარს უჭერს ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა სამხედრო საინფორმაციო მხარდაჭერის ოპერაციები.

## დასპანა

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციებისათვის საჭიროა უნივერსალური, ადაპტაციის უნარის მქონე და მოქნილი ქვედანაყოფები და მეთაურები, რომლებსაც შეუძლიათ ჰანსაღი მსჯელობა, რომელიც ძირითადად მიიღწევა რეალურ და რთულ პირობებში ჩატარებული საბრძოლო მომზადების მეშვეობით. გადამწყვეტი მოქმედების შესასრულებლად საბრძოლო მომზადების პროცესის მართვა ერთგვარი გამოწვევაა ყველა ეშელონის ლიდერებისათვის. ამ ტიპის სწავლება ანვითარებს დისციპლინას, გამძლეობას, ქვედანაყოფის ერთსულოვნებას და გაურკვეველ მდგომარეობაში მოთმინებისა და ურთიერთობარდაჭერის უნარს. ასეთ დროს კარისკაცები და ქვედანაყოფები ემზადებიან ოპერაციების დროს აღმოჩენილი გაურკვეველი მდგომარეობისა და პრობლემების მოგვარებაში.

პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით ნათელია, რომ ქვედანაყოფები, რომლებიც გადიან საბრძოლო მომზადებას კონკრეტულად თავდასხმით და თავდაცვით დავალებებში, არ არიან მომზადებული სტაბილურობის დავალებების შესრულებაში და, პირიქით, ქვედანაყოფები, რომლებიც მონაწილეობენ ხანგრძლივი სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებებში, საჭიროებენ ინტენსიურ საბრძოლო მომზადებას, რათა მიიღონ თავდასხმითი და თავდაცვითი დავალებების შესრულების გამოცდილება ერთობლივ სახმელეთო ოპერაციებში ჩართვამდე. ეფექტური მომზადება გულისხმობს ბალანსის დაცვას გადამწყვეტი მოქმედების დავალებებს შორის ინდივიდუალური, კოლექტური და ამოცანისათვის მნიშვნელოვანი დავალებების შესრულებისას კარისკაცის, მეთაურის და ქვედანაყოფის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მხარდასაჭერად.

გამოცდილი მეთაურები ერთობლივი სახმელეთო ოპერაციის მიმდინარეობისას მუდმივად ადაპტირებენ და ასრულებენ მრავალ დავალებას ერთდროულად. ისინი ცვლიან ტაქტიკას, უზრუნველყოფენ ამოცანით მართვის პროცესის მოდიფიცირებას, ცვლიან ძალთა სტრუქტურას და აბალანსებენ გადამწყვეტი მოქმედების თითოეულ დავალებას. ამგვარი მოქმედება უზრუნველყოფს ძალთა ფოკუსირებას ამოცანის შესრულებაზე და ეხმარება მათ ინიციატივის ხელში ჩაგდებაში, შენარჩუნებასა და გამოყენებაში. მეთაურები იღებენ გადამწყვეტილებებს ვითარებაში გარკვევის, ასევე ხელთარსებული რესურსებისა და ძალების მიერ ამოცანის შესრულების შესაძლებლობის საფუძველზე. ისინი აფასებენ ოპერაციების მიმდინარეობას, ვითარების ცვლილებებსა და ძალების საბრძოლო ეფექტურობას. მეთაურები აფასებენ არა მარტო იმას, თუ რამდენად კარგად სრულდება ამოცანა მიმდინარე ოპერაციის დროს, არამედ ასევე იმას, თუ როგორი ვითარება იქმნება შემდგომი/მომდევნო ამოცანის შესასრულებლად.

## გამოყენებული ლითერატურა

- FM 3-0 Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 6 October 2017
- FM 5-0 The Operations Process. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 26 March 2010
- FM 3-24/MCWP 3-33.5,C1 Insurgencies and Countering Insurgenicies. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 2 June 2014
- FM 3-90 Tactics. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 4 July 2001
- JP 3-0 Joint Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 17 January 2017 Incorporating Change 1, 22 October 2018.
- FM-6-0 Commander and Staff Organization and Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 5 May 2014

# ომის პრინციპები - რათომ შხრა?

## თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე პროფესორი

### აბსტრაქტი

მოსაზრება, რომ ომის პრინციპები ომის წარმოების გზამკვლევია ომის სამივე დონისათვის ქვეყნების სამხედრო დოქტრინებში გვხდება. ზოგადად, პრინციპებები მსჯელობა ევროპული სამხედრო სააზროვნო სივრცის განუყოფელ ნაწილად კლასიკის (1780- 1831) შემდეგ იქცა. დღეს ომის პრინციპები ყველა დოქტრინაში გამოვეთილადაა მონიშნული, როგორც ომისადმი მიღების და ოპერაციების პრაქტიკული განხორციელების საფუძველი. იქნებ დროთა განმავლობაში, იარაღისა და ომის ფორმების ცვლილებებიდან გამომდინარე, პრინციპების დღევანდელი ჩამონათვალი შეიძლება საერთოდ ირელევანტური აღმოჩნდეს? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პრინციპების გააზრების თემა სულაც არ არის ამონურული იმით, რომ მათი ჩამონათვალი, წლებია, უცვლელად გადადის დოქტრინიდან დოქტრინაში, ანდა დოქტრინის ერთი რედაქციიდან მეორეში. კვლევაში ვნახავთ რომ მიუხედავად ერთგვარი უცვლელებისა, როგორც ირკვევა, მათი შინაარსი მეტად პირობითია. ისევე, როგორც პირობითად რჩება მათი რაოდენობაც.

#### საპატიო სითყვები:

ომის პრინციპები, ძალის ეკონომის კანონი, მიმართულების პრინციპი, კონცენტრაციის პრინციპი, დანაწილების პრინციპი, ძალის განსაზღვრის პრინციპი, სიურპრიზის (მოულოდნელობის) პრინციპი, მდგრადობის პრინციპი, მობილურობის პრინციპი, შემტევი (აგრესიული) მოქმედების პრინციპი, უსაფრთხოების პრინციპი

# **THE PRINCIPLES OF A WAR - WHY NINE?**

**RESERVE LIEUTENANT GENERAL DAVIT TEVZADZE  
PROFESSOR**

## **ABSTRACT**

The notion that the principles of war are a guide to the conduct of war for all three levels of war is also found in the military doctrines of other countries. In general, the discussion of principles became an integral part of the European military space of thought after **Clausewitz** (1780-1831). Today, the principles of war are clearly marked in all doctrines as the basis for a practical approach to war and operations. Maybe over time, due to changes in the forms of weapons and war, the current list of principles may seem completely irrelevant? We can say that the topic of understanding the principles of war is not at all exhausted by the fact that their list, over the years, changes invariably from doctrine to doctrine, or from one version of the doctrine to another. In the study we will see that despite a kind of immutability, as it turns out, their content is highly conditional. Even though their number might sometimes remain the same.

**KEYWORDS:**

Principles of War, Law of Economics of Power, Principle of Direction, Principle of Concentration, Principle of Partition, Principle of Determination of Force, Principle of Surprise, Principle of Sustainability, Principle of Mobility, Principle of Aggressive Action, Security

აშშ არმის საველე წესდებაში (FM-100-5), რომელიც საარმიო ოპერაციების მართვასა და წარმოებას აღნერს, წერია, რომ ყველა დონის სამხედრო ოპერაციების წარმატებული ჩატარებისათვის აუცილებელია არმის მოქმედების დოქტრინის საფუძვლების გააზრება: ეს არის ომის პრინციპები და საარმიო ოპერაციათა პოსტულატები. ომის წარმოების ცხრა პრინციპი ერთგავრი გზამკვლევია როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე [1, თავი 2, 2-4]

მოსაზრება, რომ ომის პრინციპები ომის წარმოების გზამკვლევია ომის სამივე დონისათვის სხვა ქვეყნების სამხედრო დოქტრინებშიც გვხდება. ზოგადად, პრინციპებზე მსჯელობა ევროპული სამხედრო სააზროვნო სივრცის განუყოფელ ნაწილად კლაუზევიცის (1780- 1831) შემდეგ იქცა. დღეს ომის პრინციპები ყველა დოქტრინაში გამოკვეთილადა მონიშნული, როგორც ომისადმი მიღვინობის და ოპერაციების პრაქტიკული განხორციელების საფუძველი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ომის პრინციპებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სახვადასხვა იყო: მაგალითად, პრუსის მეფეს, ფრიდრიხ დიდის (1712-1786) მიაჩნდა, რომ **არასოდეს არ უნდა მისდიო პრინციპებს ისე**, როგორც ბრძა მიყვება კედელს. სხვათაშორის, ამავე აზრს ავითარებდა კლაუზევიციც; რომელიც წერდა, რომ პრინციპები გენიოსებისთვის **არ ყალიბდება** (იხ. [6, 737])

ჩინელი სტრატეგი სუნ ბი (ძვ.წ. 544 -ძვ.წ. 496) ომში წარმატებისათვის რამოდენიმე გარემოებას უსვამდა ხაზს (თუმცა ამ გარემოებებს ის პრინციპებს არ უწოდებდა). ეს გარემოებებია:

- » სუთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანია ომისათვის: **მორალური გავლენა, ამინდი, გარემო, ხელმძღვანელი, დოქტრინა**
- » გამარჯვება მიიღება ეშმაკობით, სისწრაფით, და მოწინააღმდეგის ცოდნით
- » უმაღლესი ხელოვნებაა გაიმარჯვო ომის გარეშე (ibid)

თავად კლაუზევიცი, რომელიც გენიოსებითვის პრინციპების დაცვას აუცილებლად არ მიიჩნევდა, მკვეთრად აყალიბებდა რამოდენიმე პრინციპს, რომელიც მას გამარჯვების წინაპირობად მიაჩნდა:

- » გამოიყენე მაქსიმალური ძალისხმევა
- » გადამწყვეტი დარტყმის ადგილას მოახდინე კონცენტრაცია
- » ნუ დაკარგავ დროს და განაცვითორე მოწინააღმდეგე
- » ენერგიულად განავითარე წარმატება

აღნიშნულს ის ამატებდა 3 პრინციპს თავდაცვაში მოქმედებისას, 14-ს შეტევისთვის, 7-ს ჭარების მართვისა და 17-ს სხვადსხვა ლანდშაფტები მოქმედებისათვის [ibid]

ფრანგ გენერალ ჟომინის (1779 – 1869), რომელმაც ომის პრინციპები ასევე ნაპოლეონის კამპანიების ანალიზის შედეგად გამოკვეთა, მიაჩნდა, რომ აუცილებელია:

- » მიმართო ძირითადი მასა ომის თეატრის გადამწყვეტი ადგილისაკენ და ამავდროულად იმდენსერ შეუტიო მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს, რამდენერაც შესაძლებელია
- » სწრაფად გადაადგილდე და ბრძოლაში ჩაითრიო მოწინააღმდეგის მცირე ნაწილები საკუთარი ძირითადი ძალების წინააღმდეგ
- » შეტევის ფოკუსი - სუსტი ან დუცველი ფლანგი, რომელიც არის გადამწყვეტი დარტყმის ადგილი
- » დამხმარე ძალისხმევაზე უნდა დაიზოგოს ძალა და ძალის თავმოყრა გადამწყვეტ ადგილას უნდა მოხდეს[9]

ერთგვარმა მსგავასებამ ჟომინისა და კლაუზევიცის ხედვებისა, მათი დაპირისპირების მიუხედავად, არ უნდა დაგვაძიოს: ომს, ორივე, ნაპოლეონის კამპანიების თვალსაწიერიდან აფასებდა.

ბრიტანელი ფელდმარშალი უილიამ სლიმი (1891 – 1970), აერთიანებდა რა ამ ოთხს, თვლიდა, რომ, საერთოდ, არსებობს ერთად-ერთი პრინციპი მოისა და ის შემდეგია: **დაარტყი რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება მაგრად, იქ სადაც ყველაზე მტკიცნეულია და მაშინ, როდესაც არ გხედავთ**. საინტერსოა, რომ ეს დებულება ეპიგრაფად შეირჩა აშშ საზვაო ქვეითთა ტაქტიკის 1991 წლის სახელმძღვანელოსთვის (FMFM 1-3) [2].

მე-20 საუკუნის დასაწყისში პრინციპებზე საუბარი დაიწყო ბრიტანელმა გენერალ-მაიორმა **ჯონ ფულერმა** (1878-1966). აქ კი ცოტა შევჩერდეთ: მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას ფულერის ომის მეცნიერების დეტალური განხილვისა, ვფიქრობ მისი სააზროვნო ხაზის ზოგადი აღწერა მაინც შესალებელია და მეტიც, აუცილებელი. საქმე იმაშია, რომ ის, რომ ომის პრინციპებად აღიარებული დებულებების რაოდენობა ცხრაა, ფულერის ნააზრევიდან ნამოსული ტრადიციაა: ჯერ კიდევ 1911 წელს,

როდესაც მას გერმანიაში გატარებული არდადაგების შემდეგ ჩამოყალიბდა აზრი ევროპაში დიდი ომის გარდუვალობის შესახებ, ის დაინტერესდა საკითხით, არსებობს თუ არა იმდაგვარი სააზროვნო სქემები, რომელიც ომის მართვას მოწესრიგებულ, გამართულ და აზრიან საქმიანობად აქცევს, თუ ყველაფერი სარდლის (სარდალთა) ინტუიციის იმედადა დარჩენილი? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ის იწყებს ნაპოლეონის მიმოწერის შესწავლას [3].


შემდეგი სქემები, რომელიც [3,13-16]-ს ეყრდნობა, აჩვენებს იმ გზას, თუ როგორ მიმდინარეობდა ფულერის აზროვნების ევოლუცია ქრონოლოგიურად:

წელი	მოვლენა
1911	მოგზაურობა გერმანიაში: ფულერს უყალიბდება რწმენა დიდი ევროპული ომის გარდუვალობის შესახებ. ინტებს ნაპოლეონის მიმოწერის შესწავლას.
1912	ფულერი მიდის დასკვნამდე, რომ ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა ექვსი პრინციპით.
1915-1916	ფულერი აქვეყნებს წერილს „ომის პრინციპები 1914-15 წლების კამპანიებთან მიმართებაში“, სადაც ის ამატებს ორ პრინციპს, რომელიც არ ქონია ნაპოლეონს.
1917	ფულერს იწვევენ ალდერშოტის ოფიცერთა სკოლაში, სადაც ის კითხულობს კურსს ომის პრინციპების შესახებ.
1918	ფულერს უყალიბდება აზრი, რომ ომი, როგორც ხდომილება, რომელიც ძალის ეფექტურად (ეკონომიურად) გამოყენებას ეყრდნობა, იმავე კანონზომიერებს ექვემდებარება, რაც ფიზიკური გარემო, და ამ კანონზომიერებებიდან და ძალის ეკონომომიური გამოყენების მოთხოვნიდან გამომდინარეობს ოთხი პრინციპი:
	<ul style="list-style-type: none"> <li>» მოულოდნელობა</li> <li>» ძალის დანაწილება</li> <li>» ძალის კონცენტარაცია</li> <li>» კოოპერირება</li> </ul> <p>მაგრამ, ვინაიდან ომი ასევე ადამიანის მოქმედებას და მორალურ ძალთა დაძაბვასაც გულისხმობს, მას ასევე ჭირდება ამ ოთხის შესატყვისი პრინციპები ადამიანური ფაქტორის აღსაწერად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>» ობიექტის შერჩევა</li> <li>» უსაფრთხოება</li> <li>» აგრესიულობა</li> <li>» მობილურობა</li> </ul> <p>და დამატებით სამი პრინციპი მორალური განზომილების აღსაწერად. ესენია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>» გადამწყვეტი მოქმედება</li> <li>» სიმტკიცე (გამძლეობა, მდგრადობა – endurance)</li> <li>» დემორალიზაცია (მოწინააღმდეგის).</li> </ul>
1920-1923	გამოდის ფულერის ორი სტატია „ომის მეცნიერების საფუძლები“ და „ომის ცელილება“, სადაც ახსნილია მისი მიდგომის საფუძვლები.
1925	ლიდელ ჰარტან (1895 – 1970) მიმოწერის შემდეგ, ფულერი საბოლოოდ ყალიბდება ცხრა პრინციპის თაობაზე. რომელიც სამ ჯგუფად არის წარმოდგენილი: მენტალური, მორალური, ფიზიკური

პრინციპების ხედვა წლების მიხედვით:

პრინციპების თავდაპირველი ხედვა (ნაპოლეონი) 1912 წ.	1914-1915 წლების კამპანიების ანალიზი 1916 წ.	საველე სამსახურის ახალი წესდება 1924 წ.	წესდების 1925 წლის რედაქცია
1. შეტევის ობიექტი - (შეტევის) ჭეშმარიტი ობიექტი არის ის ადგილი, სადაც მონინააღმდეგეს შეგიძლია გადამწყვეტი მარცხი მიაყენო	1. იგივე 2. იგივე 3. იგივე 4. იგივე 5. იგივე 6. იგივე 7. ძალთა გადანაწილება 8. კოოპერაცია	1. შეინარჩუნე შეტევის ობიექტი 2. აგრესიულობა 3. სიურპიზი 4. კონცენტრაცია 5. ძალის განაწილება 6. უსაფრთხოება 7. მობილურობა 8. კოოპერაცია	1. შეინარჩუნე შეტევის მიმართულება 2. იგივე 3. იგივე 4. იგივე 5. ძალთა განაწილება 6. იგივე 7. იგივე 8. მდგრადობა 9. ძალის ორგანიზაცია
2. ძალისა და ძალისხმევის კონცენტრაცია გადამწყვეტ ადგილას (მასის პრინციპი)			
3. აგრესიულობა			
4. უსაფრთხოება			
5. მოულოდნელობა			
6. მობილურობა			

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით დღევანდელი მიდგომებისაგან, ფულერისათვის პრინციპები ურთიერდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მთლიანობას შეადგენს, რაც, როგორცა ჩანს, გაპირობებულია იმით, რომ პრინციპები მთლიანად თეორიული მსჯელობის (და არა რომელიმე ომის პრაქტიკის ანალიზის შედეგი, როგორც კლაუსტევიცთან) შედეგია. შემდეგ დიაგრამაზე ვარგად ჩანს თუ რას უდებს ის საფუძვლად პრინციპებზე მსჯელობას და როგორ ქმნიან ისინი მთლიანობას [იხ. 3,220].



როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, ძალა, რომლის გამოყენების პრინციპებზეა რეალურად ლაპარაკი, ცენტრშია მოთავსებული და მის გარშემო „ბრუნავს“, ანდა ჰგუფდება პრინციპები, რომელიც ერთი მეორედან ბუნებრივად მომდინარეობს და ერთგვარ ციკლს ქმნის:

- » **კოსმიური სიბრტყე:** მიზანი და განზრახულობა ქმნის ძალის ეფექტური (ეკონომიური) გამოყენების საფუძველს
- » **მენტალური სიბრტყე:** მიმართულება და კონცენტრაცია განსაზღვრავს მიწოდებას (პირველი, მეორე და მესამე პრინციპები)
- » **მორალური სიბრტყე:** გადამწყვეტი მოქმედება და მოულონელობა იძლევა მდგრადობას (მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პრინციპები)
- » **ფიზიკური სიბრტყე:** შემტევი მოქმედება და დაცულობა ქმნის მობილურობის შესაძლებლობას (მეშვიდე, მერვე და მეცხრე პრინციპები)

უნდა ითქვას, რომ კოსმიური სიბრტყე ერთგავარად ამოვარდნილია და ირიბად ზემოქმედებს ძალის გამოყენების თვალსაზრისით. თუმცა ის მნიშვნელოვანია, როგორც მიზნის, ასევე დანიშნულების და შესაბამისად, ძალის ფორმირების თვალსაზრისით.

ფულერისთვის, გარკვეული ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, პრინციპები ძალათა ეკონომიის (ზოგადი, უნივერსალური) კანონის ემანაციას წარმოადგენს. შემდეგ ჩამონათვალში თითოეულის აგდილი გაპირობებულია წინადან: გონიერის პრინციპები ქმნიან ბაზას წების (მორალური სივრცის) ქმნადობისთვის და ამ უკანასკნელის საფუძველზე ყველაფერი მოძრაობაში მოდის (ფიზიკური სივრცე);

- I. მიმართულების პრინციპი
- II. კონცენტრაციის პრინციპი
- III. დანანილების პრინციპი
- IV. ძალის განსაზღვრის პრინციპი
- V. სიურპრიზის (მოულოდნელობის) პრინციპი
- VI. მდგრადობის პრინციპი
- VII. მობილურობის პრინციპი
- VIII. შემტევი (აგრესიული) მოქმედების პრინციპი
- IX. უსაფრთხოების პრინციპი

ახლა ამ პრინციპების დაჲგუფება ბევრნაირადაა შესაძლებელი, ვინაიდან ცხრავე ერთ მთლიანობას წარმოადგენს და ძალის ეკონომიის კანონის ტოლფასია. (ibid, გვ.225): შეგვიძლია პრინციპები იმ სფეროების მიხედვითაც დავაჲგუფოთ, რომელსაც ისინი მართავს (გონებრივი, მორალური და ფიზიკური), ანდა დასაჲგუფებლად სხვა ნიშნები ავიღოთ: მაგალითად, ერთ-ერთი ტრიხოტომიური დალაგება ეყრდნობა ძალის გამოყენების ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა მართვა (კონტროლი), ზეწოლა და წინააღმდეგობა: ძალას ვიყენებ ან წინააღმდეგობის გასაწევად, ან იძულებისათვის და ეს რომ შევძლო, მე ის უნდა ვმართო. ამ პარამეტრების მიხედვით, პრინციპები ასევე სამ დიდ ჰგუფად ლაგდება:

1. **კონტროლის (მართვის) პრინციპები:** პირველი, მეოთხე და მეშვიდე

  - » მიმართულება
  - » ძალის განსაზღვრა
  - » მობილურობა

2. **ზეწოლის პრინციპები:** მეორე, მეხუთე და მერვე

  - » კონცენტრაცია
  - » სიურპრიზი
  - » შემტევი მოქმედება

3. **წინააღმდეგობის პრინციპები:** მესამე, მეექვსე და მეცხრე

  - » დანანილება
  - » მდგრადობა
  - » უსაფრთხოება

ეს გახლავთ ის ბაზა, რაზედაც დაყრდნობით იგება ომის გააზრება პრაქტიკულად ყველა **თანამედროვე (დასავლურ) სამხედრო დოკტორიზაში**. მართლაც, თვალი რომ შევავლოთ პრინციპების სტანდარტულ ინტერპრეტაციას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ 1925 წლის შემდეგ, მათ გააზრებაში არსებითად,

არაფერი შეცვლილა გარდა იმ კითარებისა, რომ ძნელი სათქმელია, მოიაზრება მათში თუ არა ფულერის მიერ მიგნებული ერთიანობა. მაგალითად, აშშ-ს პრინციპების დოქტრინული ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყერება:

**1. მიზანი** - წარმართე ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია ნათლად განსაზღვრული და მიღწევადი მიზნისაკენ (შეესაბამება ფულერის **მიმართულებას** (შენიშვნა: აქ და ქვემოთ, შესაბამისობების შესახებ იხ. [7]). გადმომავს მიუხედავად იმისა, რომ ბოგიერთი შესაბამისობა შესაძლოა ხელოვნურიც გვაჩვენოს).

**2. აგრესიულობა** - ხელთ იგდე, შეინარჩუნე და გამოიყენე ინიციატივა: ა) მხოლოდ შემტევი მოქმედებით შეგვიძლია მივაღწიოთ გადამწყვეტ შედეგს; ბ) როდესაც თავდაცვით ბრძოლებს ვაწარმოებთ, თავდაცვა უნდა იყო მაქსიმალურად აეტიური. (შეესაბამება ფულერის **შემტევი (აგრესიული)** მოქმედების **პრინციპს**)

**3. კონცენტრაცია (თავმოყრა)** - თავი მოუყარე მთლიანი საბრძოლო ძალის ეფექტს გადამწყვეტ დგილას და გადამწყვეტ დროს. (შეესაბამება ფულერის **კონცენტრაციისა და დანაწილების პრინციპებს**)

**4. ძალის ეკონომია** - მეორადი ძალისმევისათვის წარმართე შესაძლო მინიმუმი. ფულერთან შესატყვისი არ გააჩნია, ვინაიდან ძალის ეკონომია ფულერისთვის ურთო გადამფარავია ცხრა პრინციპისა, ვიდრე პრინციპი

**5. მანევრი** - ძალების მოქნილი გამოყენებით ჩააყენე მოწინააღმდეგე უხერხულ მდგომარეობაში: ეს არის ძალის იმდაგვარი გადაადგილება, რომელიც არღვევს მოწინააღმდეგის ბალანსს და შეუძლებელს ხდის მისთვის მისდიოს ერთ რომელიმე არჩეულ გეგმას. **მანევრი შეუძლებელს ხდის განჭვრეტადი სვლების შესაძლებლობას**. (შეესაბამება ფულერის **მობილურობას**)

**6. მართვის ერთობა** - ყოველი მიზნისათვის ესწრაფე მართვისა და მიზნის ერთობას: ყველა ძალა ექვემდებარება ერთ მეთაურს, რომელიც ერთი მიზნის მიღწევას გულისხმობს. (შეესაბამება ფულერის **ძალის განსაზღვრასა და მდგრადობას**)

**7. უსაფრთხოება** - არასოდეს მისცე მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა მიაღწიოს მოულოდნელ უპირატესობას. (ზუსტად შეესაბამება ფულერის **უსაფრთხოებას**)

**8. სიურპრიზი** - დაარტყი მოწინააღმდეგეს ისეთ დროსა და ადგილას, სადაც არ ელის, ანდა იმდაგვარად, რისთვისაც ის მზად არ არის : სულ ცოტა, ისეთ რამეს უნდა ვეცადოთ, რომ მოწინააღმდეგის **რეაქცია**, თუნდაც სწორი, დაგვიანებული აღმოჩნდეს. (შეესაბმება ფულერის **სიურპრიზის (რაც მოწინააღმდეგის დემორალიზაციას იწვევს)**)

**9. სიმარტივე** - მოამზადე ნათელი, გაურთულებელი გეგმები და ცხადი ბრძანებები, რომ მიღწეულ იქნას მათი განხორციელება მათი გაცნობიერების გზით და არა ავტომატურად. (აღნიშნული პრინციპი ფულერთან არ გვხვდება).

## დასკვნის მაგიერ

ახლა ვცადოთ გავერკვეთ იმ კითხვის არსში, რომელიც სათაურშია დასმული.

როგორცვანხეთ, ის, რომ დღეს აღიარებული პრინციპიცხრაა, რეალურად, ფულერის ომის გააზრებისადმი მეტად სპეციფიკური მიდგომის შედეგია. როგორცა ჩანს, შემთხვევითი არაა ისიც, რომ **FM 100-5. Operations**, გარდა ცხრა პრინციპისა, დამატებით, ასევე ხეთ **ჰოსტელატს (დოგმას - tenets)** ასახელებს. ასევე, შემთხვევითი არ გახლავთ ის, რომ სხვადასხვა მწერალი, სხვადასხვა დროს, საკუთარი და მხოლოდ მისთვის გასაგები მოტივებით, სხვადასხვა ჩამონათვალს იძლეოდა პრინციპებისას. იგივე ნაპოლეონის ცნობილი **მაქსიმები**, რომელთაგან ფულერმა მხოლოდ ექვსი მიიჩნია საყურადღებოდ, გაცილებით მეტია: მაგალითად, ბრიგადის გენერალ ტომას ფილიპესის რედაქციით გამოქვეყნებულ **სტრატეგიის საფუძვლებში (Roots of Strategy)**[4] შესულია 115 მაქსიმა. მეტიც, სხვადასხვა ქვეყნები პრინციპების სხვადასხვა რაოდენობასა და ფორმულირებას ირჩევენ: მაგალითად, დიდი ბრიტანეთის დოქტრინაში პრინციპების რაოდენობა ათია; ყოფილი საბჭოთა კავშირის დოქტრინაში, რასაც დას-ს წევრი ქვეყნებიც იზიარებენ, თერთმეტი; საფრანგეთის არმია ცნობს სამს, ხოლო ისრაელი - ათს. და ა.შ. [7]

ხომ არ ნიშნავს ყველაფერი ეს იმას, რომ დროთა განმავლობაში, იარაღისა და ომის ფორმების ცვლილებებიდან გამომდინარე, პრინციპების დღევანდელი ჩამონათვალი შეიძლება საერთოდ ირელევანტური აღმოჩნდეს?

მაგალითად, ჩვენს წერილში **მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი**, რომელიც ელექტრონულ ურნალ **სპა-ში** 2019 წელს გამოქვეყნდა, ვწერდით, რომ თუ კი მეოთხე თაობის ომი საბრძოლო სივრცის ბრძის ტენდენციას შეინარჩუნებს, მაშინ აუცილებლობით მივალთ შედეგამდე, როდესაც ომის წარმოების ტრადიციული ხერხები ძალას კარგავს, ხოლო საბრძოლო სივრცის დომინანტად შეიარაღებულ ადამიანთა მცირე ჟგუფები იქცევა.

ეს კი, სულ ცოტა, ნიშნავს იმას, რომის ყველა პრინციპი, გარკვეულწილად, შინაარსობრივად ახალ

ელფერს შეიძენს. ზოგიერთი კი, შესაძლოა, უპირატეს პრინციპად გადიქცეს: მაგალითად, თუ კი მცირე ჰგული საბრძოლო სივრცის დომინანტად ქცევის ტენდენციას ამჟღავნებს, მაშინ მანევრი უნდა იქცეს უმთავრეს დოქტრინულ მოთხოვნად და შეიძლება მას თავისი პირვანდელი სახელიც კი დაუბრუნდეს - მობილურობა.

შევაჯამოთ: ნაპოლეონის ომების გადააზრება გვაძლევს ნაპოლეონის მაქსიმებს და უომინისა და კლაუსტრიციის დოქტრინულ ხდევებს ომისა და მისი მართვის შესახებ. პირველი მსოფლიო ომის გადააზრება ქმნის იმ სივრცეს, რომელზედაც ფულერისა და ლიდელ ჰარტის სტრატეგიული ხედვები იქმნება, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულება და ცივი ომი ასპარეზს უხსნის საბრძოლო სივრცეებზე ამბოხებულთა არმიების დომინანტობას, რომელიც ომს საკუთარი ხედვით (პრინციპებით) უდგებიან (ე.წ. პარტიზანული ომის პრინციპები: **ლოურენს არაბი** (1888-1935), **მარ ძედუნი** (1893-1976), **ერნესტ ჩევევარა** (1928-1967)), ხოლო ურბანული გარემოს განვითარება და მეგაპოლისების გაჩენას თან სდევს ასეთ გარემო და ახლებურად გააზრებული საბრძოლო გარემო და მასში მოქმედების პრინციპები (იხ. **კარლოს მარიგელას** (1911-19690) ქალაქის პარტიზანთა მინისახელმძღვანელო [5]).

ხომ არ ვუბრუნდებით ჩვენ კლაუსტრიციისეულ ეპისტემოლოგიურ დილემას, როდესაც ომის ლოგიკურად გამართული თეორიის აგება მხოლოდ იდეაში არსებული (იდეალური) ომისთვისაა შესაძლებელი და რომელიც რალურად არ არსებობს? ხოლო ის რაც რეალურად ხდება, პოლიტიკის გაგარებელებაა მხოლოდ და როგორც ასეთი, თეორიის ასაგებად მეტად საეჭვო საფუძველს წარმოადგენს. იგივეს თქმა ხომ არ შევიძლია პრინციპების შესახებაც? პრინციპები, რომელსაც არსებული დოქტრინები აღწერს, წასული ეპოქის წასული ომების თეორეტიზაციის ცდაა მხოლოდ და ხომ არ მოხდება ისე, რომ მომავლის ომების ხასიათის განჯვრეტისა და მათი მსვლელობის ვიზუალიზაციისას (მოდელირებისას), ანუ ომის თეორიის, როგორც ხდომილების თეორიული აღწერის ფულერისგან განსხვავებული ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებისას, ჩვენ სულ სხვა პრინციპებს „გადავწყდებით“?

ამდენად, შევიძლია ვთქვათ, რომ ომის პრინციპების გააზრების თემა სულაც არ არის ამონურული იმით, რომ მათი ჩამონათვალი, წლებით, უცვლელად გადადის დოქტრინიდან დოქტრინის ერთი რედაქციიდან მეორეში. მიუხედავად ერთგვარი უცვლელეობისა, როგორც ირკვევა, მათი შინაარსი მეტად პირობითია. ისევე, როგორც პირობითად რჩება მათი რაოდენობაც. ეს ის ცხრაა, რომელთა „აღმოჩენა“ წინა საუკუნის ომების თეორიული გააზრების მაცდელობამ „უკარნახა“ ფულერს და მაშინ, ჩნდება კვლევის რამდენიმე მიმართულება, რომელთაგან მნიშვნელოვნად, სულ ცოტა, შემდეგი სამი მიგვაჩნია:

1. **რამდენად მყარია ის სააბროვნო ბაზისი, რასაც ფულერი ეყრდნობოდა? სხვა სიტყვებით, რამდენად სანდოა თავად „ომის მეცნიერების“ საფუძვლები?**

2. **რა მიმართულებითაა შესაძლებელი წავიდეს პრინციპების ცვლილება თუ კი თეორია შეძლებს მეტნაკლებად სრულად აღწეროს მეოთხე, მახუთე და მეექვსე თაობის ომების საბრძოლო სივრცე? (შევიზნავთ, რომ 21-საუკუნის ომების აღწერისას, რუსმა სამხედრო ექცერტმა მიხეილ ტრებინმა, მაგალითად, თეორიაში აღწერილ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თაობის ომებს მეხუთე და მეექვსე თაობის ომების აღწერა უკვე დაუმატა (იხ. [10]))**

3. თუ ეს ცვლილებანი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, **რა ტიპის ცვლილებებს განაპირობებს აღნიშნული ვითარება ამის მსვლელობის დოქტრინულ ხედვებში? სხვა სიტყვებით, [FM-100-5]-ის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, რა ტიპის ცვლილებები გახდება აუცილებელი არმიის მოქმედების დოქტრინის საფუძვლების გააზრებისთვის და რას შეცვლის ეს მომქმედ დოქტრინებში?**

## მარყენებული ლითერატურა

- 1. FM 100-5. Operations. <https://www.bits.de/NRANEU/others/amd-us-archive/fm100-5%2893%29.pdf>
- FMFM 1-3, Department of the Navy, Headquarters United States Marine Corps, Washington D.C. 20380-0001. 1991
- Col. J.F.C. Fuller. The Foundations of the Science of War, <https://www.armyupress.army.mil/Portals/7/combat-studies-institute/csi-books/Foundationsof-Science-of-War.pdf>
- Roots of strategy. The 5 Greatest Military Classics of All Time. Ed. By Brig. Gen. Thomas R. Philips, US Army. Published By STACPOLE BOOKS, Harrisburg, PA, 1985
- Carlos Marighella. Minimanual of the Urban Guerrilla. <https://www.marxists.org/archive/marighella-carlos/1969/06/minimanual-urban-guerrilla/index.htm>
- The Oxford Companion to Military History. Ed. By Richard Holmes, Oxford University Press, NY, 2001
- [https://en.wikipedia.org/wiki/Principles\\_of\\_war#20th\\_century\\_theory](https://en.wikipedia.org/wiki/Principles_of_war#20th_century_theory)
- დავით თევზაბეგი. მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი, <https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/>
- Жомини. О стратегии, <http://militera.lib.ru/science/classic2/10.html>
- 10. Михаил Требин. Войны XXI века, Москва ACT 2005

# **რამდენად მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების პალები თანამედროვე საომარ მოქმედებებში? ამ მაღალ ტექნოლოგიურ ხანაში არის თუ არა ის საჭირო?**

**პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი  
საქართველოს ტერიტორიული უნივერსიტეტი, პოლიტიკისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი  
დოკტორანტი**

## **აბსტრაქტი**

21-ე საუკუნის მთავარი საფრთხე და გამოწვევა არის ტერორიზმი და ასიმეტრიული ომები; იმისათვის რათა გავუმკლავდეთ აღნიშნულ გამოწვევებს საჭიროა ეფექტური დაძლიერი მექანიზმები. ამ საფრთხეების გასანეიტრალებლად აუცილებელია ყველა ქვეყანას ჰქონდეს კარგად განვრთნილი და ეფექტური შეიარაღებული ძალები და მაღალი მზაობის უნარი. სპეცოპერაციის ძალები (SOF) სამხედრო ძალის ერთ-ერთი ეფექტური და მნიშვნელოვანი ელემენტია. SOF-ი ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თანამედროვე საომარი მოქმედებების დროს. კარგად განვრთნილი სპეციალური დანიშნულების ძალები სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველა ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის იმისდა მიუხედავად, რომ ბოლო დროინდელი სამხედრო ინდუსტრია გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიური მიღწევებით. ნაშრომში განხილულია SOF-ის ფუნქციები, შესაძლებლობები და მის მნიშვნელობა თანამედროვე ომებში. ნაშრომში ასევე მოყვანილია ფაქტები რომ SOF-ი არის შესანიშნავი ინსტრუმენტი მომავალი გამოწვევების გასამკლავებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელი ცივილიზაციული სამყარო დგას ტერორიზმის და ჰიბრიდული ომის საფრთხეების წინაშე.

### **საპარანძო სითყვები:**

სპეციალური დანიშნულების ძალები, ჰიბრიდული ომი, ახალი ტექნოლოგიები.

# **HOW IMPORTANT IS SOF (SPECIAL OPERATION FORCES) TO MODERN WARFARE? IN THIS TECHNOLOGICAL AGE, IS IT INDISPENSABLE?**

**COLONEL GIORGI LAGHIASHVILI**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY FACULTY OF POLITICS  
AND INTERNATIONAL RELATIONS**  
**DOCTORAL STUDENT**

## **ABSTRACT**

The 21st century's main threat is terrorism and irregular warfare; to cope with these dangers an effective and powerful mechanism is needed. In order to neutralize these threats it is necessary for all countries to have well-trained and effective armed forces and high readiness capability. Special Operation Forces (SOF) is one of the effective and important elements of military power. SOF is very important to modern warfare and it is indispensable regardless of high technological achievements in the military industry. Discussing SOF functions, capability and its importance to modern warfare this paper will demonstrate that SOF is an excellent tool for dealing with future challenges, especially when the whole civilized world is facing the threats of terrorism and hybrid warfare.

**KEYWORDS:**

Special Operation Forces, Hybrid Warfare, New Technologies.

# INTRODUCTION

The military's primary purpose is to implement national policy by protecting against threats to its national strategic interest.<sup>1</sup> Military is also a tool to fight abroad and facilitate peace internationally. One of the main threats which world is facing is unconventional warfare. Unconventional operations is the ability to directly alter the way in which the tension between threatening and avoiding destruction is managed to conduct operations - for example, operating autonomously and independently, establishing and utilizing the capabilities of foreign military and paramilitary forces, sabotage, and subversion.<sup>2</sup> Unconventional warfare favors indirect and asymmetric approaches, though it may employ the full range of military and other capacities, in order to erode an adversary's power, influence.<sup>3</sup> (JP 1-02. SOURCE: JP 1) In modern warfare the unit which can respond and has the capability to cope with this threat is SOF. It is small, flexible, independent and well trained unit, which with small and tactical action can bring strategic effect and serve national interest.

SOF comprises a wide variety of carefully selected and highly trained units from all military services, with different histories and different competencies.<sup>4</sup> SOF is specifically designed for fighting against hybrid warfare and non-state adversary. Special operation forces is the most skilled and professional unit in conducting direct action operation which is "Short-duration strikes and other small-scale offensive actions conducted as a special operation in hostile, denied, or diplomatically sensitive environments and which employ specialized military capabilities to seize, destroy, capture, exploit, recover, or damage designated targets."<sup>5</sup> (JP 1-02. SOURCE: JP 3-05). There are lot of facts and examples such as Afghanistan and Iraq, where SOF proved that it is irreplaceable in fighting against insurgents.

თმს ჰორიზონტალური მდგრელი ნამზადი წარმოადგენს ფორიან მასალას, რომლის შემდგომი ცხლად წნევით დამუშავებისას (გლინვისას), მიღება დაგეგმილი მექანიკური თვისებებისა და გაბარიტული ზომების ნაკეთობა. დეფორმაციის კერაში, სინთეზირებული კაზმის ჩამოყალიბებული მარცვლები უახლოვდება ერთმანეთს და გამოსვლის კვეთში მიღება გარკვერივებული მასალა, მნიშვნელოვნად მცირდება ფოროვანი სიცარიელეები და გარკვეული მოჭიმვისას, ფარდობითი ფორიანობა მცირდება 2-5%-მდე. ნამზადის კვეთში მოჭიმვის შედეგად უპირატესად ადგილი აქვს კუმშვას, მარცვლები გადაადგილდებიან ვერტიკალური მიმართულებით. მიაღწევს, რა გარკვეულ შეჭიდულებას, კაზმი იწყებს გრძივი მიმართულებით დენადობას. ამრიგად, თმს-ელექტროგლინვისას ჰორიზონტალური მიმდინარეობს მარცვალთშორისი და ნაწილაკებთშორისი ძვრითი დეფორმაციით. დეფორმაციის კერის გასწროვ მასალის სიმკვრივის ზრდა დამოკიდებულია კაზმის კომპაქტირების ხარისხებზე [3].


როგორც სურ. 3-დან ჩანს, დეფორმაციის ზრდასთან (ფორიანობის შემცირებასთან) ერთად მცირდება დეფორმაციის კერაში შესვლისას კონტეინერის გადაადგილების სიჩქარე. ამას განაპირობებს ის, რომ მოჭიმვის ზრდასთან ერთად მცირდება კომპაქტირების ინტენსივობა. სინთეზირებული კაზმი გადაედინება უპირატესად განვით მიმართულებით, მართალია იზრდება გლინების წრიული სიჩქარის ვეექტორის ჰორიზონტალური მდგრელი, მაგრამ არ შეიმჩნევა ხახუნის ძალების მკვეთრი ზრდა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ნამზადის გრძივ გადაადგილებას.  $\varepsilon=25\%-დან$  დეფორმაციის გარკვეულ მნიშვნელობამდე (54-55%), ნამზადის სიჩქარის ჩამორჩენა გლინის სიჩქარესთან მცირდება. ამ დროს მიმდინარეობს ინტენსიური კომპაქტირება, ანუ სინთეზირებული TiB06 მარცვლები გადაადგილდებიან უპირატესად ვერტიკალური მიმართულებით და გამოჭიმვა მინიმალურია. დეფორმაციის ზრდასთან ერთად ( $\varepsilon=54-55\%$ ), იზრდება TiB06 მარცვლებისა და ტიტანის ფაზის გამოჭიმვა და შესაბამისად მცირდება ფორიანობა, ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გლინვა უნდა წარიმართოს  $\varepsilon>54\%$  ფარდობითი მოჭიმვის ჰირობებში. ოპტიმალურ რეჟიმს წარმოადგენს  $\varepsilon=54-58\%$ , რომლის დროსაც ფარდობითი ფორიანობა მცირდება 2-3%-მდე. დეფორმაციის შემდგომი ზრდა უმნიშვნელოდ მოქმედებს მასალის კომპაქტირებაზე, აუარესებს საგლინავი დგანის ქმედითუნარიანობას, შეტაცების ჰირობებს და შესაბამისად გლინვის სტაბილურობას.

TiB06 კაზმის ჩქაროსნული ჰირობის დარღვევის შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს გლინების კუთხური სიჩქარის შემცირებას, იზრდება ჟამური ძალვები, რაც გამოწვეულია დეფორმაციის კერიდან წვის ფრონტის დაშორებით ანუ დაყოვნების დროის გაზრდით, რომელიც თავისთვად იწვევს წვის ფრონტის გადაადგილებისა და ნამზადის გადაადგილებას შორის სხვაობის ზრდას. კაზმი ციფდება, იზრდება დეფორმაციისადმი წინაღობა

და ბზარნარმოექმნის საშიშროება. თუ გლინების სიჩქარე ოპტიმალურ სიჩქარეზე მეტია, ხდება წვის ფრონტისა და ნამზადის გადაადგილების სიჩქარეთა სხვაობის შემცირება, ანუ წვის ფრონტი უახლოვდება დეფორმაციის კერის საწყის წერტილს, თმს პროდუქტში იზრდება თხიერი ფაზის რაოდენობა და ნამზადის სტრუქტურა დაუფორმირებელი რჩება ანუ ადგილი აქვს არა სრულ კომპაქტირებას, ე.ი. იზრდება ფორმიანობა.

ცონბილია, რომ თვითგავრცელებად მაღალტემპერატურულ სინთეზის პროცესში კაზმის დეფორმაციისას დროით ტენილოგიურ პარამეტრებს მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. განსაკუთრებით დეფორმაციამდე დაყოვნების დროს [4,5], რომელიც განსაზღვრავს დეფორმაციის პროცესში თხევადი ფაზის რაოდენობრივ მნიშვნელობას, რაც კაზმის კომპაქტირების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სამუშაოში დადგინდებით გემოაღნიშნული დროითი პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები და განისაზღვრა პროცესის მიმდინარეობის დინამიკა.

ზოგადად, Ti-B და Ti-B-N ფუძებები სინთეზის სიჩქარე - 8-35 მმ/წმ; სინთეზის ტემპერატურა - 2200-27000 0C; თმს ინიცირებისათვის დენი 6-7 კა, ხურების დრო - 5-12 წმ. ნიმუშის ფორმირების ოპტიმალური ხვედრითი წნევები - 0,3-0,7 კგ/მმ<sup>2</sup> (3,0-7,0 MP). ქვემოთ მოყვანილი დატვირთვის დიაგრამებიდან ჩანს (სურ.4), რომ გლინვის დამყარებული პროცესის ბოლო უბნებზე შეიმჩნევა გლინებზე დატვირთების ზრდა.



სურ.4. ზოგიერთი მასალის ჰამური ძალვების ცვლილება თმს-ელექტროგლინვისას  
1-Ti-TiN; 2-Ti-BN; 3-Ti-TiB; 4-Ti-BN(Ti-80%,BN—20%)

ეს გამოწვეულია ნამზადის ბოლოს სინთეზის სიჩქარის ზრდისას ნამზადის გადაადგილების სიჩქარის ჩამორჩენით, სინთეზის კვეთის დაშორებითა და დაყოვნების დროის გაზრდით, რომლის დროსაც ცივდება ნამზადი და იზრდება დეფორმაციისადმი წინააღმდეგობა. ე.ი. ირღვევა ბალანსი და თმს ფრონტისა და ნამზადის გრძივი გადაადგილების სიჩქარეთა ტოლობა გარკვეულ წილად ვერ უზრუნველყოფს წვის ფრონტის თანაბარ დაშორებას. ცხრ.1-ში მოცემულია ზოგიერთი მასალის ბრიკეტის ცივად წნევისა და თმს-ელექტროგლინვით კომპაქტირების პარამეტრები

ცხრილი.1. ზოგიერთი მასალის კომპაქტირების პარამეტრები

მასალა	Ti-TiN	Ti-BN	Ti-TiB	TiB <sub>06</sub>	Ti-80% BN-20%
კონტეინერის ზომები, მმ	24x125x210	21x125x210	21x125x210	21x125x210	21x125x210
ცივად დაწნებვის ძალვა, ტ	20	100	20	100	100
სინთეზის სიჩქარე, მმ/წმ	18,7	35	16	18	7
ფარდობითი მოჭიმვა, %	58,3	57,1	57,1	52	50
გლინების ბრუნვის სიხშირე, ბრ/წთ	1,4	2,32	1,19	1,34	0,5

გლინვის ხანგძლივობა, მმ	11,2	6,0	13,1	11,7	30
მაქს. ძალვა გლინვისას, ტ	45	33,5	45	17,3	22,3
საშ.ხევდრითი წნევა, კგ/სმ <sup>2</sup>	47	45	55	33	40
ინიც. ხურების დენი, კა	6	6,5	7	7	7
ბრიკრტის სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	2,19	2,3	2,85	2,6	2,3
მასალის სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	4,52	4,12	4,31	4,12	4,0
სისალე, HRA	85	82	87	76	74

## შედეგები



თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, დადგენილ იქნა დარტყმამედეგი ლითონკერემიკული ფილების მიღების შემდეგი ტექნოლოგიური სქემა:

- კაზმების შემადგენლობის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მაღალი დარტყმამედეგი და კოროზიამედეგი თვისებების ლითონკერამიკული ფილების მიღებას;

- კაზმები არევა ბურთულებიან ნისქვილში 24 საათის განმავლობაში;
- განისაზღვრა ცივად დაბრივეტების ძალვები -5-100ტ დიაპაზონში;
- დგინდება თმს სიჩქარე;
- 0,5 მმ სისქის თუნექის ფურცლიდან კონტეინერის, ზომებით (25x126x210მმ) დამზადება;
- განისაზღვრა გაზრდილი გაბარიტების 10x135მმ კვეთის ფილების მისაღებად, კონტეინერში ბრივეტების განივი განლაგების სქემა, რომელიც წარმოადგენს ე.ნ. ბრივეტის „კბილურ“ გადაბმას და უზრუნველყოფს განივი მიმართულებით სინთეზირებული კაზმისაგან მონოლითური მასალის ჩამოყალიბებას;
- დადგინდა სინთეზის სიჩქარის შესაბამისი ნამზადის გადაადგილების გრძივი სიჩქარე და შესაბამისად გლინების ბრუნვათა რიცხვი;
- დგინდება სინთეზის თბური ინიციცირებისათვის მისაწოდებელი დენის სიმკვრივე დროში;

ზემოთ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, საგლინავი დგანის აწყობისათვის გამოყენებულ იქნა გლინებების ყუთოვანი კალიბრი და გლინვისათვის ფარდობითი მოჭიმვა შეადგენდა 55-60% (58%); გლინვის შემდეგ ხორციელდება ნაგლინის დატვირთვის ზემოქმედების ქვეშ მდორე გაციება.

შემოთავაზებული თმ-ელექტროგლინვის ტექნოლოგიური პროცესით მიღებულია გრადიენტული, კოროზიამედეგი, დარტყმამედეგი მეტალოკერამიკული ნამზადები, რომელთაც ჩაუტარდა მეტალოგრაფიული კვლევები, რომლის შედეგი ნაჩვენებია სურ.5-ზე.



სურ.5. TiB<sub>6</sub> მასალის მიკროსტრუქტურა ა) გადიდება X1000 ბ) გადიდება X 5000

TiB<sub>0,6</sub> მასალის მიკროსტრუქტურებიდან ჩანს [6], რომ ჰექსაგონალური ტიტანის ფაზა Ti წარმოდგენილია ქაოტურად ორიენტირებული ძალიან თხელი რამოდენიმე ათეული ნმ-ის სისქის ფირფიტების სახით, რაც გვაფირებინებს, რომ მასალის ასეთმა აგებულებამ, მაღალი ინტენსივობის დინამიური დარტყმითი დატვირთვების დროს, უნდა უზრუნველყოს, დარტყმითი ენერგიის აკუმულირება და მასალის დინამიური დატვირთვებისადმი კარგი მედეგობა (სურ.5).

მიღებული მასალებისათვის ჩატატრებული იქნა ბალისტიკური გამოცდები, რომელმაც აჩვენა მე-3 კლასის დამცავუნარიანობა.

## მარყენებული ლითერატურა

- T.Namicheishvili, A.Tutberidze, Z.Melashvili, G.Tavadze, Z.Aslamazashvili, G.Oniashvili, G.Zakharov. Method for obtaining inorganic product from powder exothermic chasm, Saqpatenti. Patent P 6541 . LEPL Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, 2016.
- Investigation of the Fluidity of the Synthesized Charge in the Deformation Site on SHS-Electrical Rolling. Melashvili Z, Tutberidze a., Namicheishvili T ,Aslamazashvili Z., Papava K.,Parunashvili G., Basilaia g. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 4, 2020
- А. П. Гаршин. В. И. Кулик, А. С. Нилов, Д. А. Провоторов. Ударопрочные материалы на основе технической керамики: достижения и перспективы повышения их баллистической эффективности. Новые огнеупоры. №4, 2016. с.53-67
- В.В. Подлесов, А.М. Столин, А.В. Радугин, А.Г. Мержанов Технологические основы СВС-экструзии. //Инженерно-физический журнал, 1992, т. 63, №5.
- Подлесов В.В., Столин А.М., Мержанов А.Г. СВС-экструзия электродных материалов и их применение для электроискрового легирования стальных поверхностей // ИФЖ.-1993.-Т.- 63.- №5.
- G. Tavadze, G. Oniashvili, Z. Melashvili, Z. Aslamazashvili, G. Zakharov  
Obtaining and structural analysis of TiB0.6 metal-ceramic tiles with SHS electric-rolling process. IMS 2021.4th International Conference "Modern technologies and methods of inorganic materials science". Proceedings SEPTEMBER 2021, 2021.TBILISI, GEORGIA, 178-184

# **„რუსი ზონები“, რომორც თანამედროვე მსოფლიო ნესრიგის დესტაბილიზაციის ფაქტორი და გამოწვევა XXI საუკუნეში**

## **ეთევან მესხიძე**

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია  
მამისობრივი უსაფრთხოების კვლევების  
მიმართულების ასოცირებული პროფესორი**

## **აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებისა და ცვლილებების გლობალური ტენდენციები, რასაც ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა გეოპოლიტიკური პარამეტრის თვალსაზრისით. მსოფლიო ცივილიზაცია განვითარების ახალ ფაზაში შევიდა ახალ პირობებთან ადაპტაციის გარდაუვალ გლობალურ კრიზისთან ერთად, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სიღრმე, ყოვლისმომცველი მასშტაბები და უპრეცედენტო ტრანსფორმაციული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში.

მსოფლიო პოლიტიკური პროცესი განიხილება, როგორც მოქნილი მობილობის, ცვალებადობის, მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის დინამიური ურთიერთობები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო საზოგადოების განვითარების არსს, ხასიათსა და ვექტორებს.

რადიკალურად იცვლება თავად მსოფლიო პოლიტიკური კონტურებიც. ბოლო პერიოდში სახეზეა მსოფლიო პოლიტიკაში ძალისმიერი ხაზების აშკარა გადატვირთვით გამოწვეული არასტაბილურობისა და არეულობის ზრდა, რაც უფრო მეტად ართულებს და არაპროგნოზირებადს ხდის მათი ურთიერთგავლენისა და პროცესების სამომავლო განვითარების სცენარებს.

სტატიაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია თანამედროვე მსოფლიო წესრიგში მიმდინარე ცვლილებსა და იმ ფაქტორებზე, რომელიც მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზაციის ვატალიზატორად გვევლინებიან. კერძოდ, ე.ჩ. „რუს ზონებსა“ და იქ არსებულ პროცესებზე. არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ თანამედროვე ეტაპზე კარდინალურად შეიცვალა საფრთხეების ხასიათი გლობალური, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. არცთუისე დიდი ხნის წინ, „ცივი ომის“ დროს, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა პროგნოზირებადი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, დაპირისპირება და ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გამალებული შეიარაღება. თუმცა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს მოუხდა ტრანსაციონალური საფრთხეების თვისობრივად ახალ ფენომენთან შეჯახება, რომელიც გამოიჩინა არაპროგნოზირებადობით და საფრთხეს უქმნის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებს (United Nations Office on Drugs and Crime 2009). ტრანსაციონალურ საფრთხეებად შესაძლოა ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკების წარმოება და ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, მევობრეობა. ასეა თუ ისე, ალტერნატიული გზების ძიება ტრანსაციონალური საფრთხეების მოსაგვარებლად კვლავაც დღის წესრიგშია (Schmid 1996). ამასთან, ტრანსაციონალურ საფრთხეებზე საუბროსას არ უნდა დაგვავინყდეს მათი მთავარი წყარო ან მათი მაღალი კონცენტრაციის ადგილები, რომლებიც „რუს ზონებად“ იწოდებიან და წარმოადგენენ ფართო არეალს ტერორისტული ორგანიზაციების, ნარკოვარტელების, მევობრეებისა თუ სხვათა მოქმედებებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის თანამედროვე მსოფლიოს და წარმოადგენს ერთ-ერთ გამოწვევას XXI საუკუნეში.

### **საპანძო სითყვება:**

„რუს ზონები“, მსოფლიო წესრიგი, ტრანსაციონალური საფრთხეები, ნარკოვარტელები, მევობრეები, ტერორისტული ორგანიზაციები.

# **„GRAY ZONES“ AS A FACTOR OF DESTABILIZATION THE MODERN WORLD ORDER AND CHALLENGING OF XXI CENTURY**

**KETEVAN MESKIDZE**  
**ASSOCIATE PROFESSOR,**  
**MASTER'S DEGREE PROGRAM IN**  
**THE FIELD OF SECURITY STUDIES**  
**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI**  
**NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

## **ABSTRACT**

The article provides the study of the latest development of the world political processes and the shift of global trend which were observed in almost every aspect of geopolitics. With the new phase of development, the world civilization, while adjusting to the new environment is experiencing the inevitable crisis largely characterized by depth, broad scale and unprecedented transformational changes in the world politics.

The world political process is viewed as a dynamic interaction of flexible mobility, variability, multiple objective and subjective factors that define the essence, character and vectors of world community development.

The world's political contours themselves are changing radically. Recently, there has been an increase in instability and unrest caused by the apparent overload of forceful actions in world politics, making the scenarios of their interaction and future development processes more complicated and unpredictable.

The article underlines the ongoing changes in the new “world order” as well as factors fueling the destabilization of the “world order, specifically so-called “gray zones” and processes within.

There is no secret that at this stage the nature of threats has changed dramatically in terms of global, regional, and national security. A short time ago, during the “cold war,” the major threat was predictable conflicts and tension between the states, and the arms race of two military-political blocs. However, in the last 20 years, in the context of globalization, the world faced the new phenomenon of transnational threats marked by unpredictability and putting in danger every country with no exception along with their citizens.

**KEYWORDS:**

“gray zones”, world order, transnational threats, drug cartels, pirates, terrorist organizations.

საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გლობალური ცვლილებები კონცენტრირებული ფორმით ასახავს ყველაზე რთული გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკას, ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის დიალექტიკას მსოფლიო პოლიტიკაში. არსებულმა საერთაშორისო ინსტიტუტებმა აჩვენა თავისი შეზღუდული შესაძლებლობები გლობალური პრობლემების გადაჭრის, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან ეფექტურ ბრძოლასთან და ა.შ. დაკავშირებით. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეინიშნება არაერთგვაროვანი ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ ჭარბობს სხვადასხვა მოთამაშეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ამავდროულად, დღის წესრიგში რჩება დაპირისპირება მთელ რიგ წამყვან სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაცვას მსოფლიო ასპარეზზე. შესაძლოა კონკურენციის გაძლიერება ძლიერ მოთამაშებს შორის, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რესურსებზე, საქონელსა და კაპიტალზე კონტროლის განსახორციელებლად. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დიაგნოსტირებისა და მისი განვითარების ტენდენციების პროგნოზირება იწვევს მწვავე დისკუსიას სამეცნიერო საზოგადოებაში, რაც უფრო მეტად განაპირობებს მისი შესწავლის აქტუალურობას XXI საუკუნეში. ავტორთა უმრავლესობა, შეგნებულად არიდებს თავს ამჟამად არსებული მსოფლიო წესრიგის ერთმნიშვნელოვან იდენტიფიკაციას და მას „პოსტ-ბიპოლარულს უწოდებს“.

ზოგადად, მსოფლიო წესრიგი პოლიცენტრული სტრუქტურის მატარებელია. მასში მიმდინარე თანამედროვე ცვლილებები ხორციელდება ყველაზე ძლიერ მოთამაშეთა შორის ძალანსში, ხასიათსა და გავლენის სფეროების გადანაწილებაში. ყველზე მძლავრი ცენტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებას, შესაძლოა კვალიფიცირებულ იქნას როგორც მსოფლიოს გეოპოლიტიკური პოლუსები. თანამედროვე გეოპოლიტიკური პოლუსი სინამდვილეში წარმოადგენს ნეოიმპერიასა და ამყარებს არაფორმალურ კონტროლს სხვა მოთამაშებზე.

ერთპოლარული, ბიპოლარული და მრავალპოლარული მოდელები ადევატურად ვეღარ ასახავს თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგის „პიბრიდულ“ ხასიათს მსოფლიოში. არსებული მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის შესაბამისად, შეერთებული შტატები რჩება ყველაზე ძლიერ პოლუსად. დასავლეთი, როგორც არაფორმალური მაკროიმპერია, აერთიანებს შეერთებული შტატებს (პოლუსს), რამდენიმე სახელმწიფო-ცენტრს და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს. თანამედროვე დასავლეთის მთავარ პრობლემას უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.

ყველაზე ამბიციური არადასავლური ცენტრები, განსაკუთრებით ჩინეთი და რუსეთი, ცდილობენ საკუთარი როლის გაზრდასა და გავლენის სფეროების გაფართოვებას მსოფლიოში და რეალურად მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკურ პოლუსად გადაქცევას.

იგულისხმევა, რომ მსოფლიოში შესაძლოა ჩამოყალიბდეს ოლიგოპოლარული ნეოიმპერიული წესრიგი. უსაფრთხო და სტაბილური სამყაროს უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, „უსისტემო“ ტრანსნაციონალურ მოთამაშეთა ტერორისტულ ქმედებებთან საბრძოლველად, საჭიროა კონსტრუქციული ურთიერთობები აშშ (და დასავლეთი მთლიანად), ჩინეთს, რუსეთს, ინდოეთს, რეგიონალურ ცენტრებსა და სხვა მოთამაშეთა შორის.

ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო დონეზე საფრთხეების ცვალებადობამ გამოიწვია ე.ნ. „რუხი ზონების“ ჩამოყალიბება.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც წარმოიქმნება „რუხ ზონებში“ და ადგილი აქვთ ტრადიციულ ომსა და მშვიდობას შორის, წარმოადგენს გამოწვევას XXI საუკუნის მსოფლიოსა და თანამედროვე საგარეო პოლიტიკისთვის, საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ თანამედროვე ეტაპზე კარდინალურად შეიცვალა საფრთხეების ხასიათი გლობალური, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. არცთუისე დიდი ხნის წინ, „ცივი ომის“ დროს, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა პროგნოზირებადი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, დაპირისპირება და ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გამალებული შეიარაღება. თუმცა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს მოუხდა ტრანსნაციონალური საფრთხეების თვისობრივად ახალ ფენომენთან შექახება, რომელიც გამოირჩევა არაპროგნოზირებადობით და საფრთხეს უქმნის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებს (United Nations Office on Drugs and Crime 2009). ტრანსნაციონალურ საფრთხეებად შესაძლოა ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკების წარმოება და ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, მეკობრეობა. ასეა თუ ისე, აღტერნატიული გზების ძიება ტრანსნაციონალური საფრთხეების მოსაგვარებლად კვლავაც დღის წესრიგშია

(Schmid 1996). ამასთან, ტრანსნაციონალურ საფრთხეებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს მათი მთავარი წყარო ან მათი მაღალი კონცენტრაციის ადგილები, რომლებიც „რუხი ზონებად“ იწოდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნული ცნების განსაზღვრება არ არსებობს, „რუხი ზონები“ გაგებულ უნდა იქნას, როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა ან რეგიონთა ტერიტორიები, რომლებშიც არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული საკანონმდებლო ნორმები, რომელთა ტერიტორიაზეც არ არსებობს ფაქტური პოლიტიკური ხელისუფლება და სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები (Report to DHS S&T Office of University Programs and DoD Strategic Multilayer Assessment Branch 2016).

თავისმხრივ, ასეთი ტერიტორიები ხშირად სამოქალაქო ომისაჩართულიან წარმოადგენს სეპარატისტული წარმონაქმნის, ექსტრემისტული რეჟიმების, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ბაზებისა და საწვრთნელი ბანაკების განთავსების ონიექტს, ფართო არეალს ნარკოკარტელებისა და მევობრეების მოქმედებისთვის. მოცემული ტერიტორიების ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ ისინი განლაგებულია რამდენიმე რეგიონის შეერთების ადგილთან და გააჩნია წვდომა სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, ხშირად „რუხი ზონები“ ასრულებენ მარშრუტის როლს ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობისთვის (Report to DHS S&T Office of University Programs and DoD Strategic Multilayer Assessment Branch 2016).

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მრავალრიცხოვანი „რუხი ზონებიდან“ განსაკუთრებით ყურადღებისა ის რეგიონები, რომლებიც წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, სხვადასხვა ტრანსნაციონალური საფრთხის წარმომადისა და გავრცელების თვალსაზრისით (Schmid 1996).

მთელი სახელმწიფოს „რუხ ზონაზე“ გაადაქცევის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სომალი. ცნობილია, რომ სამოქალაქო ომისა (1988 წელი) და ოპოზიციური ძალების მიერ პრეზიდენტ სბარეს სოციალისტური რეჟიმის დამხობის (1991 წელი) შედეგად, შიდა ომების პირობებში დაიშალა მთელ რიგ არაღიარებულ სახელმწიფო წარმონაქმნებად, რომლებიც კონტროლდება ცალკეული კლანების მიერ (ჰუნტლენდი, ხატუმო, სომალილენდი, სომალის ისლამური ემირატი, აპლუ-სუნა უალყამა) (Lewis 2008, 104). ამავდროულად, 2004 წელს გაეროსა და აფრიკული კავშირის მხარდაჭერით შექმნილი გარდამავალი მთავრობა, როგორც ოფიციალური ორგანო, აკონტროლებს მხოლოდ დედაქალაქ მოგადიშოს 60%-ს. ქვეყანას არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკური სისტემა და ეროვნული ეკონომიკა. შესაბამისად, სომალიში არსებობს ყველა პირობა ტრანსნაციონალური საფრთხეების ფართო სპექტრის გაჩერისა და გავრცელებისთვის (United Nations Office on Drugs and Crime 2009). სომალი წარმოადგენს საყრდენს მევობრეებისთვის, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის უკრაინის მოქალაქეთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას (მეორე ადგილზეა მევობრეთა თავდასხმების რაოდენობით ფილიპინების შემდეგ) და სხვა სახელმწიფოებს. ჩამოშლილი ეკონომიკის პირობებში, გატაცებული გემებიდან მიღებული გამოსასყიდი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს სომალის სანაპირო რეგიონების უმუშევართათვის (Beloff 2013). ცნობილია, რომ მევობრეთა ბაზები განლაგებულია ჰუნტლენდის, სომალილენდის რაიონებში, რომლებსაც აქვთ გასასვლელი ადენის ყურეში, რომლის მეშვეობითაც წელიწადში სხვადასხვა სახელმწიფოს დროშით გადის დაახლოებით 17,799-დე გემი. გაეროს მონაცემებით, სომალელი მევობრეების ტყვეობაში იმყოფება 420-დე სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაური, რომელთაგან 155 - უკრაინის მოქალაქეა, რომლებიც ტყვედ იქნენ აყვანილი 2008-2010 წლებში (Beloff 2013). გარდა ამისა, სომალის მაგალითზე თუ ვიშსკელებთ, მევობრეობა კოლოსალურ ეკონომიკურ ზიანს აყენებს მსოფლიო საზოგადოებას. ცნობილია, რომ გამოსასყიდი თანხები ხშირად რამდენიმე მიღიონ დოლარს აღწევს. უკრაინის მაგალითს თუ გავიხსენეთ, 2009 წელს მხოლოდ გემი „ფაინას“ ეკიპაჟის გამოსასყიდად 3.2 მიღიონი აშშ დოლარის გადახდა მოუხდა (Article: „Somali pirates free Ukrainian ship after receiving ransom“ 2009). უფრო მეტიც, ბოლო წლებში, სომალელი მევობრეები გარკვეულ გავლენას ახდენენ ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდაზე, ნავთობის ტანკერების დაყადაღების გაზრდილი შემთხვევებიდან გამომდინარე.

მაგალითად, 2008 წლის 15 ნოემბერს, მევობრეების მიერ გატაცებულ იქნა სუპერტანკერი „Sirius Star“ (საუდის არაბეთი), რომელიც 2 მიღიონი ბარელი წედლი წავთობით (100 მიღიონი აშშ დოლარი) დატვირთული სპარსეთის ყურიდან შეერთებულ შტატებში მიემართებოდა (Sharon Otterman and Mark McDonald 2008). წავთობის ფასების გაზის ფასებზე მიბმულობიდან გამომდინარე, მსავსი გატაცებისა და ხელში ჩაგდების შემთხვევები საფრთხეს უქმნის იმ სახელმწიფოთა ენერგოუსაფრთხოებას, რომელთა ინდუსტრია დამოკიდებულია ენერგორესურსების იმპორტზე. უკრაინის მაგალითით თუ ვიშსკელებთ, გაზრ მსოფლიოს ფასების უმნიშვნელო ზრდაც კი საფრთხეს უქმნის უკრაინის გადახდისუნარიანობაზე, რომლისთვისაც

რუსეთის ფედერაციიდან შეძენილი გამსი მთლიანი ღირებულება თვეში 1 მილიარდ დოლარს აღნევს (416 აშშ დოლარი 1000 კუბურ მეტრზე). ამრიგად, აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ სომალი, როგორც „რუხი ზონა“ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საბლვაო ტრანსპორტს, არამედ, მსოფლიო საზოგადოების ენერგოუსაფრთხოებას, რაც უკრაინის მაგალითთაც დასტურდება. ამასთან, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ სომალის შიდა არასტაბილურობა წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურებისა და ისლამური ექსტრემიზმის გავრცელებისთვის აფრიკის რეის რეგიონში (სომალი, ერიტრეა, ეთიოპია, ჭიბუტი).

ცნობილია, რომ ყველაზე გავლენიან ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს „ალ-შაბაბი“ (ყოფილი ისლამური სასამართლოების კავშირი), რომელიც 2004 წლიდან, ავღანული თალიბანის სცენარის მიხედვით ცდილობს სომალის ისლამური საამიროს ძლაუფლების გაფართოებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიასა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე (ოგადენი - ეთიოპიაში; კენის ჩრდილოეთ რეგიონებში) (Eichstaedt 2010, 182).

გარდა ამისა, ტერორისტული დაზუფება „ალ-ქაიდას“ ლიდერის - აიმან ალ-ზავაჰირის განცხადების თანახმად, 2012 წლის 10 თებერვალს „ალ-შაბაბი“ შევიდა „ალ-ქაიდას“ შემადგენლობაში. შესაბამისად, სომალის გარდაქმნა ისლამისტურ თეოკრატიულ სახელმწიფოდ, საფრთხეს უქმნის რეგიონის დესტაბილიზაციას, განსაკუთრებით მეზობელ ერიტრეაში, სადაც ექსტრემისტული განწყობები ძალებ ძლიერია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს სომალის „რუხი ზონის“ აღმოსაფხვრელად (ოპერაცია „ატლანტა“ ნატოს სახელმწიფოების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის საბლვაო ძალების მიერ 2008 წლიდან (Information booklet 2017, 7) (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1838) გემების დასაცავად ადენის ყურეში; ეთიოპიის ინტერვენცია, კენიის - აფრიკული კავშირის ეგიდით 2011 წლის ოქტომბრიდან, „ალ-შაბაბთან“ ბრძოლაში გარდამავალი მთავრობის მხარდასაჭერად), უახლოეს მომავალში ვითარების სტაბილიზაციასთან დაკავშირებით საუბარი, საკმაოდ რთულია.

„რუხი ზონის“, როგორც მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზაციის ფაქტორის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ავღანეთი. ცნობილია, რომ დესტრუქციული პროცესების განვითარების სცენარი ბევრ რამები ჰქონის. 1989 წელს ქვეყნიდან საბჭოთა კონტიგენტის გაყვანის შემდეგ, 1992 წელს მოკაპედებმა გადააგდეს ნაკიბულას სოციალისტური რეჟიმი ხელისუფლებიდან. აპარატ შაჰ მასუდსა და გულბედინ ჰექმათიერს შორის შიდა დაპირისპირებისა და ანარქიის პირობებში ავღანეთში ძალაუფლება 1996 წლისთვის (გარდა პანჯერის ხეობისა და უბბეკებითა და ტაჯიკებით დასახლებული ჩრდილოეთის ტერიტორიების გარდა) ხელში ჩაიგდო საერთაშორისო საზოგადოების მიერ არაღიარებულმა ისლამურმა მოძრაობა „თალიბანმა“ (ჰუშტუნები).

შესაბამისად, ავღანეთი გადაიქცა არაერთი ტრანსნაციონალური საფრთხის აღმოცენების ობიექტად. ჭერ ერთი, 2001 წლამდე, ავღანეთი გადაიქცა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ შტაბ-ბინად, რომლის ბანაკები და ბაზები გადატანილ იქნა სუდანიდან 1997 წელს აშშ-ს საელჩოს აფეთქების შემდეგ. როგორც მოგეხსენებათ, სწორედ „ალ-ქაიდას“ მიერ ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ავღანეთი გახდა ანტიტერორისტული ოპერაციებით ჩარევის მთავარი ობიექტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების 11 წლიანი სამხედრო ოპერაციის შედეგად (ISAF), „ალ-ქაიდა“ და მოძრაობა „თალიბანი“ დასუსტდნენ, ლოკალიზებულ და შევიწროებულ იქნენ ავღანეთის სამხრეთით, ვაზირისტანში (პაკისტანი), მისი ფილიალები იემენში, მაღრიბის ქვეყნებში, დასავლეთ საჰარა (სალათისტური დაზუფებები) აკონტროლებენ ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობის მარშრუტებს (Wolfram 2012, 8-11).

მეორე - ავღანეთი, ამ ეტაპზე საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებასთან. გაეროს ნარკომანიისა და დანაშელის სამმართველოს ანგარიშის თანახმად - „ავღანური ოპიუმის ტრანსნაციონალური საფრთხე“ (UN Office on Drugs and Crime, International report 2009), ავღანეთი წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს პირობებში, რაც მოსახლეობის ძირითადი შემოსავალია. გარდა ამისა, ავღანეთის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს ნარკოტიკების ექსპორტის მარშრუტების არსებობას.

გაეროს ანგარიშის თანახმად, არსებობს „ბალვანეთის მარშრუტი“ (ირანი-თურქეთი-კოსოვო-ბოსნია და ჭერცოგოვინა), „შავი ბლვის მარშრუტი“ (ირანი-თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველო) ევროკავშირსა და ამიერკავკასიაში ექსპორტისთვის. ჭეროინის ნაწილი ამ მარშრუტებით, ხოლო ნაწილი ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვასა და დნესტრისპირეთის გავლით შედის უკრაინაში. საკმაოდ კარგად არის

შემუშავებული მარშრუტი ტაქივეთიდან და ცენტრალური აზის სხვა ქვეყნებიდან ნარკოტიკების ექსპორტისთვის პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (UN Office on Drugs and Crime, International report 2009). აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციაში საშუალოდ მოიხმარება 70 ტონა, ჩინეთში - 45 ტ., ირანში 17 ტ. და ევროპავშირში - 8 ტონა ავღანური ჰეროინი ყოველწლიურად. მოცემულ შემთხვევაში, ავღანური ჰეროინის საფრთხე აქტუალურია უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომელიც ემსახურება ავღანური ჰეროინის ტრანზიტს ევროპავშირში, რომელიც ხვდება ევროპავშირში რუსეთის ფედერაციიდან (UN Office on Drugs and Crime, report - The global heroin market 2011, 8-11).

გრადა ამისა, ჰეროინის მნიშვნელოვანი ნაწილი დეპონირებულია თვითონ უკრაინაში, ქვეყნის ტერიტორიაზე არის ოპიუმის გადამამუშავებელი არალეგალური ლაბორატორიები. მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნას 2007 წლის შემთხვევა, როდესაც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ აღმოჩენილ იქნა ნედლი ოპიუმის ჰეროინად გადამამუშავებელი ლაბორატორია და ასევე ამოღებულ იქნა 125 ვგ მზა ჰეროინი (UN Office on Drugs and Crime, report - The global heroin market 2011, 8-11).

ჰეროინის ნარმოებასთან ბრძოლის პერსპექტივებზე საუბარი საკმაოდ რთულია, რამდენადაც ავღანეთის ტერიტორია შეუსაბამოა ალტერნატიული კულტურების გაშენებისთვის. ამასთან, ნარკოტიკებით ვაჭრობა ემსახურება უხუცესების, აშშ-ს ერთგული მთავრობის ჩინოვნიკებისა და ავღანეთის ჰრებიდენტის ძმის ბიუჟეტის შევსების წყაროს (ყაბახეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად).

როგორც ცნობილია, ავღანური ჰეროინის ფასი 100 დოლარიდან 150 დოლარამდე მერყეობს. ამდენად, ავღანებთი ჰეროინის ნარმოების ზრდაზე თვალის დახუჭვით შეერთებული შტატები იღებს საზოგადოების ანტი-თალიბანური ნაწილის მხარდაჭერას, ახორციელებს რესეთის ფედერაციის ალტერნატიულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებს ცენტრალური აზისა და კავკასიის რეგიონებში (ტრანსბალვანური მილსადენი, „TAPI“, სამხრეთ ენერგეტიკული დერეფანი, ჩრდილოეთ ქსელი - აბრეშმის გზა).

ანალოგიური ტრანსნაციონალური საფრთხეები არსებობს სხვა რეგიონის „რუს ზონებშიც“. მაგალითად, ე.წ. „ოქროს სამკუთხედი“, რომელიც მოიცავს მიანმარის, ლაოსისა და ტაილანდის შესართავთან მდებარე ტერიტორიებს, რომლებიც ისრორიულად ნარკოტიკების მნარმოებელ ცენტრად ითვლება - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის რეგიონში (Report of United Nations Office of Drugs and crime 2020, „Synthetic Drugs in East and Southeast Asia, 17). მათ ტერიტორიაზე ნარკოტიკების გაშენება და გადამუშავება ფაქტობრივად ქმნის რეგიონალური ეკონომიკის ცალკეულ დარგს, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შანის სეპარატისტული სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რომელიც იყენებს ნარკოტიკებიდან მიღებულ შემოსავალს მიანმარიდან გამოსაყოფად.

გარდა ამისა, ტაილანდის ტერიტორია ნარმოადგენს ხიდს ASEAN-ის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნები) აზია-ცნებაზე აკეთებს, აგრეთვე აფრიკისა და ევროპავშირის ქვეყნებში ნარკოტიკების ტრანსპორტირებისთვის, ინდოეთის ოკეანის, სომალის, ეთიოპიის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთ საპარის არაკონტროლირებადი რეგიონის გვერდის ავლით. აქ შეინიშნება ორი „რუს ზონის“ - სომალისა და „ოქროს სამკუთხედის“ ურთიერთვავშირი, რომლებიც ქმნიან მარშრუტს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიდან ევროპაში ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტაილანდი იბრძვის ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ, 2003, 2008 წლებში განხორციელებულმა ოპერაციებმა არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის შემცირებაზე რეგიონში.

ცნობილი „რუს ზონების“ კოლუმბის მეამბოხე ძალების (FARC) მიერ კონტროლირებად ლათინურ ამერიკაში, „Sendero Luminous“ ("Shining Path") ჰერები, ბოლივიის ზოგიერთ ნაწილში. მოცემულ შემთხვევაში მათი აღმოცენების მიზეზია ჰეროანეტული სამოქალაქო მოსახლეობის საქმიანობა (იაპონიის წითელი არმია, ჰამასო, ჰერბილა - ყიდულობენ იარაღს).

„რუს ზონებიდან“ მომდინარე მთავარ ტრანსნაციონალურ საფრთხეებს ნარმოადგენს ნარკოტიკებით ვაჭრობა (კოლუმბიაში ხდება 430, ჰერები 302, ბოლივიაში 113 ტონა კოვაინის ნარმოება წელიწადში), იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორისტული ორგანიზაციების ფილიალების საქმიანობა (იაპონიის წითელი არმია, ჰამასო, ჰერბილა - ყიდულობენ იარაღს).

ცნობილია, რომ მოცემული „რუს ზონების“ ტერიტორიიდან ე.წ. „კოვაინის მარშრუტი“ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების, ვენესუელას პორტების, მექსიკის გავლითხდება 40%-მდენარკოტიკების ტრანსპორტირება, რომელიც შეერთებულ შტატებშია ნარმოებული. გარდა ამისა, ყოველწლიურად 50 ტონამდე კოვაინი შედის ევროპავშირში ატლანტის ოკეანისა და დასავლეთ აფრიკის გავლით (Eventon, Bewley 2016). შესაბამისად, წლიური შემოსავალი შეადგენს 40 მილიარდ დოლარს.

გარდა ამისა, ხშირად ადგილი აქვს თანამშრომლობას ნარკოპარტელებსა (მედელინის კარტელი) და

ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ახორციელებენ ნარკოტიკების იარაღებზე გაცვლასა და შემდეგ გაყიდვას (Calvani 2004, 6-14), რაც წარმოადგენს „რუხი ბონების“ ამბოხებულ დაჭვუფებათა შემოსავლის ძირითად წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მიერ ხორციელდება მექსიკისა და კოლუმბიის არმიის სამხედრო სპეციალისტების დაფინანსება და შეიარაღებით უზრუნველყოფა, „მერიდას“ ინიციატივის ფარგლებში ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან საბრძოლველად, შედეგები - არაერთმნიშვნელოვანია (United States Department of State. a.n.d. The Merida Initiative. 2019). ერთის მხრივ, შესაძლებელი გახდა კოლუმბიის ტერიტორიის 10%-მდე განთავისუფლება „FARC“-ის დაჭვუფებისგან; მეორეს მხრივ, შეერთებული შტატები კოლუმბიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას განიხილავს, როგორც საბაბს ავღანური სცენარის მიხედვით რეგიონში სამხედრო წარმომადგენლობითობისთვის. ცნობილა, რომ კოლუმბიის მთავრობამ წელიწადში 5 მიღლიარდ დილარად გაქირავების საფუძველზე 7 სამხედრო და სამხედრო-საბლვაო ბაზა გადასცა შეერთებულ შტატებს, რომლისთვისაც კოლუმბიაზე კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონში ვენესუელას შევავებისთვის. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოვრჩეს ის ფაქტი, რომ ვენესუალას პრეზიდენტს უგო ჩავესს სურს „რუხი ბონის“ გამოყენება კოლუმბიაში რეგიონში ვენესუელას გეოპოლიტიკური ექსპანსიისთვის, კოლუმბიის დიდი ხნის მოწინააღმდეგებ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ბოლოვარიანული სტილის სოციალისტური რეჟიმის დამყარების მიზნით. ამას მოწმობს 2000-იანი წლების შუა ხანებაში ვენესუელაში რუსეთის ფედერაციასთან „AK-103“ ტიპის ავტომატის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ რეგიონში რუსული ცეცხლსასროლი იარაღით არალეგალური ვაჭრობის ბრდა (Björnehed 2004, 305-324).

„რუხი ბონებთან“ დაკავშირებული ზემოგანხილული მაგალითებიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოყოფილ იქნას რამდენიმე საერთო ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მათ ჩამოყალიბებასა და არსებობას.

პირველი, „რუხი ბონების“ გაჩერას იწვევს განსაზღვრული პოლიტიკური რეჟიმების, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ცვლა და აღტერნატიული რეჟიმების შექმნის შეუძლებლობა. ამის ნათელ დადასრულებას წარმოადგენს სომალისა და ავღანეთის მაგალითები, სადაც სოციალისტური ორიენტაციის რეჟიმების დამხობას არ გამოუწვევია აღტერნატიული მმართველობის ფორმის დამყარება და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება. როგორც დავინახეთ, შედეგი იყო კლანთაშორისი სამოქალაქო ომების წარმოშობა და ანარქია ქვეყნებში.

მეორე, საბოგადოების იდეოლოგიური გახლებით (კოლუმბია) ან ცალკეული ტერიტორიების სეპარატიზმით ((მანის სახელმწიფო ოქროს სამკუთხედის ტერიტორიაზე) გამოწვეული პერმანენტული სამოქალაქო ომი, შესაძლოა აღმოჩნდეს ხელშემწყობი ფაქტორი „რუხი ბონების“ წარმოსაქმნელად.

მესამე, შესამჩნევია გეოპოლიტიკური ფაქტორის როლი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ სატრანზიტო მარშრუტების კვეთაზე „რუხი ბონების“ არსებობასთან.

მეოთხე, მოსახლეობისთვის საარსებოდ (სომალი, ავღანეთი) შემოსავლის ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (კოლუმბიის მმართველი რეჟიმის ოპოზიცია FARC-ის სახით, შანის სეპარატისტული სახელმწიფო) აღტერნატიული წყაროს არ არსებობა განაპირობებს ნარკოტიკებით, იარაღით უკანონო ვაჭრობასა და მეკობრეობას „რუხ ბონებში“.

„რუხი ბონების“ არსებობის მეზოთ ფაქტორს წარმოადგენს სხვა მოთამაშეთა ინტერესები, რომელიც მიმართულია მათი გამოყენებისკენ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონებში საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გასამტკიცებლად (აშშ ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ამერიკაში, „აღ-ქაიდა“ აფრიკის რესის რეგიონში, ვენესუელასა და ცენტრალურ ამერიკაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხედავთ, რომ „რუხი ბონები“ წარმოადგენს სერიოზულ დესტაბილიზაციის ფაქტორს თანამედროვე მსოფლიო წესრიგში, სხვადასხვა სახელმწიფოებში ეროვნულ უსაფრთხოებაზე ტრანსნაციონალური საფრთხეების წარმოქმნისა და გავრცელების გამო. ამიტომ, „რუხი ბონების“ ჩამოყალიბებისა და არსებობის გამოვლენილი ზოგადი ფაქტორები გათვალისწინებულ უნდა იქნას საერთაშორისო საზოგადოების მრავალმხრივი ქმედებების შედეგად მათი ნიველირებისას.

## გამოყენებული ლითერატურა

- Article (05.02.2009): Somali pirates free Ukrainian ship after receiving ransom <https://bit.ly/3jd2g6v> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Article: Sharon Otterman and Mark McDonald (18.11.2008) - Hijacked Supertanker Anchors Off Somalia <https://nyti.ms/3vnZlY6> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Beloff R. (2013) - How Piracy is Affecting Economic Development in Puntland, Somalia Jonathan; Journal of Strategic Security 6, no. 1, <https://bit.ly/3DM9NAU> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Bjoernheh Emma - Narco-Terrorism: The Merger of the War on Drugs and the War on Terror ; Global Crime - Vol. 6, No. 3&4, August–November 2004, pp. 305–324;
- Calvani Sandro (March 2004), "United Nations Perspective" paper presented at The Crime-Terrorism Nexus: How does it really work?, Virginia, pp. 6–14;
- Cockayne James and Williams Phil (October 2009), "The Invisible Tide: Towards an International Strategy to Deal With Drug Trafficking Through West Africa," International Peace Institute, 2009, <https://bit.ly/3n6yvVX> pdf, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Costa Antonio Maria (October 2008), "Drug Trafficking Is a Security Threat" (remarks at the opening of the Economic Community of West African States high-level conference on drug trafficking as a security threat, Praia, Cape Verde,), <https://bit.ly/3jfy6j8> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Eichstaedt Peter, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea (Chicago: Lawrence Hill Books, 2010), 182;
- Eventon Ross and Dave Bewley (2016) - Taylor - An overview of recent changes in cocaine trafficking routes into Europe (Background paper commissioned by the EMCDDA for the 2016 EU Drug Markets Report); <https://bit.ly/3awDhXd> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Eichstaedt, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea, 34; Percley and Shortland, "The Business of Piracy in Somalia," 4;
- Eichstaedt, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea, 29-30; Sarah Percley and Shortland, Anja, "The Business of Piracy in Somalia," German Institute for Economic Research (July 2010): 2, available at: <http://www.brunel.ac.uk/9379/efwps/0942.pdf>, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Freedom Onuoha, "Sea Piracy and Maritime Security in the Horn of Africa: The Somali Coast and Gulf of Aden in Perspective," African Security Review (July 2010): 37-8, available at: <https://bit.ly/3n3v96m>, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Information booklet (2017), European Union Naval Force Somalia Operation Atalanta p.7 ; <https://bit.ly/3vlglnc>. Pdf; (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Jablonski Ryan and Oliver Steven (October 2010), "The Political Economy of Plunder: Economic Opportunity and Modern Piracy," 2010 American Political Science Conference, <https://bit.ly/3n3sbia> .pdf, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Lewis, Ioan, Understanding Somalia and Somaliland (New York: Columbia University Press, 2008), 104-5;
- Report of United Nations Office of Drugs and crime ( 05.2020) Synthetic Drugs in East and Southeast Asia (Latest developments and challenges), (p.17);
- Report to DHS S&T Office of University Programs and Department of Defense Strategic Multi-Layer Assessment, "Gray Zone Effort Update," September 2016;
- Rydell, C.P. Everingham, S.S. (1994) Controlling Cocaine; Supply Versus Demand Programs, RAND Corporation, <https://bit.ly/3n6CnGt.pdf>, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Schmid, Alex P. (1996) "The links between transnational organized crime and terrorist crimes", Transnational Organized Crime, vol. 2, No. 4;
- UNODC (United Nations Office on Drugs and Crime), Transnational Trafficking and the Rule of Law in West Africa: A Threat Assessment, July 2009, <https://bit.ly/30t3uE4> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- UN Office on Drugs and Crime; International report (21. 10. 2009) Taliban (Afghanistan) – Narcotic Drugs-Drag traffic – Organized Crime – Opium Poppy – Terrorism Financing – Heroin; Vienna;
- United Nations Office of Drugs and crime - Report -The global heroin market (July 2011) (p 8-11) <https://bit.ly/2YWvYp2>, (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- United States Department of State. a.n.d. The Merida Initiative. 2019. <https://bit.ly/3n6EtGl> (გადამოწმებული იქნა 10.10.21);
- Wolfram Lacher (09.2012) - organized crime and conflict in the sahel-sahara region, Middle East; Carnegie Endowment for International Peace; Washington (p. 8-11), [https://carnegieendowment.org/files/sahel\\_sahara.pdf](https://carnegieendowment.org/files/sahel_sahara.pdf) (გადამოწმებული იქნა 10.10.21).

სამხედრო საინჟინრო ქალების გამოყენების  
მიზანების სამხედრო ოპერაციების დროს

**300-კოლეგიანი ზურაბ სამხარაძე**  
ბაკალავრიატის მეცნიერების ინიციატულის მიმართულების უფროსი  
სამხედრო მეცნიერებათა დოკტორი

ନାରୀବଳୀ

სამხედრო ინჟინრები წარმოადგენნ შეიიარაღებული ძალების მნიშვნელოვან საყრდენს. მიუხედავად ინჟინრების ფასდაუდებელი ღვანლისა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანი დეფიციტი შეინიშნება საინჟინრო საქმის შესწავლის კუთხით. საინჟინრო საქმის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდების მოსახიდად. წინამდებარე ნაშრომში განხილულია სამხედრო ინჟინრების ძირითადი დავალებები, მათი გამოყენების მნიშვნელობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, როგორც უძველეს ხანაში, ისე თანამედროვე ისტორიის განმავლობაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში კონტრიბუციის შეტანა და საინჟინრო საქმის აღნერა მისი პოპულარიზაციის მიზნით.

ისტორიას არაერთი შემთხვევა ახსოვს, როდესაც ინჟინერ-სპეციალისტების ჩართულობით, მოვლენები მხარეებისთვის სხვაგარად განვითარდა. ისტორია გვაჩვენებს, რომ სამხედრო ოპერაციების დროს მიზნის მიღწევა, მხოლოდ შეიარაღებულ ქვეითებზე დაყრდნობით, ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგანაც საუკრადღებოა რამდენიმე ფაქტორი: ადგილმდებარეობის რელიეფი და მოწინააღმდეგის ძალების პოტენციალი. ინჟინრების დახმარებით, ხდება რელიეფური პირობების გაუმჯობესება საკუთარი ძალების მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად და მოწინააღმდეგ ძალების შესაფერხებლად. რომ არა საინჟინრო შენაერთები, საბრძოლო ქვედანაყოფები გაცილებით ადვილად მისაგნები სამიზნე იქნებოდა მოწინააღმდეგ ძალებისთვის. შესაბამისად, საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას.

**საქართველო სიმყდები:**  
სამხედრო ინჟინერი, საინჟინრო მხარდაჭერა, რელიეფი, საბრძოლო შესაძლებლობები.

# **THE IMPORTANCE OF USING MILITARY ENGINEERING FORCES DURING MILITARY OPERATIONS**

**LIEUTENANT COLONEL ZURAB SAMKHARADZE  
HEAD OF MECHANICAL ENGINEERING DEPARTMENT  
PHD IN MILITARY SCIENCE**

## **ABSTRACT**

Military engineers represent important pillar of armed forces. Regardless of the invaluable efforts of engineers, there is a significant shortage in the Georgian scientific society in this field. Promoting engineering discipline is important for attracting educated and talented young people. This paper describes main tasks of military engineers, highlights their importance at different stages thought history. The aim of the paper is to contribute to the Georgian scientific society and describe efforts taken by the engineers in order to promote this field.

History evokes many cases when, due to engineers' engagement, events developed differently for the involved parties. History shows that it is often impossible to achieve defined goals based solely on armed infantry, as several factors are to be considered: terrain and power of the adversary. With the help of engineers, terrain is improved to achieve maximum efficiency of friendly forces and to deny opposing forces. Without engineering units, combat units would be much achievable target for opposing forces. Accordingly, the development of engineering capabilities helps to increase the country's defense capabilities.

**KEYWORDS:**

Military engineer, engineer support, terrain, combat capabilities.

## შესავალი

სამხედრო ინჟინრები წარმოადგენენ შეიარაღებული ძალების მნიშველოვან საყრდენს. მათი ძირითადი ამოცანაა საკუთარი ძალების მობილურობის შენარჩუნების უზრუნველყოფა და, ამავე დროს, მოწინააღმდეგე ძალების მობილურობის ხელყოფა. საინჟინრო შენაერთები ხელს უწყობენ საკუთარ ძალებს, გადარჩენენ მტრულ გარემოში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სამხედრო ინჟინრების დახმარებით, საკუთარი ძალები განაგრძობენ არსებობას, მოქმედებასა და ბრძოლას, რისი მიღწევაც, ასევე, ხდება მოწინააღმდეგე ძალების მოქმედებისა და ბრძოლისუნარიანობის ხელშეშლით.

მიუხედავად ინჟინრების ფასდაუდებელი ღვაწლისა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანი დეფიციტი შეინიშნება საინჟინრო საქმის შესწავლის კუთხით, რაც ისეთი მცირე ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, მისი გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, დანაშაულის ტოლფასია. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა წინამდებარე ნაშრომის მომზადება.

საინჟინრო საქმის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდების მოსაზიდად. აღნიშნული მნიშვნელოვანია ინჟინერთა ახალი თაობის აღზრდისათვის, რასაც დაეუფუძნება მომავლის ძლიერი ჭარი.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სამხედრო ინჟინრების ძირითადი დავალებები, მათი გამოყენების მნიშვნელობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, როგორც უძველეს ხანაში, ისე თანამედროვე ისტორიის განმავლობაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში კონტრიბუციის შეტანა და საინჟინრო საქმის აღწერა მისი პოპულარიზაციის მიზნით. დასახულ ამოცანებს განეკუთვნება საინჟინრო საქმის მიმართულებით სხვადასხვა ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და განვრცობა.

ნაშრომის მიზნების მისაღწევად ავტორი იყენებს შემთხვევების შედარებით ანალიზს, რომლის დახმარებითაც ხდება იმის გაგება, თუ რა გავლენას ახდენენ გარკვეული ფაქტორები შედეგებზე. თემის ინფორმაციული და თეორიული ბაზა ეფუძნება მეორადი წყაროების ანალიზს - შესასწავლი საკითხის გარშემო არსებულ სხვადასხვა ანალიტიკური და აკადემიური ტიპის მასალას, ექსპერტების მიერ განხორციელებულ კვლევებს. აგრეთვე, ავტორის მიერ გამოყენებულია წლების განმავლობაში პირადი დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნები და ექსპერტული ცოდნა.

## სამხედრო ინჟინრების დავალებები დღესდღეობით და საუკუნეების უკან

### საინჟინრო მართვილება აშშ-ს არმიაში

საერთაშორისო დონეზე, სამხედრო ინჟინრებს საერთო დისციპლინა აერთიანებთ. როგორც წესი, ინჟინრებს ევალებათ გარკვეული ობიექტების ნგრევა, მოწინააღმდეგე ძალების დაბრკოლებების გარღვევა, სახმელეთო ნაღმების გამოყენება, თავდაცვითი პოზიციების, ფორტიფიკაციების დაგეგმვა, მოწყობა და შენარჩუნება, გზების, საკომუნიკაციო ხაზებისა და ხიდების მშენებლობა. ისინი, ასევე, უზრუნველყოფენ წყლისა და ელექტროენერგიით მომარაგების სისტემების მოწყობას, ახორციელებენ სამაშველო ოპერაციებს, აწარმოებენ სახითათო ფეთქებათსაშიშ ოპერაციებს, შეიმუშავებენ რუქებს და ახორციელებენ საინჟინრო დაზვერვას. მოვლენები რომ ითქვას, საინჟინრო ძალების საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება ქვედანაყოფის ბრძოლისუნარიანობის მხარდაჭერას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საინჟინრო გვარეობა სამი მიმართულებისგან შედგება და აერთიანებს საბრძოლო, ზოგად და გეოსივრცით ინჟინერიას (U.S. Department of the Army 2020, Introduction, V). არმიის ინჟინრები (Army engineers) განეკუთვნებიან სახმელეთო ძალებს, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ხმელეთის ნებისმიერ განზომილებაში, რაც გულისხმობს როგორც მიწის ქვედა, ისე მიწის ქვედა სამუშაოებს. სხვადასხვა ტიპის რელიეფი სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენს ძალების პოტენციალზე. საინჟინრო ოპერაციების ბუნება უნიკალურია თავისი ხასიათით, რადგანაც ჩანაფიქრისდა მიუხედავად, ინჟინრების ამოცანაა რელიეფზე ზემოქმედება, საკუთარი ძალების მიერ მისი უკეთესი გამოყენებისთვის

ან უკეთესად შესწავლისთვის. რელიეფი საკუთარ თავში მოიცავს ბუნებრივ და ადამიანის მიერ შექმნილ დაბრკოლებებს (U.S. Department of the Army 2020, 1-1). შესაბამისად, რელიეფი საკვანძო საკითხია სამივე მიმართულებისთვის. საბრძოლო და ზოგადი ინჟინერიის ფარგლებში ხდება რელიეფზე ზემოქმედება, მაშინ როდესაც გეოსივრცითი ინჟინერია ფოკუსირებულია რელიეფის უკეთ შესწავლასა და გაანალიზებაზე.

მიმართულებისდა მიუხედავად, ინჟინერები მზად უნდა იყვნენ, შეასრულონ ამოცანები ახლო ბრძოლაში (close combat). საბრძოლო ინჟინერია ერთაერთი მიმართულებაა, რომელიც მომზადებულია და აღჭურვილია ისეთ დონეზე, რომ მხარი დაუჭიროს გადაადგილებასა და მანევრს ახლო ბრძოლის ფარგლებში. ზოგადი და გეოსივრცითი საინჟინრო მიმართულებები არ მონაწილეობენ საერთო—საჯარისო ძალებთან ერთად ცეცხლისა და მანევრის დროს, მათ გააჩნიათ მცირე რაოდენობის შეიარაღება, რომელიც შესაძლოა, თავდაცვის მიზნით, საჭირო აღმოჩნდეს ახლო ბრძოლაში აღმოჩენის შემთხვევაში (U.S. Department of the Army 2020, 1-1).

საბრძოლო საინჟინრო მიმართულება გულისხმობს ისეთ საინჟინრო შესაძლებლობებსა და ღონისძიებებს, რომლებიც პირდაპირ მხარს უჭერს სახმელეთო ძალების მანევრს, რომელთაც სჭირდებათ ახლო და ინტეგრირებული მხარდაჭერა. შესაბამისად, ეს მიმართულება ზემოქმედებას ახდენს რელიეფზე, მანევრის ახლო მხარდაჭერის მიმდინარეობის დროს. საბრძოლო ინჟინერები აძლიერებენ საკუთარი ძალების მობილურობას მოწინააღმდეგის მობილურობის აღვეთის დროს გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების მეშვეობით, რათა მოხდეს ადგილმდებარეობისა და დროის უფრო ეფექტური გამოყენება, საბრძოლო ძლიერების კონცენტრირების მიზნით. ადგილმდებარეობის ბუნებრივი დაბრკოლებების გაძლიერებით საბრძოლო ინჟინერები ზღუდავენ მოწინააღმდეგის უნარს, გაბარდოს სამხედრო მოქმედების ტემპი და მოიკრიბოს ძალები. ასეთი შეზღუდვები ზრდიან მოწინააღმდეგის მიერ რეაგირების დროსა და ამცირებენ მათ სულისკვეთებას (U.S. Department of the Army 2020, 1-1).

ზოგადი საინჟინრო მიმართულება მოიცავს ისეთ შესაძლებლობებსა და ღონისძიებებს, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია სამშენებლო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული მიმართულება ყველაზე მრავალფეროვანია და პროცენტურად ყველაზე მსხვილ საინჟინრო მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც ზოგადი საინჟინრო მხარდაჭერა საჭიროა ოპერაციის რაიონის სრულ მანძილზე, ყველა დონეზე, ომის ყველა ეტაპზე, ყველა სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში. მათ დავალებებს განვეკუთვნება დაზიანებული რაიონების აღდგენა, საკომუნიკაციო ხაზების შექმნა და შენარჩუნება; მცირე ბაზების მოწყობა; ინფრასტრუქტურის შეკეთება და სხვ (U.S. Department of the Army 2020, 1-2).

გეოსივრცითი ინჟინერია მოიცავს ისეთ შესაძლებლობებსა და ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილმდებარეობის ზუსტ შესწავლას. გეოსივრცითი მიმართულების ინჟინერები აგროვებენ გეოსივრცით ინფორმაციას, აანალიზებენ მათ, ახდენენ რელიეფის ვიზუალიზაციას და აწვდიან შესაბამის მონაცემებს, ხელმძღვანელობასა და შტაბის წევრებს გადაწყვეტილებების მისაღებად (U.S. Department of the Army 2020, 1-2).

## სამხედრო ინჟინერიის გამოყენება ისტორიულად

ისტორიის განმავლობაში, სამხედრო ინჟინერები გამომგონებლები იყვნენ. ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს, როდესაც სამხედრო ინჟინერებმა მნიშვნელობანი წვლილი შეიტანეს სამხედრო მეცნიერებაში. ძირითად შემთხვევებში, სწორედ ინჟინერების დამსახურება იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საბრძოლო მოქმედებებში. გამოგონებების სრულად ათვისების შემდეგ, დგებოდა გარდამტები ეტაპი – ვითარდებოდა ცალკეული მიმართულება თუ გვარეობა. არსებობს მყარი მოსამარება, რომ სამხედრო ინჟინერია საინჟინრო მიმართულების ერთ—ერთ ყველაზე პირველ სახეობას წარმოადგენს და აღნიშნული ქვის ხანასა და ამ პერიოდში შეაირაღების ინსტრუმენტების განვითარებას უკავშირდება.

რომის იმპერიაში თითოეული ჰარისკაცი, გარკვეულწილად, ინჟინერი იყო. მას ნიჩბის გამოყენება ისევე კარგად უნდა სცოდნობა, როგორც ხმლის. რომაულ ლეგიონს განსაკუთრებული საინჟინრო უნარები ჰქონდა. ფაქტობრივად, ლეგიონერებს ყოველდღე უნევდათ დროებითი ბანაკის გაშლა ღამის გასათევად. აღნიშნულ „რიტუალში“ 6 000 ლეგიონერი მონაწილეობდა; ბანაკის სრულად მოწყობას დაახლოებით 3-4 საათი სჭირდებოდა. რომაელების საინჟინრო შესაძლებლობები თანდათან ვითარდებოდა და მუდამ მეცნიერებას ეფუძნებოდა. წლების შემდეგ, ისინი ალყის შემორტყმის ექსპერტებად იქცნენ (Canadian Chief of the Defence Staff 2003, 1-2). ცნობილია მასადას ციხესიმაგრე იყო, თუმცა რომაელებმა სრულიად საპირისპირო დაამტკიცეს. მასადას კედლების სიმაღლე მკვდარი ბლვის დონიდან 400 მეტრს შეადგენდა. დაახლოებით ორი წლის განმავლობაში

ლეგიონერები აშენებდნენ მიწის პანდუსს. თვეების შემდგომ, რომაელებმა შეძლეს პანდუსის კედლებამდე ამაღლება და დაიწყეს ალყის მანქანებით მისი ნგრევა, და შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება (Canadian Chief of the Defence Staff 2003, 1-3).

რომაელებმა ინჟინრებმა შექმნეს 75 000 კილომეტრიანი სამხედრო გზებისგან შედგარი სისტემა, რომელიც რომსა და მის კოლონიებს აკავშირდებდა. რომის დაცემის შემდეგ სამხედრო საინჟინრო დარგში 500 წლის განმავლობაში თითქმის არაფერი შეცვლილა და თანდათან გაერა რომაელებისთვის დამახასიათებელი ფორტიფიკაციების მშენებლობისა და მათზე თავდასხმის ტექნიკები. თანდათან ევროპაში შეიცვალა ომის წარმოების ხასიათიც, ქვეითი (ანუ რომაელი ლეგიონერი) ჩანაცვლა კავალერიამ. თავდაცვითი ომის მნიშვნელობა გაიზარდა მოვაინებით შუა საუკუნეებში, როდესაც გახშირდა ფეოდალური ციხესიმაგრების მშენებლობა. როგორც წესი, ასეთ ციხეებს მდინარეები იცავდა. სწორედ ამ დროს დაბრუნდა ალყის შემორტყმის ძველი პრაქტიკა. როგორც წესი, თავდაცვის გარღვევა ხდებოდა ციხის კედლის ძირამდე სანგრების/ტრანშეის გათხრისს შედეგად (იმ დროისთვის ასეთ ტრანშეას „sap—s“ უწოდებდნენ, სწორედ აქედან გამომდინარეობს სიტყვა „sapper“ (Canadian Chief of the Defence Staff 2003, 1-1)). აღნიშნული ხდებოდა თავდამსხმელების მიახლოების დასამალად.

არანაკლებ საინჟინრო საინჟინრო შესაძლებლობების გამოყენება უახლესი ისტორიის კონფლიქტებში. ერთ—ერთი ცნობილი შემთხვევა, როდესაც საინჟინრო ძალების შესაძლებლობებმა გარდამტეხი როლი შეასრულა კონფლიქტის სცენარის განვითარებაში, იყო კორეის ომი. კონფლიქტი 1950 წლის 25 ივნისს დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ მოულოდნელი დარტყმა განახორციელა სამხრეთ კორეაზე და შეტევაზე გადავიდა. ჩრდილოეთ კორეელებმა მალევე გამოიარეს ორი კორეის გამყოფი ხაზი ე.წ. 38-ე პარალელი და უკუაგდეს სამხრეთ კორეის ძალები, რომლებმაც დაიწყეს ორგანიზებული უკანდახევა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მალევე მიიღო გადაწყვეტილება, ჩარეულიყო აღნიშნულ კონფლიქტში და სულ მალე, გაეროს ეგიდით, ამერიკული შენაერთები, რომლებიც იაპონიაში იყვნენ განლაგებულნი, კორეისკენ დაიძრნენ. აქ ამერიკელებს განსაკუთრებულად არახელსაყრელი გარემო დახვდათ — რთული რელიეფური და კლიმატური პირობები. ამერიკელების გარდა, გაეროს ძალების შემადგენლობაში იყვნენ დიდი ბრიტანეთის, ფილიპინების, ტაილანდის, კანადის, თურქეთის სამხედროები (Sharashenidze 2017).

კონფლიკტისტის შედეგებისთვის გადამწყვეტი იყო სამხედრო ინჟინრების კონტრიბუცია. მათი დახმარებით, კოალიციური ძალები ძეირთას დროს იგებდნენ, ისინი ანადგურებდნენ ხიდებს და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას იმისათვის, რომ ხელი შეებალათ და შეებჯედათ მოწინააღმდეგის წინ წაწევა. ვითარების გართულების კვალდაკვალ, საინჟინრო შენაერთებს უწევდათ ქვეითებთან ერთად მხარდამხარ ბრძოლა. ხოლო მას შემდეგ, გაეროს ძალები გამაგრდნენ ჰუსანის პორტის ტერიტორიაზე, ინჟინრებმა შეძლეს ისეთი თავდაცვითი პერიმეტრის აშენება, რომელიც მოწინააღმდეგის თავდასხმას ერთი თვის განმავლობაში უძლებდა. ჰლაცდარმის შენარჩუნებამ გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონია კონფლიქტის შედეგების თვალსაზრისით და იხსნა სამხრეთ კორეელები დამარცხებისგან. სექტემბრის შუა რიცხვებში გაეროს ძალებმა შეტევა დაიწყეს და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ზურგი. აქაც ინჟინრები მოწინავე მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდნენ, აგებნენ და ინარჩუნებდნენ გზებს მთიანი უღელტეხილების გასწრივ, აშენებდნენ დროებით ხიდებს და სხვ. კოალიციური ძალების დახმარებით, სამხრეთ კორეელებმა დედაქალაქი დაიბრუნეს (US Army Corps of Engineers 2005).

მოულოდნელად კონფლიქტში ჩინეთი ჩაერთო, რამაც გაეროს ძალების უკანდახევა გამოიწვია. კვლავ ინჟინრების ჩართულობა გახდა საჭირო. მათ თავიდან დააგეს გზები და ააშენეს ხიდები უკანდახევის გასამარტივებლად, პარალელურად ვი ანადგურებდნენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და მარაგებს, რათა არ მომხდარიყო მათი მოწინააღმდეგე ძალების მიერ გამოყენება. დროთა განმავლობაში ომი ჩიხში შევიდა, უპირატესობის მოპოვებას ვი ვერც ერთი მხარე ვერ აღწევდა. სწორედ ამიტომ მხარეებმა გადაწყვიტეს დაბავება და ორი კორეის გამყოფი ხაზი ისევ 38-ე პარალელზე გაევლო. ეჭვგარეშეა ის, რომ არა სამხედრო საინჟინრო შესაძლებლობები, აღნიშნული კონფლიქტი სამხრეთ კორეისთვის სრულიად სხვა შედეგებს მოიტანდა (US Army Corps of Engineers 2005).

## სამხედრო ინჟინრების როლი სამშვიდობო ოპერაციების დროს

საბრძოლო ოპერაციებში სამხედრო ინჟინრების როლის განხილვის შემდეგ, საინჟინრო სამხედრო ინჟინრების როლი სამშვიდობო ოპერაციების დროს. გაეროს უშიშროების საბჭოს ავტორიზაციით,

პერიოდულად ინიშნება მშიდობის შენარჩუნების ოპერაციების მსოფლიოს სხვადასხვა ღარიბ და კონფლიქტებით დაბარალებულ ქვეყანაში. როგორც წესი, ეს ლოკაციები მეტად ხელმიუწვდებელია გეორგრაფიული თვალსაზრისით. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საინჟინრო უზრუნველყოფა წარმოადგენს სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვის ერთ—ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს.

როგორც წესი, იმ ტერიტორიებზე, სადაც უნდა განთავსდეს გაეროს მისია, ეროვნულ დონეზე შეინიშნება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელთა მოგვარების გარეშე, მისის განთავსება (mission deployment) ვერ მოხდება (ARTHUR BOUTELLIS 2014, 1). სწორედ ამიტომ, მისის საწყის ეტაპზე ინჟინერები ახორციელებენ დეტალურ დაგეგმვას, ატარებენ შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოებს ბანაკების მოსაწყობად, რომელთა საფუძველზეც მისიამ უნდა ითვენტიონიროს. მშვიდობის შენარჩუნების მისია დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს, თუკი ადგილზე არაა მოწყობილი შესაბამისი სანიტარული და ჰიგიენური პირობები, უსაფრთხო ბანაკები ელექტროენერგიის მიწოდებით, გზებითა და ფუნქციური საპარო ზოლები. როდესაც ადგილობრივ დონეზე სახეზეა საინჟინრო ხასიათის ნაკლოვანებები, მატერიალურ—ტექნიკური ხასიათის პრობლემებთან ერთად, მისის მანდატის ფარგლებში, სულ უფრო რთულდება ისეთი საკვანძო დავალებების შესრულება, როგორიცაა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ან ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლების გავრცელების ხელშეწყობა, ზოგჯერ შეუძლებელიც ვი ხდება. ინჟინერებზე გაცემული დავალებები მოიცავს ნიადაგის მომზადებას ბანაკის მოსაწყობად (განმენდა, მიწის გასწორება, შენობებისთვის ფუნდამენტის ჩაყრა), გზების, ხიდების, ასაფრენ—დასაფრენი ზოლების, აეროდრომების მშენებლობა, შენარჩუნება და შეკვეთება. აღნიშნულ საქმიანობას უკავშირდება ასევე ნაგრევებისა ან ნაგვისგან ტერიტორიის განმენდა, სადრენაჟო სისტემის მოწყობა ან შეკვეთება და მდინარეების ვანალიზება (ARTHUR BOUTELLIS 2014, 3).

## დასკვნითი დეპულებები

როგორც არაერთგზის იქნა აღნიშნული, სამხედრო საინჟინრო მიმართულება შეიარაღებული ძალების ხერხემალს წარმოადგენს. ისტორიას არაერთი შემთხვევა ახსოვს, როდესაც ინჟინერ—სპეციალისტების ჩართულობით, მოვლენები მხარეებისთვის სხვაგვარად განვითარდა. ისტორია გვაჩვენებს, რომ სამხედრო ოპერაციების დროს მიზნის მიღწევა, მხოლოდ შეიარაღებულ ქვეითებზე დაყრდნობით, ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგანაც საყურადღებოა რამდენიმე ფაქტორი: ადგილმდებარეობის რელიეფი და მოწინააღმდეგის ძალების პოტენციალი. ინჟინერების დახმარებით, ხდება რელიეფური პირობების გაუმჯობესება საკუთარი ძალების მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად და მოწინააღმდეგ ძალების შესაფერხებლად. რომ არა საინჟინრო შენაერთები, საბრძოლო ქვედანაყოფები გაცილებით ადვილად მისაგნები სამიზნე იქნებოდა მოწინააღმდეგ ძალებისთვის. შესაბამისად, საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას.

## გამოყენებული ლითერატურა

- UN Peacekeeping. New York: International Peace Institute.
- Canadian Chief of the Defence Staff. 2003. Customs and Traditions of the Canadian Military Engineers. MDN Canada .
- Sharashenidze, Tornike. 2017. "Korean War." My World, 4-11.
- U.S. Department of the Army. 2020. FM 3-34, Engineer Operations. Washington: Headquarters.
- US Army Corps of Engineers. 2005. The U.S. Army Corps of Engineers Shaped the Combat Environment during the Korean War. July. <https://www.usace.army.mil/About/History/Historical-Vignettes/Military-Construction-Combat/098-Korean-War/>

# **საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები**

**პრიგადის მენერალ-მაიორი თენაზი ზუბლაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოკორი, პროფესორი,  
თადარიმის მენერალ-მაიორი,  
საქართველოს მეცნიერებათა უნივერსიტეტი,  
საინჟინრო უზრუნველყოფის მანყოფილების უფროსი**

## **აბსტრაქტი**

დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს ობიექტური წინააღმდეგობა თავდაცვის ძალების მიერ განსაზღვრული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ხარისხის მქონე ადამიანური რესურსის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიული, იდეოლოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ შესაძლებლობებს შორის. ამ წინააღმდეგობის გამწვავების ხარისხი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ყველაზე ოპტიმალურ ხერხად მიგვაჩნია შერეული ხერხით დაკომპლექტება, რაც გულისხმობს, რომ სამხედრო დანაყოფის ის თანამდებობები, რომელებიც ძირითადად განსაზღვრავენ მისი საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის დონეს, ასევე რომელთა მომზადებას სჭირდება მეტი დრო და დიდი რესურსი, უნდა დაკომპლექტდეს საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურებით, ხოლო დანარჩენი თანამდებობები-წვევამდელებით.

### **საკვანძო სითყვები:**

თავდაცვის ძალების დაკომპლექტება, დაკომპლექტების პრინციპები, დაკომპლექტების ხერხები, დაკომპლექტების რესურსი, დაკომპლექტების გემოქმედების ფაქტორები.

# **THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVING THE PERSONNEL RECRUITMENT SYSTEM OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES**

**BRIGADIER GENERAL TENGIZ SHUBLADZE**  
**DOCTOR OF HISTORY, PROFESSOR, MAJOR GENERAL (R),**  
**HEAD OF ENGINEERING SUPPORT DIVISION,**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

## **ABSTRACT**

Today in our country there is an objective contradiction between the demand for human resources with the knowledge, skills and quality defined by the Defense Forces and the economic, demographic, ideological and socio-legal capabilities of the state to meet these requirements. The degree of aggravation of this resistance must be taken into account in the process of improving the recruiting system of our country's military organization. Based on the above, we consider the most optimal way of complectation the Georgian Defense Forces to be a mixed way, which means that the positions of the military unit, which mainly determine its level of combat readiness and combat power, as well as those that require more time and resources, should be staffed by contract service. And other positions – with conscripts.

We believe that this model of complectation of the defense forces is fully fits with the interests of our country, as well as its capabilities.

**KEYWORDS:**

Defense Force Recruitment, Recruitment Principles, Recruitment Techniques, Recruitment Resource, Influence Factors on Recruitment.

შესავალი

დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დგას მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, რაც მდგომარეობს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებაში.

სამწევაროდ თავდაცვის სფეროში მოქმედმა საკანონმდებლო ბაზამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი ახალგაზრდების კარში სამსახურისგან დისტანცირებას. საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება (ამას ხელი შეუწყო ზოგიერთი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის, ხედვამაც), რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და პროფესიულ (საკონტრაქტო) სისტემაზე გადასვლა არის ერთადერთი სწორი გზა ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმიის შესაქმნელად.

## ပိုမ်းဝတ္ထာဖွေ နာနိုလို

დაკომპლექტების რესურსი - იგულისხმება მოქალაქეები, რომლებიც დგანან სამხედრო აღრიცხვაზე. იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველს განეკუთვნება „18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვითისგან განთავისუფლების ან განვევის გადავადების საფუძველი“ (საქართველოს კანონი 2014, 3). ამ კატეგორიას ეწოდება „გასაწვევი რესურსი“. მეორეს განეკუთვნება „პირი რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილია რეზერვში და აქტიურ რეზერვში არ ირიცხება, ან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობს სამხედრო სამსახურში განვითისგან განთავისუფლების ან სამხედრო სამსახურში განვითის გადავადების უფლებით და რომელსაც შეუსრულდა 27 წელი ან რომელმაც აღნიშნული ასაკის მიღწევამდე გამოთქვა სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვის სურვილი“ (საქართველოს კანონი 2018, 3). ამ კატეგორიას ეწოდება „სამობილიზაციო რესურსი“.

ზოგადად მიღებული მოსაზრების თანახმად, დაკომპლექტება არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სამხედრო სამართლის ნორმებით რეგულირებული, სამხედრო მოსამსახურებით და სამოქალაქო პერსონალით არმიის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის პერიოდში, ასევე სამხედრო ცოდნის მქონე ადამიანური რესურსის რეზერვის შექმნა.

დაკომპლექტება, როგორც პროცესი მიზანშეწონილია დაყვოთ ოთხ შემადგენელ ნაწილად: დაკომპლექტება გასაწვევი რესურსით \_ მშვიდობიანობის ჰერიოდში; დაკომპლექტება სამობილიზაციო რესურსით \_ მშვიდობიანობის ჰერიოდში; დაკომპლექტება სამობილიზაციო რესურსით \_ მობილიზაციის დროს; დაკომპლექტება გასაწვევი რესურსით ომიანობის ჰერიოდში.

ეს შემადგენლობი ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენენ სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების ერთიანი სისტემას. ამ სტატიაში ჩვენ ძირითადად ვისაუბრებთ ჰირველ შემადგენელზე – გასასწავლი რესურსით დაკომპლექტებაზე, მაგრამ, ორიოდ სიტყვით გვინდა შევიხოთ რეზიტვის საკითხს.

ରୂପକଳା ମତଲାଇବାର ଦାତାଙ୍କଙ୍କ ସାହୁପାଦିଶ ନାମିଲୋ, ଶାରୀରିକ କଳାପାଦିଶ ନାମିଲୋ:

- შესაძლებლობების გაზრდას. ეს შესაძლებლობები უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხით, საიმედოობით და ძალების ხელმისაწვდომობით. სარეზერვო კომპონენტი ავსებს აქტიურ კომპონენტს თავდაცვის ძალების ამოცანების სრულ სპექტრში;
  - აქტიური კომპონენტის და სარეზერვო კომპონენტის ინტეგრაციას. სარეზერვო კომპონენტი შეიძლება სრულად იყოს ინტეგრირებული ყველა სამშვიდობო და საბრძოლო მოქმედებებში და ჩაითვალოს მთლიანი თავდაცვის ძალების განუყოფელ ნაწილად;
  - უპირატესობას. სარეზერვო კომპონენტით უზრუნველყოფილია მაღალი გამოცდილება და საბრძოლო უნარი, რომლის შენარჩუნება გაცილებით იათვია, ვიდრე აქტიურ კომპონენტში;
  - ხარჯების შემცირებას. ერთ სულ მოსახლეებე სრულად დატვირთული სარეზერვო კომპონენტის ღირებულება როგორც წესი, არის აქტიური კომპონენტის ღირებულების ერთ მესამედებე ნაკლები;
  - სამსახურის უწყვეტობას. სარეზერვო კომპონენტი ხელს უწყობს სამსახურის უწყვეტობას გამოცდილი პერსონალის მეშვეობით, რომლიბიც ამაღლებენ თავდაცვის ძალების ეფექტურობას და მდგრადობას,

მოქნილი მექანიზმებით და ნაკლები ხარჯებით. სამსახურის ეს ვარიანტები სამხედრო სამსახურს უფრო მიმზიდველს ხდის (RFPB Report FY17-01 2016, 18).

სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოჩვენებითი განსხვავების მიუხედავად, მათი რეალიზება ხდება ორი პრინციპით: დაქირავება ან სამხედრო ბეგარა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მშვიდობიანობის პერიოდში არმის დაკომპლექტებას საფუძვლად უდევს ან სამოქალაქო ვალდებულების შესრულება, ან ის რომ სამხედრო სამსახური არის პროფესია და შემოსავლის მიღების საშუალება.

ამა თუ იმ სახელმწიფოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების სისტემა, დამოვიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, რომლებიც ამ სისტემაზე ზემოქმედებენ.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც არის სამხედრო სამსახურის და ზოგადად თავდაცვის ძალების ყოლის ძირითადი მიზეზი არის საგარეო პოლიტიკური ფაქტორი. გარკვეული გარე საფრთხეების არსებობა, მსოფლიოს დაყოფა სხვადასხვა ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის, სხვადასხვა რასისა და კონფლიქტების კუთვნილების სახელმწიფოებად და სახელმწიფოთა კოალიციებად, ქმნის თავდაცვის ძალების ყოლის და შესაბამისად მშვიდობიანობის პერიოდში მასში სამსახურის აუცილებლობას.

შემდეგი ფაქტორი \_ გეოსტარატეგიული. სახელმწიფოს განლაგება, მისი ტერიტორიის ფართობი, სახმელეთო და საბრვაო საზღვრების სიგრძე, მოსაბრვრე სახელმწიფოების რაოდენობა, მათი სამხედრო სიძლიერე და მათთან დამოვიდებულება \_ არის ის, რასაც გულისხმობს გეოსტრატეგიული ფაქტორის არსი. სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს თავდაცვის ძალების სტრუქტურასა და რიცხოვნობას.

სახელმწიფოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების პრინციპი დამოვიდებულია ისეთ ფაქტორზეც, როგორიცაა სახელმწიფო იდეოლოგია და საზოგადოების მიერ მისი აღქმის დონე. სახელმწიფო იდეოლოგიას ქმნის პოლიტიკური ელიტა. ამასთან, თუ დანარჩენი საზოგადოება ამ იდეოლოგიას აღიქვამს, როგორც თავისას, მაშინ იგი ხდება ეროვნული და ხელს უწყობს საზოგადოების ერთსულოვნებას. თუ სახელმწიფო იდეოლოგია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის არის მიუღებელი, მაშინ ეს მიუთითებს კრიზისის გამწვევებაზე. ამასთან საზოგადოების სიჭანალის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის მშვიდობიან პერიოდში არმიაში სამსახურისადმი მისი წევრების დამოვიდებულება.

შემდეგი ფაქტორი \_ შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები და ხერხები. მათი განვითარებისა და სირთულის დონე განსაზღვრავს იმ მომზადების შინაარსს, რომლებიც მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ სამხედრო სამსახურში განვევამდე. გარდა ამისა ეს ფაქტორი განსაზღვრავს, თუ რა პირადი თვისებები უნდა ჰქონდეს მოქალაქეს, რომელიც მიდის სამხედრო სამსახურში (მოტივაცია, კანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარება, განათლების დონე, ემოციურ-ნებისყოფითი თვისებები და სხვ).

გარდა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებისა დაკომპლექტების სისტემაზე გავლენას ახდენს დემოგრაფიული ფაქტორი. იგი გულისხმობს მოსახლეობის შემადგენლობას, წვევამდელი და გასაწვევი ასაკის მოსახლეობის რაოდენობას, მათ თვისობრივ მახასიათებლებს. ზუსტად ამ მახასიათებლების მეშვეობით გამოიხატება სუბიექტური, შინაგანი შესაძლებლობები დაკომპლექტების სისტემის ობიექტის - მოქალაქეს, რომელსაც სამხედრო სამსახურში იწვევენ (მიდის).

ობიექტური შესაძლებლობები განსაზღვრავენ ეკონომიკურ ფაქტორს. ერთის მხრივ ამ ფაქტორის არსი განსაზღვრავს თავისი ეკონომიკური პოტენციალიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, როგორი რიცხოვნობის და დაკომპლექტების წესის არმის შენახვის შესაძლებლობა აქვს ქვეყანას. მეორეს მხრივ ამ ფაქტორის არსი განსაზღვრავს თუ დაკომპლექტების და მოქალაქეების განვევისთვის მომზადების როგორი სისტემა შეუძლია შექმნას სახელმწიფომ.

გარდა ამისა ობიექტურ გარე ფაქტორს წარმოადგენს განვევის სამართლებრივი ბაზა. განვევის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და განვევის შებდუდვა, სამხედრო სამსახურის წესის და ხანგრძლივობის განსაზღვრა, სხვა სამართლებრივი დებულებები წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სისტემის შესაძლებლობებს (Гаცко, Зарубежное военное обозрение. 2009, 31-2).

ასეთი მიდგომები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ გარკვეული ობიექტური წინააღმდეგობების არსებობა: აუცილებლობას შორის წინააღმდეგობა, ე.ი. მშვიდობიან პერიოდში თავდაცვის ძალების მოთხოვნას განსაზღვრული ცოდნის, უნარის, ჩვევებისა და ხარისხის წვევამდელებზე ან სამხედრო სამსახურში მიმსვლელებზე \_ ერთის მხრივ, და სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიული, იდეოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი შესაძლებლობები ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად \_ მეორეს მხრივ; წინააღმდეგობები სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ შესაძლებლობებსა და მის რეალურ მდგომარეობას შორის, ააწყოს და აამუშაოს

დაკომპლექტების სისტემა.

განხილული ფაქტორების შინაარსი და დასახელებული წინააღმდეგობების გამწვავების ხარისხი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის პროცესში.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტების ანალიზმა დაგვანახა, რომ ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი ძირითადი ხერხებით:

1. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის გზით;
2. ნებაყოფლობით საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეების კონტრაქტით მიღება;
3. შერეული, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონისა და ნებაყოფლობით სამხედრო მოსამსახურეების კონტრაქტით მიღების საფუძველზე;
4. მიღიციური ხერხი, რომელიც ხორციელდება საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ ვანონის საფუძველზე.

მსოფლიო წამყვანი სამხედრო სპეციალისტების აზრით გაწვევით არმის დაკომპლექტება აუცილებელია შემდეგი გარემოებების გამო:

- სახელმწიფოს მსხვილმასშტაბიანი აგრესიისაგან დასაცავდ;
- ხელს უწყობს სხვადსხვა კლასის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ფენის წარმომადგენელ ახალგაზრდათა სოციალურ დარამდება;
- უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ხალხს შორის უფრო ეფექტურ თანამშრომლობას;
- ამით უზრუნველყოფილია თავდაცვის ძალების რეგულარული განახლება, ასევე სახელმწიფოს მიერ სამხედრო ცოდნის მქონე სამობილიზაციო რესურსის მუდმივი მომზადების შესაძლებლობა.

გარდა ამისა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ წვევამდელი შედარებით იაფი უკდება სახელმწიფოს, ვიდრე დაქირავებული სახედრო მოსამსახურე. აქედან გამომდინარე სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ფინანსები თავდაცვის ძალების შესანახად, იყენებს წვევამდელებით დაკომპლექტების ხერხს.

თავდაცვის ძალების წვევამდელებით დაკომპლექტების ხერხის ძირითად წაკლოვანებებს განეცუთვნება:

- სამხედრო მოსამსახურეების პროცესისული მომზადების არასაკმარისი დონე;
- მათი წაკლები დაინტერესება საბრძოლო მომზადების შედეგებით;
- როგორც წესი, სამხედრო მოსამსახურეების სოციალური და სამართლებრივი დაცვის შედარებით დაბალი დონე.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ გაწვევით დაკომპლექტებული არმიების გამოყენება უფრო რაციონალურია ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარებისას მოწინააღმდეგის აგრესიის მოგერიების დროს. ამასთან წვევამდელების დაკომპლექტებული არმიის გამოყენება მიზანშეუწონელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ ოპერაციებში საჭიროა სპეციალურად განრიცხილი სამხედრო მოსამსახურეების პროცესისული კონტინგენტი. უფრო მეტიც, ამგვარ ოპერაციებში წვევამდელთა კონტინგენტის გამოყენება მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში კანონმდებლობით იკრძალება.

წვევამდელებით დაკომპლექტებული არმიები აბსოლუტური სახით დღეს მსოფლიოში ფაქტობრივად აღარ გვხვდება. ჩინეთის არმიაშიც კი, სადაც მიღიონ მიღიონ რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა მსახურობს გაწვევით, ასევე არსებობს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური კონტრაქტით. ერთადერთი სახელმწიფო, რომლის თავდაცვის ძალები ჰქონა კომპლექტდება ძირითადად წვევამდელებით არის ისრაელი.

რაც შეეხება მიღიციურ არმიას. ეს არის არმია, რომელშიც მშვიდობიანობის პერიოდში არის მხოლოდ სამეთაურო კადრების ნაწილი და აღრიცხვის პერსონალი. მთელი ცვალებადი შემადგენლობა და სამეთაურო კადრების ნაწილი სამხედრო ნაწილზე მიწერილია იმ დასახლებული პუნქტებიდან, რომლის მაცხოვრებლებიც ვალდებული არიან სამხედრო ნაწილში გამოცხადდნენ მობილიზაციის გამოცხადებიდან 12 საათის შემდეგ. ისინი სამსახურს გადიან მოკლევადიანი სასწავლო შეკრებების გავლით. თანამედროვე სახელმწიფოებს შორის მიღიციური არმია არსებობს მხოლოდ შვეიცარიაში.

ახლა განვიხილოთ დაკომპლექტების შერეული ხერხი, რომელიც ჩვენი აზრით საქართველოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ყველაზე ოპტიმალური ფორმა.

თავდაცვის ძალების დაკომპლექტების შერეულ ხერხში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ დანაყოფის ის თანამდებობები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის დონეს, რომელთა მომზადებას სჭირდება მეტი დრო და დიდი რესურსი, უნდა დაკომპლექტდეს საკონტრაქტო

სამსახურის სამხედრო მოსამსახურებით, ხოლო დანარჩენი თანამდებობები წვევამდელებით.

მაგალითისთვის განვიხილოთ მექანიზმები ათეული ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე. მისი შემადგენლობა შემდეგია:

1. ათეულის მეთაური - 1
2. ჯგუფის მეთაური - 2
3. მეტყვიამფრქვევე - 2
4. ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნელი - 2
5. მსროლელი-საბრძოლო მაშველი - 2
6. მძღოლი-მექანიკოსი - 1
7. მემიზნე-ოპერატორი - 1

სულ: 11 სამხედრო მოსამსახურე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1, 2, 6 და 7 ნომრის თანამდებობები ( 5 პერსონალი) უნდა დაკომპლექტდეს კონტრაქტით, ხოლო დანარჩენი (6 პერსონალი) - წვევამდელებით.

დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზა არეგულირებს ურთიერთობებს კონტრაქტით მომსახურე სამხედრო პირებთან. რაც შეეხება საყოველთაო სავალდებულო სამსახურში განვეულ პირებს, გვინდა შემოგთავაზოთ ამ პრობლემის გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

მიგვაჩნია, რომ მათი განვევა უნდა მოხდეს ტერიტორიული პრინციპით. სამსახურის ვადა უნდა განისაზღვროს 12 თვით. სამსახურის პერიოდში, გარდა თავისი სპეციალობისა მათ შეიძლება შეისწავლონ ათეულის (ეკიპაჟის, გათვლის და სხვა) სხვა მომიჯნავე სპეციალობაც. მათ შეიძლება ჰქონდეთ უფლება ყოველდღიურად სამსახურის შემდეგ დაბრუნდნენ სახლებში, გარდა განწესში ყოფნისა (მაბათი, კვირა დასვენების დღე). თავადაცვის ძალებში სამსახურის პერიოდში მათ უნდა დაენიშნოთ ხელფასი 200 – 300 ლარის ოდენობით. თადარიგში დათხოვნის შემდეგ ისინი უნდა ჩაირიცხონ რეზერვში და მიეწერონ იმ სამხედრო ნაწილს, სადაც მსახურობდნენ ან სხვა დანაყოფს, რომელშიც ისინი შემდგომში გაივლიან შეკრებებს, იმ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობით, რომელიც მათ ეკავათ ან რომელიც მომიჯნავედ აითვისეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს. რეზერვში სამსახურის პერიოდში ისინი სპეციალური ხელშეკრულებით აგრძელებენ ურთიერთობას თავდაცვის ძალებთან.

## დასკვნა

თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ეს წესი საშუალებას მოგვცემს არსებული სამხედრო დანაყოფები შევავსოთ სრულ შტატამდე, მობილიზაციის შემთხვევაში გასამლელი სარეზერვო დანაყოფები დაგვაკომპლექტოთ პირადი შემადგენლობით და ასევე შევავსოთ ომის დროს მიღებული სამედიცინო დანაკარგები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავდაცვის ძალების დაკომპლექტების აღნიშნული მოდელი სრულად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის როგორც ინტერესებს, ასევე მის შესაძლებლობებს.

## მათოყენებული ლითერატურა

- საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“-2014 წლის 29 ივნისი, თავი 2, მუხლი 9;
- საქართველოს კანონი „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“-2018 წლის 31 ოქტომბერი, თავი 3, მუხლი 10
- „IMPROVING THE TOTAL FORCE USING THE NATIONAL GUARD AND RESERVES“, A Report for the transition to the new administration by The Reserve Forces Policy Board. RFPB Report FY17-01. [www.rfpb.defense.gov](http://www.rfpb.defense.gov).
- Гацко М. „Способы комплектования военнослужащими вооруженных сил иностранных государств“, Зарубежное военное обозрение. #1(2009). стр. 31-32

# ნატოს ახალი სტრატეგიული პოლიტიკის ცივი მიზანის შემდგროვნები

ქადაგის მიზანი  
ასისტენტი პროფესორი  
სსიპ - დაცით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ნატოს ცივი მიზანის შემდგომი ახალი სტრატეგიული კონცეფცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ორგანიზაციამ სრულიად ახალი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. თუკი ცივი მიზანის განმავლობაში აღიანსი ორიენტირებული იყო კოლექტიურ თავდაცვაზე, ახალმა მსოფლიო გამოწვევებმა მას უბიძვა ახალი მიზნებისა და გეგმების შემუშავებისკენ. სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო კამპანიები, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვა ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებში გახდა ნატოს ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგია.

იუგოსლავიის დაშლის შედეგად ბოსნიამ და კოსოვომ მოითხოვეს დამოუკიდებლობა, რასაც მოყვა სერბების აღმფოთება, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ეთნიკურ დაპირისპირებაში. დაძაბულობამ და კონფლიქტმა იმდენად უმართავი სახე მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის გარეშე კონფლიქტის მოგვარება რთული ან თითქმის შეუძლებული ხდებოდა. ნატომ პირველად აღიანსის ისტორიაში გადადგა ახალი პოლიტიკური ნაბიჯები, ჩაატარა მნიშვნელოვანი სამშვიდობო ოპერაციები ბოსნიასა და კოსოვოში. აღიანსის სამხედრო ძალის დახმარებით ბოსნიამ და კოსოვომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შეძლეს მშვიდობის შენარჩუნება, სერბებთან კონფრონტაციის დასრულება და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ამასთანავე, ნატოსთვის იუგოსლავიის კონფლიქტი ნარმოადგენდა ერთგვარ გამოწვევას აღიანსის შესაძლებლობების, სტაბილურობის და ეფექტუანობის განსამტკიცებლად. თანამედროვე მსოფლიოში ნატო უდაოდ წარმოადგენს მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტ მთავარ სამხედრო ორგანიზაციას.

### საპარაგო სიტყვები:

სამშვიდობო ოპერაციები, ჩრდილოატლანტიკური აღიანსი, უსაფრთხოება, თავდაცვა, სტრატეგიული კონცეფცია.

# **NATO'S NEW STRATEGIC CONCEPT AFTER THE COLD WAR**

**KETEVAN CHAKHAVA**  
**ASSISTANT PROFESSOR**  
**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI**  
**NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

## **ABSTRACT**

The research describes and analyzes the new strategic concept of NATO after the cold war environment. Since the dissolution of the Soviet Union the organization has undergone tremendous changes, it made completely different political moves. The policy of the alliance shifted from the collective defense to the collective security. Peacekeeping operations, ensuring security and stability in non-member states, has become the significant strategic concept of the alliance.

The breakup of Yugoslavia was followed by the declaration of independence in Bosnia and Kosovo. The declaration of independence was rejected by the Bosnian Serbs and the ethnic conflict broke out across the country. Without the involvement of international organizations, it was almost impossible to deal with the crisis. NATO implemented the new, effective strategic concept and conducted the most significant peacekeeping operations in the conflict areas. Military involvement of the alliance made a great contribution in maintaining peace, establishing sovereignty, and ending the confrontation in the conflict regions. The Yugoslavian crisis represented the new challenge for the alliance to strengthen its effectiveness, responsibilities, and capabilities. In closing, in the contemporary world NATO is undoubtedly the main military guarantor of peace, security and stability.

**KEYWORDS:**

Peacekeeping Operations, North Atlantic Treaty Organization, Security, Defence, Strategic Concept

## შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს შეკავების პოლიტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ალიანსს, რომლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირის გავრცელების შეჩერება გახლდათ. ცივი ომის დარსულების შემდგომ ყველას სჯეროდა, რომ ნატო, როგორც უსაფრთხოების ორგანიზაცია და ყველაზე წარმატებული ალიანსი მსოფლიოში, ვეღარ შეძლებდა არსებობას, რადგან საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო. ან იმ შემთხვევაში თუ ალიანსი ისევ გააგრძელებდა არსებობას, ბევრი მკვლევარი თვლიდა, რომ ის უბრალოდ უფუნქციოდ დარჩებოდა.

ამ მოლოდინების საპირისპიროდ ნატომ შეძლო არა მხოლოდ წევრი ქვეყნების და ალიანსის ერთობის შენარჩუნება, არამედ ორგანიზაცია გაფართოვდა, ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკა, შეცვალა მიზნები და მოქმედებები. ამასთანავე, იგი დღემდე წარმოადგენს წარმატებულ და უმნიშვნელოვანეს წამყვან უსაფრთხოების ორგანიზაციას მსოფლიოში.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო ალიანსის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს და წევრი ქვეყნების თავდადებას ორგანიზაციისთვის. პირველი, გარე საფრთხე, რომელიც მოსალოდნელი იყო არა მხოლოდ რესეტიდან, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე შესაძლო კონფლიქტებიდან. ამ შემთხვევაში ალიანსის წევრი ქვეყნები დაცულნი უნდა ყოფილიყვნენ ნებისმიერი საფრთხისგან.

მეორე, ცივი ომის დასრულების შემდგომ ნატომ შეიმუშავა ორი ძირითადი ფუნქცია: ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შეიარაღებული კონფლიქტების მართვა და ამ კონფლიქტების შეჩერების შედეგად სტაბილურობის უზრუნველყოფა პისტ საბჭოთა ქვეყნებში. მესამე, ნატომ დიდი წვლილი შეიტანა წევრ ქვეყნებს შორის მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე მსოფლიომ გამოიარა ორი მსოფლიო ომი, სადაც ძირითადად ჩართული იყვნენ ევროპის ქვეყნები. ზოგადად, ევროპაში მუდმივად მიმდინარეობდა კონფლიქტები, კრიზისები, დაპირისპირებები, რათა გამოკვეთილიყო ჰეგემონი ქვეყანა, ვინც ძალთა ბალანსს დაარღვევდა და მოიპოვებდა სრულ ძალაუთლებას - დომინანტი ქვეყნის სტატუსს. ხოლო, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ღია და გამჭირვალე პოლიტიკის დამკვიდრებით, ცივი ომის პერიოდამდე არსებული დაპირისპირებები ევროპაში უკვე აღარ არსებობდა. ქვეყნები გაერთიანდნენ ერთ სამხედრო ბლოკში, სადაც უზრუნველყოფაში უკვე არსებობდა, უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

## პვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც დამეხმარა მენარმოებინა ცალკეული სტატიების, დოკუმენტების და ინტერნეტმასალის კლასიფიცირება, შესწავლა და გაანალიზება. დაკვირვების შედეგად ასევე გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის უკეთ გავებას და დასაბუთებულად გადმოცემას.

## ნატოს ახალი სტრატეგიული პოლიტიკა

ცივი ომის დასრულების შემდგომ, მსოფლიოში გაჩნდა ახალი გამოწვევები და საფრთხეები. იუგოსლავის რესპუბლიკის დაშლის ეტაპები დაკავშირებული იყო გარკვეულ დაპირისპირებებთან და კონფლიქტებთან. ამ კრიზისთან გამკლავებას ჭირდებოდა საერთაშორისო ძალების ჩარევა, მოლაპარაკებების მართვა და შეთანხმების მიღწევა. იუგოსლავის კონფლიქტი აღმოჩნდა დიდი გამოწვევა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისთვის, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა მოეხდინა სწრაფი რეაგირება და უზრუნველყო პროცესების შეძლებისდაგვარად მშვიდობის მართვა. ნატომ შეიმუშავა ახალი სტრატეგიული კონცეფცია - უზრუნველყო მსოფლიო მშვიდობა, ხოლო ამისთვის მან მიმართა სამშვიდობო ოპერაციებს კონფლიქტურ რეგიონებში.

იუგოსლავის კონფლიქტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროპისთვის, როდესაც 1991 წლიდან დიდი ფედერაცია დაიშალა და სახელმწიფოებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ბოსნიამ და კოსოვომ დაიწყეს ბრძოლა სუვერენიტეტისთვის, ხოლო ფედერაცია ამას ვერ ეგუებოდა და ცდილობდა ძალის გამოყენებით ისინი შეენარჩუნებინა იუგოსლავის რესპუბლიკაში.

## პონფლიქში ბოსნიაში და ნამოს სამშვიდობო ოპერაცია

ბოსნიის ომი 1992-1995 წლებში მიმდინარეობდა. 1992 წლის 29 თებერვალს ბოსნიაში ჩატარდა რეფერენდუმი, ხოლო 1992 წლის მარტში, როდესაც ნათელი გახდა, რომ ბოსნია ჰერცეგოვინა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას აპირებდა და იუგოსლავიის ფედერაციიდან გამოსვლას, დაიწყო მედიის ბრძოლა, რომელიც პროპაგანდითა და ცენზურით შემოიფარგლებოდა. - (2016) How the Media in 1992 was reporting on the Referendum (gallery) . MARCH 1, 2016 4:30 PM https://www.sarajevotimes.com/how-the-media-in-1992-was-reporting-on-the-referendum-gallery/ იუგოსლავიის საპარტო ძალებმა, იერიში მიიტანეს სამაუწყებლო კომუნიკაციებზე და ბრძოლა მაშინვე გადაიზარდა „მეტ სროლასა და ნაკლებ საუბარში“. (Bjarnason 2001 ) ბოსნია ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ სერბები, ისინი მხარს უჭერდნენ სერბეთის სახელმწიფო ერთიანობას სლობოდან მიღობევიჩის და იუგოსლავიის სახალხო არმიის მეთაურობით. მათ გამოაცხადეს საკუთარი ჭარის მობილიზაცია, იცავდნენ საკუთარ ტერიტორიას და ებრძოდნენ ბოსნიელებს. დაიწყო ეთნიკური კონფლიქტი, სადაც ძალადობრივ მეთოდებს იყენებდნენ სერბები ბოსნიელთა წინააღმდეგ.

უსაფრთხო ზონების ჩამოყალიბების იდეა ჟერ კიდევ 1992 წლის 12 დეკემბერს გაუღერდა მაშინ, როცა ევროპულმა თანამეგობრობამ მოითხოვა ჩამოყალიბებულიყო ზონები ბოსნია ჰერცეგოვინაში, რათა უზრუნველყოფილობის სამოქალაქო ზირების უსაფრთხოება. (Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a "safe" area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995. n.d.). 1993 წლის 6 მაისს 824 რეზოლუციით სრებრენიცა ჩაითვალა უსაფრთხო ზონად. (UN Security Council 3208th Meeting Resolution S/RES/824 1993).

კონფლიქტი ბოსნიაში გახლდათ პირველი გამოწვევა ჩრტდილოატლნტიკური ალიანსისთვის. ცივი ომის ჰერიოდში ნატო ზრუნავდა მხოლოდ წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე, ხოლო ახლა შეცვლილი სტრატეგიული კონცეფციით ორგანიზაციამ უზრუნველყო მშვიდობის დამყარება არანევრ ქვეყნებშიც.

1992 წელს ჰელსინკში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებაზე გადაწყვიტეს კონფლიქტის მოგვარება სამხედრო ჩარევით. მოილაპარაკეს გაეგზავნათ რამდენიმე გემი და თვითმფრინავი, რათა მომხდარიყო საპარტო სივრცის კონტროლი. სამშვიდობო ოპერაცია მიმდინარეობდა გაეროს რეზოლუციის გათვალისწინებით.

1994 წლის 11 აპრილს განხორციელდა ნატოს პირველი მჯიდრო საპარტო მხარდაჭერის მისია ალიანსის ისტორიაში გორაუდეს უსაფრთხო ზონის დასაცავად, რომელსაც სერბთა რესპუბლიკის არმია უტევდა. საპარტო დარტყმისას განადგურდა სერბთა საველე შტაბი, რასაც მოჰყვა 150 გაეროს მშვიდობისმყოფელის დატყვევება სერბების მიერ, რომლებიც დაიმუქრნენ მათი მოკვლით, თუ მათ არმიაზე გორაუდეს გარშემო საპარტო დარტყმები არ შეწყდებოდა. (Binet 2015).

1995 წლის დეკემბერს ხელი მოეწერა დეიტონის შეთანხმებას რითიც დასრულდა ომი სერბებსა და ბოსნიელებს შორის. დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ნატომ დაიწყო პირველი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება ბოსნიაში. 14 პარტნიორი ქვეყნის საკარო ნაწილები, რომლებსაც ქონდათ გაეროს მანდატი, შევიდნენ ბოსნიაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. დეიტონის შეთანხმების საფუძველზე ნატომ (IFOR) -ის მისით 60 000 სამხედრო გამოგზავნა სამშვიდობო მისით, ხოლო 1996 წლის 20 დეკემბერს გამოგზავნილ იქნა (SFOR), 32 სამხედრო ძალა. (htt2) სტაბილიზაციის ძალების მოვალეობა იყო საომარი მოქმედებების თავიდან აცილება და სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, მაგრამ, მისის გაფართოების შემდეგ, ამ მოვალეობებში ასევე შედიოდა იმ სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში, ამ ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო ძალები თავიანთ სახლებში დაბრუნებაში დაეხმარენ ლტოლვილებს და იძულებით ადგილნაცვალ პირებს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ბოსნიის სამხედრო ძალების რეფორმირებაში. უსაფრთხოების სიტუაციის თანდათანობით გაუმჯობესებასთან ერთად, ამ ქვეყანაში განლაგებული სამშვიდობო ძალები მცირდებოდა. თუ თავდაპირველად აქ 60-ათასიანი ჭარები იყო განლაგებული, 2004 წელს მათგან მხოლოდ 7 ათასი დარჩა. ნატოს სამხედრო ჩარევით და ჩატარებული წარმატებული სამშვიდობო ოპერაციის წყალობით ბოსნიაში დამყარდა მშვიდობა, ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, გაატარა აუცილებელი და საჭირო რეფორმები, რაც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაბიჯები გახლდათ.

## პონფლიერი პოსოვოში და ნათოს სამშვიდობო ოპერაცია

1990 წლის 2 ივლისს 114 ეთნიკურმა ალბანელმა გამოაცხადა კოსოვოს დამოუკიდებლობა. სერბების ასამბლეამ დაშალა კოსოვოს ანსამბლეა და და კოსოვო გამოცხადდა მის შემადგენელ ნაწილად. 1991 წელს ჩატარდა არაოთიციალური რეფერენდუმი. კოსოვოში მიმდინარეობდა ორი სახის დაპირისპირება - არაძალადობრივი და ძალადობრივი. არაძალადობრივი წინააღმდეგობის დროს კოსოვოელმა ალბანელებმა იძრაჲიმ რუგოვა აირჩიეს კოსოვოს პრეზიდენტად, დააარსეს დამოუკიდებელი ინსტიტუტები და უარი თქვეს სერბებთან თანამშრომლობაზე. რეალურად მათ ჩატარებული მთავრობა, რომელიც არაოთიციალურად მართავდა კოსოვოს. სერბების, დასავლეთის დიპლომატების, ევროპის და ვაშინგტონის ყურადღება ამ დროისთვის მიმართული იყო მთლიანად ბოსნიის კონფლიქტისკენ, ამიტომ რამდენიმე წლის მანძილზე მათ უგულებელყოფეს არაძალადობრივი მოძრაობა კოსოვოში. მიმდინარე პროცესები შეიცვალა მაშინ, როდესაც დეიტონში სამშვიდობო შეთანხმების დროს არ იქნა მიწვეული რუგოვა, ხოლო შეხვედრას ესწრებოდა მილოშევიჩი. ალბანელებმა შეცვალეს პროცესტის ფორმა და მიმართეს ძალადობრივ დაპირისპირებას. ისინი თავს ესხმოდნენ სერბებს, პოლიციელთა განცოფილებას, მოსახლეობას. ([htt1](#))

